პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 ნოემბერი პარასკევი 2011

№ 260 (13 557) ფასი 80 თეთრი

## ქართველმა ქალებმა მოგებით დაიწყეს

11



ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის საკლუბო ამბავი



# დინამოში ორ ენაზე ერთზე ფიქრობენ: რა იქნება თუ...




3



თორნიკე შენგელია

# მაშ 16!

## ქართველთა ქულაუხვი ევროტური

გუშინ ღამით ევროლიგაზე სამმა ქართველმა ერთობლივად 44 ქულა მოაგროვა. კანტუელმა **გიორგი შერმადინმა** 23 წუთში 16 ქულა (ეს მისი საევროლიგო რეკორდია), 6 მოხსნა და 1 დაფარება ჩაიწერა, მისმა თანაგუნდელმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** - 27 წუთში 12 ქულა, 3 პასი და თითო ჩაჭრა-მოხსნა-დაფარება.

„კანტუ"-"ბილბაოს" მატჩის დამთავრებამდე მანუს სამქულიანმა იტალიურ დარბაზში დიდი ემოცია გამოიწვია - სხვაობა 9 ქულამდე გაიზარდა, რაც უკვე „კანტუს" გამარჯვებას ნიშნავდა. საბოლოოდ 78:69 ქართულ-იტალიური გუნდის სასარგებლოდ.

**თორნიკე შენგელიას** „შარლერუამ" სტუმრად ბელგრადში „პარტიზანთან" 81:91 დათმო. ქართველმა ლეგიონერმა 21 წუთში 16 ქულა და 3 მოხსნა გაიფორმა.

ვაჟა სიმონიშვილი



გიორგი შერმადინი



მანუჩარ მარკოიშვილი

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# რამაზ სოლოლაშვილი
# სილამაზე ანგარიშიანიც უნდა იყოს

## მადლობა ცეცაძეს და შრომა დაბალანსებისთვის

**გორის "დილაში" ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა – კლუბს ახალი ხელმძღვანელობა და სამწვრთნელო შტაბი ჰყავს. რამაზ სოლოლაშვილი გუნდის მთავარ მწვრთნელად ამ ცოტა ხნის წინ დაინიშნა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით "დილამ" ერთ ხმაურიან წარმატებას უკვე მიაღწია – ოთხშაბათს საქართველოს თასის გათამაშებას თბილისის "დინამო" გამოთიშა. სოლოლაშვილთან ინტერვიუც სწორედ ამ მატჩის გახსენებით დავიწყეთ და შემდეგ სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც შევეხეთ.**

**თუმცა "დილას" 34 წლის თავკაცმა უპირველესად წინამორბედი მოიხსენია ქების სიტყვებით.**

- დღეს "დილაში" გია ცეცაძე აღარ მუშაობს, მაგრამ გუნდის არც ერთ წევრს არ დაგვავიწყდება, თუ რა გააკეთეს "დილასთვის" მან და მისმა თანაშემწე თემურ ლორთქიფანიძემ. ამ ხალხმა გუნდს ლამაზი ფეხბურთის თამაში ასწავლა და შედეგებსაც მიაღწია. სწორედ მათი დამსახურებით ამოვედით უმაღლეს ლიგაში და არც აქ ვართ ხელწამოსაკრავნი. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ნებისმიერ მწვრთნელს, განსაკუთრებით კი ნიჭიერსა და მცოდნეს, საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად თუ ხარვეზების აღმოსაფხვრელად უფრო მეტი დრო უნდა ეძლეოდეს, რასაც საქართველოში იშვიათად ნახავთ.

**- "დინამოსთან" განმეორებითი შეხვედრა ცეცაძის მიერ დანერგილი სტილით არ გითამაშიათ.**

- პირადად ჩემთვის გიას საფეხბურთო გემოვნება აბსოლუტურად მისაღებია და მის იდეებს მეც ვიზიარებ, მაგრამ ამ კონკრეტული მატჩის წინ საჭიროდ მივიჩნიეთ, უფრო პრაგმატულად გვეთამაშა. წინა შეხვედრის შედეგიდან გამომდინარე, გამარჯვება "დინამოს" სჭირდებოდა და შევეცადეთ, მეტოქისთვის სათამაშო სივრცეები შეგვეზღუდა და აქცენტი კონტრშეტევებზე გაგვეკეთებინა. ბიჭებმა ჩემი დავალებები მაღალ დონეზე შეასრულეს და მეოთხედფინალის საგზური დამსახურებულად მოვიპოვეთ. ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის ჩამოიცილებ გზიდან – "დინამოს" დამარცხება ნებისმიერი ქართული გუნდისთვის გამორჩეული ამბავია და გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. ამ წარმატებაში ჩემი წვლილი მცირეა, გორელი ქომაგებისგან მადლობა ისევ და ისევ გია ცეცაძეს ეკუთვნის.

**- "დილას" შეტევა რომ ეხერხება, ამ სეზონში არაერთხელ დამტკიცდა. მაგრამ არანაკლებ თვალშისაცემი იყო დაცვის ხაზის სისუსტე.**

- გეთანხმებით. დაცვაში თამაში აშკარად გასაუმჯობესებელი გვაქვს და საამისოდ ბევრს ვმუშაობთ. "დინამოსთან" მატჩმა დაგვანახვა, რომ "დილას" უკანა ხაზს პროგრესი აქვს, თუმცა ჩვენი მცველების მიმართ ძველებურად მომთხოვნი ვიქნები. რაგინდ ლამაზად და კომბინაციურად უტევდე, თუ რომელიმე რგოლი არ გივარგა, დაუბალანსებელი გუნდით შორს ვერ წახვალ. სწორედ ამ პრობლემის გამო წავაგეთ არაერთი ისეთი მატჩი, რომელიც უნდა მოგვეგო.

**- რამდენად მოსალოდნელი იყო თქვენთვის "დილას" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა?**

- გულწრფელად გეტყვით, რომ ამას საერთოდ არ ველოდი. როგორც იცით, "დილას" სამწვრთნელო შტაბში ვიყავი და მეკარეებთან ვმუშაობდი. ძალიან გამიკვირდა, მთავარი მწვრთნელობა რომ შემომთავაზეს, თუმცა ბევრი არ მიფიქრია, რადგან გორელი ვარ და მშობლიური გუნდის გაძღოლა ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. თავიდან ვფიქრობდი, დროებითი მწვრთნელი ვიქნებოდი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მითხრა, რომ ბოლომდე მენდობიან და ხანგრძლივ თანამშრომლობას მთავაზობენ, რამაც, ბუნებრივია, ძალიან გამახარა.

**- რომელ სამწვრთნელო ლიცენზიას ფლობთ?**

- საქართველოში არსებული ყველა სამწვრთნელო საფეხური გავიარე და დღეისთვის A კატეგორიის ლიცენზიის მფლობელი ვარ, რაც იმის საშუალებას მაძლევს, რომ უმაღლესი ლიგის გუნდის მთავარი მწვრთნელი ფაქტობრივადაც ვიყო და იურიდიულადაც.



რამაზ სოლოლაშვილი

**- ბოლო დროს ცვლილებები მოხდა შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაშიც და კლუბშიც. როგორ აისახება ეს სიახლეები "დილას" მომავალზე?**

- სიტუაციას ნათელი სულ მალე, უახლოესი სანაკრებო პაუზისას მოეფინება. მოგეხსენებათ, "დილა" ბიუჯეტიდან ფინანსდება და ამიტომაც მთლიანად გუბერნიის პოზიციაზე ვართ დამოკიდებულნი. გვაიმედებენ, რომ დაფინანსება ჩვეულებრივად გა[illegible] და ჩვენც არ გვინდა, რომ ცუდზე ვიფიქროთ.

**- "ქართლზე" თამაში, ალბათ, მაინცდამაინც არ გსიამოვნებთ.**

- ბუნებრივია, კეთილმოწყობილ სტადიონზე თამაში გვირჩევნია. "ქართლზე" მოსაწონი ბევრი არაფერია, მაგრამ მთლად საგანგაშო სიტუაციაც არ არის – მოედნის საფარი საქართველოს ბევრ სტადიონს ამაზე უარესი აქვს. თუმცა, ცხადია, "ბურჯანაძე" გვირჩევნია, სადაც მოედნის საფარი მალე გამოიცვლება და ახალი წლიდან იქ ვითამაშებთ.

**- "დილა" უკვე კარგად გავიცანით. საინტერესოა, როგორი დონისაა გუნდის დუბლშემადგენლობა, როგორი თაობა ეზრდება გორს?**

- კარგი თაობები ყოველთვის გვყავს, მთავარია, ამ ბიჭების განვითარებას ხელი არ შეეშალოს. ჩემი კურატორობის სფეროში ჭაბუკთა და ბავშვთა ფეხბურთიც შედის და ახალი თაობის ზრდის პროცესს ვაკონტროლებ. ჩვენ არ ვცხოვრობთ მხოლოდ დღევანდელი დღით და ვცდილობთ, სახლი საძირკვლიდან ვაშენოთ. ჩვენი მიზანია, უახლოეს მომავალში "დილა" 90 პროცენტით ადგილობრივი ფეხბურთელებით იყოს დაკომპლექტებული და ამავდროულად, მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი გვყავდეს. შეიძლება ითქვას, ეს პროგრამა-მინიმუმია, თორემ გვყავს რამდენიმე ისეთი ნიჭიერი ბავშვი, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ, გორისა და საქართველოს ფარგლებს გასცდნენ და საერთაშორისო დონის ფეხბურთი ითამაშონ.

**- და რაც შეეხება "დილას" უახლოეს მიზანს?**

- აუცილებლად უნდა მოვხვდეთ რვა საუკეთესო გუნდში, რაც დიდწილად ისევ და ისევ დაფინანსებაზეა დამოკიდებული, თასის გათამაშებაში კი მხოლოდ მეოთხედფინალით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ და გვჯერა, რომ გორულ ფეხბურთს მომავალი აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# გიორგი ლორია:
# დილა არაფერ შუაშია, მოედანი არ ვარგოდა!

საქართველოს თასის მერვედფინალურ შეხვედრებში მთავარი სენსაცია გორში დაფიქსირდა. თბილისურ მატჩში 2:2-ის შემდეგ "ქართლზე" გამართულ განმეორებით შეხვედრაში „დილა" თბილისის "დინამოს" უგოლო ფრით გაეყარა და ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი კლუბი მეოთხედფინალის მიღმა დატოვა.

შედეგით უკმაყოფილო "დინამოს" 25 წლის მეკარემ **გიორგი ლორიამ** მატჩის შემდეგ "საზოგადოებრივ მაუწყებელთან" ემოციური კომენტარი გააკეთა.

*"მიზეზი ის არის, ძლიერი გუნდი ეთამაშებოდა დაბალი კლასის გუნდს, რომელიც ყანაში თამაშობს და გამოვიდა, რომ ყანაბურთში, ჩხუბში მოგვიგეს. ჩვენი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ იმის გამო, რომ მინდორი არ ვარგოდა და მაქსიმალური შესაძლებლობები ვერ გამოვავლინეთ. თორემ, ჩემი აზრით, ნორმალურ მოედანზე ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდებოდა,"* – თქვა ლორიამ.

საქართველოს ნაკრების მეკარის ამ კომენტარმა გორელები გაანაწყენა, თუმცა ლორიამ "ლელოს" განუცხადა, რომ გორელების შეურაცხყოფა არც უფიქრია:

- "დილასა" და მისი ფეხბურთელების შეურაცხყოფა აზრადაც არ მქონია. იქ ჩემი ძმაკაცები თამაშობენ და ასეც რომ არ იყოს, ელემენტარული კოლეგიალობის ამბავია, მეტოქეს პატივისცემით უნდა მოექცე.



გიორგი ლორია

ცხელ გულზე იმ სატკივარზე ვილაპარაკე, რომელიც მხოლოდ მე არ მაწუხებს – ასეთ სტადიონსა და მოედანზე თამაში არ შეიძლება! ვთქვი და ვიმეორებ, "ქართლზე" ყანაბურთი ვითამაშეთ და "დინამომ" მისთვის ჩვეულად ბურთის გაგორება ვერ მოახერხა. ამით წაგების გამართლებას არ ვაპირებ, მაგრამ მხოლოდ მე აღმოვაჩინე, რომ ამ სტადიონზე მოედანი და გასახდელები არ ვარგა? ან ვინ შემედავება, რომ "დინამო" "დილაზე" ძლიერი გუნდია? ეს შეურაცხყოფა კი არა, ფაქტია.

ბოლო დროს გაუმჯობესდა მოედნების მდგომარეობა, ქუთაისში, ზესტაფონში, "ბასაზე" და "მიხეილ მესხზე" თამაში ერთი სიამოვნებაა. "დინამოს" ბაზაზე და ეროვნულ სტადიონზეც ძალიან კარგი საფარი დააგეს. ყველგან ასეთი მოედნები რომ იყოს, ბევრად უკეთესი ჩემპიონატი გვექნებოდა, რადგან სამიოთხი შეხების ნაცვლად ბურთს ერთი შეხებით გადააწოდებ და თამაშის ტემპი აუცილებლად მოიმატებს, რაც საბოლოოდ ჩემპიონატის ხარისხზე აისახება.

მაგრამ მხოლოდ მოედნების მოვლა არ კმარა, სტადიონებსაც უნდა მიეხედოს, რათა გასახდელებიდან დაწყებული, ტრიბუნებით დასრულებული, ყველაფერი კოხტა და კომფორტული იყოს. განახლებული "მიხეილ მესხი" გაიხსენეთ — გასახდელიდან მოედნამდე გასასვლელი შეცვალეს და მესერი აიღეს, თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ ამით სტადიონს იერი ისე სასიკეთოდ შეეცვალა, ფეხბურთელს თამაში უხარია, გულშემატკივარს - ასეთ არენაზე მოსვლა და ქომაგობა. ალბათ, თქვენც, ჟურნალისტები თამაშის მიმოხილვებს მეტი ხალისით დაწერთ."

**მერაბ მამულაშვილი**

მსოფლიოს საკლუბო რეიტინგი

# სად არიან ჩვენები?
## 100, 200, 300

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) მსოფლიოს საკლუბო რეიტინგში, რომელშიც ნოემბრისთვის 404 კლუბია შეყვანილი, საქართველოს კვლავაც სამი წარმომადგენელი ჰყავს. მათგან საუკეთესო პოზიცია თბილისის "დინამოს" უკავია. დედაქალაქელები საუკეთესო ასეულში ადგილს ინარჩუნებენ და 96-ე ადგილზე არიან, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წინა თვეში 88-ეზე იყვნენ.

185-ე საფეხურზეა საქართველოს მოქმედი ჩემპიონი "ზესტაფონი", რომელსაც ოქტომბერში 191-ე ადგილი ეკავა; ჩვენი ქვეყნის მესამე წარმომადგენელი კი რუსთავის "მეტალურგია", რომელმაც 204-ედან 206-ე პოზიციაზე ჩაინაცვლა.

უცვლელი დარჩა რეიტინგის სამი საუკეთესო კლუბის თანმიმდევრობა. საუკეთესო ათეულში ევროპას 7 წარმომადგენელი ჰყავს, სამხრეთ ამერიკას კი - 3. ათეულში შეაღწია ბრაზილიურმა "სანტოსმა", საიდანაც იტალიური "ინტერი" გამოაძევა.

**რეიტინგის ზედა ათეული ასე გამოიყურება:**

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. რეალი (ესპანეთი)
3. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
4. ველეს სარსფილდი (არგენტინა)
5. პორტუ (პორტუგალია)
6. შალკე (გერმანია)
7. მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
8. ბაიერნი (გერმანია)
9. უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)
10. სანტოსი (ბრაზილია)

...96. დინამო (თბილისი)
...185. ზესტაფონი
... 204. მეტალურგი (რუსთავი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

დინამო

# აშკარა... დასაჯერებელი

## უსიამოვნო პარალელი

საქართველოს თასის საპასუხო მერვედფინალურ მატჩებს უსენსაციოდ არ ჩაუვლია - ტურნირს გამოეთიშა ამ გათამაშების ერთ-ერთი რეალური ფავორიტი თბილისის „დინამო"! ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყველაზე ტიტულიანი კლუბი „დუბლს" ვერც ამ სეზონში შეასრულებს. საერთოდ კი, ერთ სეზონში ორივე ტიტული (ჩემპიონობა, თასი) „დინამომ" რვა წლის წინ მოიპოვა, როცა გუნდს ხორვატი სპეციალისტი **ივო შუშაკი** წვრთნიდა. თუმცა, რომელ „დუბლზეა" ლაპარაკი, როცა „დინამო", შესაძლოა, საერთოდ უტიტულოდ დარჩეს: მართალია, ჯერ ჩემპიონატის პირველი ეტაპი არ დამთავრებულა და პირველ ადგილზე მყოფ „ზესტაფონთან" ჩამორჩენა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ქულაა, მაგრამ დინამოელთა არასტაბილური და, რაც მთავარია, არადამაჯერებელი ასპარეზობა გუნდის ერთგულ ქომაგებს, ცოტა არ იყოს, პესიმისტურ განწყობაზეც ამყოფებს. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ჩემპიონატის ახლებური და „ნოვატორული" ფორმატიდან გამომდინარე, „დინამო" დღესდღეობით... 9 ქულით ჩამორჩება „ზესტაფონს". ოღონდ, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ და კვლავაც გავიმეორებთ, რომ ამ „მეორე ცხრილში" (სადაც პირველ-მერვე ადგილებზე მყოფ გუნდებს ერთმანეთში მოგროვილი ქულები გადაჰყვებათ) ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. თუმცა, ის კი ნაღდია, რომ „დინამოს" სამომავლოდ მართლაც ძვირად დაუჯდება „ტორპედოსთან", „მეტალურგთან" და „ბაიასთან" წაგებები თუ „ზესტაფონთან" საშინაო ფრე; ანუ, იმ გუნდებთან ნაჩვენებ არასახარბიელო შედეგს ვგულისხმობთ, რომლებსაც პირველი ეტაპის შემდეგ საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა, ფაქტობრივად გარანტირებული აქვთ. ისე, არცთუ „ლამაზი სურათიც იხატება": სეზონის დაწყებამდე ერთ-ერთ (ლამის, ერთადერთ) უმთავრეს ფავორიტად შერაცხილი გუნდი თასის გათამაშებას მეტისმეტად ნაადრევ ეტაპზე ეთიშება და ჩემპიონატში ვერც ერთი კონკურენტის დამარცხებასაც ვერ ახერხებს! აქედან გამომდინარე, კი, ალბათ, იმის თქმაც შეიძლება, რომ ჩვენს ყველაზე ტიტულიან კლუბს და ნებისმიერი სეზონის დაწყების წინ „მარადიულ ფავორიტად" მიჩნეულ გუნდს კრიზისი აქვს! არ დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ გუნდის სამწვრთნელო შტაბსა თუ მოთამაშეებს არასაფეხბურთო თემებზე საწუწუნო არაფერი უნდა ჰქონდეთ: სეზონის დაწყების წინ გავლილი უცხოური შეკრებით, მართლაც შესაშური მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, დროული და სოლიდური ხელფას-პრემიებითა თუ კიდევ მრავალი სხვა „ნიუანსით" საქართველოში ბევრი კი არა, ალბათ, ვერც ერთი გუნდი ვერ მოიწონებს თავს. აღარაფერს ვამბობთ კლუბის „უცხოურ დესანტზე": სეზონის დაწყების წინ „დინამოს" მთავარ მწვრთნელად „ბარსელონას" საფეხბურთო აკადემიაში ნამუშევარი **ალექს გარსია** დაინიშნა, რომლის რეკომენდაციითაც საქართველოში თანამემამულე მწვრთნელებიც (ერთი-ფიზმომზადების სპეციალისტი, მეორე-ბავშვთა აკადემიაში) ჩამოვიდნენ და ოთხი ფეხბურთელიც. ამ ოთხეულიდან სამი (**ალვარო, კოტო, იაგუე**) თუ მეტ-ნაკლებად უცნობი იყო ქართველი გულშემატკივრისათვის, აი, **ჩისკოს** კი „ზედმეტი" წარდგენა არ სჭირდებოდა და „ვალენსიას" ყოფილ ვარსკვლავს „დინამოს" უპირობო ლიდერობასაც სავსებით ლოგიკურად უწინასწარმეტყველებდნენ...

## ნდობის მანდატი: როდემდე?

...რამდენიმე წლის წინათ, ჩვენი კოლეგისა და მეგობრის, **კოტე გოგიშვილის** „გემრიელი ფრაზა" (როგორც სჩვევია) წავიკითხე: უცხოური... საუცხოოს ყოველთვის არ ნიშნავსო; ძნელია ამ სიტყვებს არ დაეთანხმო, მით უფრო, როცა „დინამოზე" ვსაუბრობთ, აქ ხომ არაერთი უცხოელი მწვრთნელი თუ ფეხბურთელიც გვინახავს, ჩვენებურებს ვერაფრით რომ ვერ ჯობდნენ. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ „დინამოს" თასიდან გამოვარდნა თუ ჩემპიონატში არცთუ შთამბეჭდავი ასპარეზობა მხოლოდ და მხოლოდ ესპანელი მწვრთნელისა თუ მისი თანამემამულე ფეხბურთელების ბრალია; ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონატის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, მეტოქეთა კარში გატანილი 25 გოლიდან ნახევარზე მეტი (16) ხომ სწორედ ესპანელების ანგარიშზეა: ჩისკო 8 ბურთით ბომბარდირობას იყოფს, ალვარომ 4 ბურთი გაიტანა, კოტომ-3, იაგუემ-1; ნურც ევროტურნირები დაგვავიწყდება — ესპანელებს დაახლოებით იგივე პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდათ და საერთოდაც, ამ ზაფხულს „დინამოს" ასპარეზობას მხოლოდ და მხოლოდ წარმატებული უნდა ვუწოდოთ: შვიდწლიანი პაუზის მერე გუნდმა პირველად შეძლო ევროტურნირებზე სამი ეტაპის გავლა და ერთი ნაბიჯილა დააკლდა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად. არც ის იყო პატარა ამბავი, რომ ამ წარმატებას, ფაქტობრივად, შექმნილმა გუნდმა მიაღწია: ალექს გარსია საქართველოში ხომ ივნისის დასაწყისში ჩამოვიდა და უკვე ერთ თვეში გუნდს ოფიციალური მატჩები ელოდა; ისიც გვიხაროდა, რომ „დინამო" საკმაოდ შედეგიანად თამაშობდა და შინ თუ გარეთ მეტოქეებს სოლიდურზე-სოლიდური ანგარიშებითაც (3:1, 4:1, 5:1) ამარცხებდა; თუმცა. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მეტოქეებშიც, ასე თუ ისე, გვიმართლებდა: მოლდოვური „მილსამიც", უელსური „ლანელიც" და ისლანდიური „რეიკიავიკიც" ნამდვილად არ განეკუთვნებოდნენ „უძლეველთა კატეგორიას"; გულახდილად რომ ვთქვათ, ბერძნული აეკ-იდანაც, როგორც იტყვიან, სახელიღა იყო დარჩენილი, — მით უფრო, რომ იმ დროისათვის ამ გუნდის ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არაოპტიმალურ კონდიციებში იმყოფებოდა (ახალ სეზონში პირველი ოფიციალური მატჩი სწორედ „დინამოსთან" ჩაატარეს) და პლუს, კლუბში (და საერთოდ, ბერძნულ ფეხბურთში) არსებული მწვავე ფინანსური კრიზისიც ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს. სამწუხაროდ, აეკ-ის ძლევა ვერ მოხერხდა, მაგრამ ამის გამო „დინამოზე" ენა ვის მოუბრუნდებოდა, — უფრო პირიქით იყო, რის დასტურადაც ეროვნულ სტადიონზე 50 000 გულშემატკივრის მოსვლაც გამოდგებოდა! თანაც, კიდევ ვიმეორებთ, რომ ლაპარაკია მართლაც ახლად შექმნილ (განებავთ, ახლად დაკომპლექტებულ) გუნდზე, ახალი ტაქტიკური განლაგებით (4-3-3), ახალი მწვრთნელითა და ახალი ფეხბურთელებით; ჰოდა, ევროტურნირებზე მთლიანობაში მაინც ღირსეული და, საერთო ჯამში, მაინც წარმატებული ასპარეზობიდან გამომდინარე, ლოგიკურიც იყო გვეფიქრა ჩვენც თუ გუნდის ერთგულ ქომაგებს, რომ საქართველოს ჩემპიონატში თუ თასზე „დინამო" უპრობლემოდ მიაღწევდა მიზანს. ამ „მიზანში" კი, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ, ერთადერთი რამ იგულისხმებოდა: ქართულ ფეხბურთში დაკარგული პოზიციების დაბრუნება! ჰო, სხვა გუნდებისთვის, შესაძლოა, მართლაც წარმატება ყოფილიყო ბოლო სამ წელიწადში ზედიზედ სამჯერ მეორე ადგილზე გასვლა, მაგრამ „დინამოსთვის" ეს შედეგი მხოლოდ და მხოლოდ წარუმატებლობა იყო. ოღონდ, არ დაგვავიწყდეს, რომ 2008-10 წლებისა და დღევანდელი „დინამოს" ფინანსური (და არა მარტო) მდგომარეობა, როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდებოდა, — რაღა თქმა უნდა, ამჟამად სიტუაცია ბევრად კი არა, შთამბეჭდავად უკეთესია. თუმცა, რად გინდა — საქართველოს თასის 21-წლიან ისტორიაში მესამედ მოხდა, როცა ამ გათამაშების აბსოლუტური რეკორდსმენი, თასის ცხრაგზის მფლობელი გუნდი ტურნირს... მერვედფინალში გამოეთიშა! თანაც, „დინამო" არც რომელიმე ფავორიტთან (ვთქვათ „ზესტაფონთან", „ტორპედოსთან" , „მეტალურგთან") დამარცხებულა და არც ერთმატჩიან დრამატულ დაპირისპირებაში (ვთქვათ, დამატებით დროში, ან — პენალტების სერიაში) წაუგია; უბრალოდ, ორრაუნდიან პაექრობაში ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოუგო გორის „დილას" (შინ — 2:2, სტუმრად — 0:0) და „დინამოს" მწვრთნელ-ფეხბურთელებს ახლა მთელი ყურადღება მხოლოდ ჩემპიონატისკენ ექნებათ. გასაგებია, რომ გორის „ქართლის" სტადიონის მოედნის საფარი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს (იქ, საერთოდ, ოფიციალური მატჩების ჩატარებაც არ შეიძლება!), მაგრამ ყოველივე ეს გამამართლებელ საბუთად მაინც არ მიგვაჩნია. ისე, როგორც... „დროისა თუ ადაპტაციის ფაქტორი", — „დინამოს" ესპანელმა თავკაცმა უკვე არაერთხელ ახსენა (მათ შორის, ჩვენთან ინტერვიუშიც), რომ ამა თუ იმ ფეხბურთელს, მხოლოდ და მხოლოდ, „დრო სჭირდება საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში"; შესაძლოა, ასეც არის, მაგრამ თასის გათამაშებას მერვედფინალში რომ გამოეთიშები და უშუალო კონკურენტებთან ვერც ერთ მატჩს რომ ვერ მოიგებ, ამ შემთხვევაში „დრო" ვის სასარგებლოდ არის „ჩართული"? იმასაც ვხვდებით, გარსიაც და მისი თანამემულე ფეხბურთელები გარკვეული კი არა, უკვე „საჯაროდ გაჟღერებული" ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ რომ იმყოფებიან: ბოლოს და ბოლოს, არავინ იცის, კლუბის მეპატრონის (გუნდს წარმატებული ასპარეზობისათვის ყველა პირობა რომ შეუქმნა) „ნდობის მანდატი: სადამდე გაგრძელდება...



დინამომ ბოლოს ტიტული 2009 წელს მოიგო


ალექს გარსიას პოსტს პირველი ადგილი თუ შეუნარჩუნებს...



დინამოელებს საფიქრალი მოეძალათ

**გია ტუხაშვილი**

**P.S.** სამ დღეში „დინამოს" არცთუ იოლი მატჩი ელოდება ბოლო წლების უპრინციპულეს მეტოქე „ვიტ ჯორჯიასთან". შემდეგ კი ორი ისეთი შეხვედრაც უნდა იყოს („ტორპედოსთან", „ზესტაფონთან"), საჩემპიონო თვალსაზრისითაც რომ უმნიშვნელოვანესი იქნება და, ალბათ, „დინამოს" ესპანელი თავკაცისთვისაც...

---

ამბები

## 0:9 [illegible]

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბელგიაში იქაურ თანატოლებთან მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა. მასპინძლები ქართველებს ამჯერად უმოწყალოდ აღარ გაუსწორდნენ და 3:0 იკმარეს. შეგახსენებთ, **გელა შეყილაძის** გუნდი პირველ შეხვედრაში ბელგიელებთან 0:9 განადგურდა და აქედან გამომდინარე, მხოლოდ სიმწრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 0:3 დიდი ვერაფერი რეაბილიტაციაა...

**ლევან ჯანეზაშვილი**

## გიგატაძემ ტორპედო 2 ჩაიბარა

ქუთაისის „ტორპედოს" პრესსამსახურის ცნობით, "მწვრთნელთა შტაბში მოხდა როტაცია. კერძოდ, ცვლილებები შეეხო „ტორპედოს" ახალგაზრდულ გუნდს, სადაც დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელის პოსტი გია გიგატაძემ დაიკავა, ხოლო მისი წინამორბედი გიორგი სუხიაშვილი ასაკობრივი გუნდების კოორდინატორი გახდა. გიგატაძეს დაეხმარება და დუბლების მეორე მწვრთნელი იქნება კახა ჩხეტიანი."

შეგახსენებთ, რომ **გია გიგატაძე** გასულ სეზონში „ტორპედოს" თავკაცობდა, პოსტი **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** დანიშვნის შემდეგ დატოვა, მაგრამ კლუბში დარჩა და მუშაობას სხვა რანგში აგრძელებდა.

**მერაბ მამულაშვილი**


გია გიგატაძე

## ბეგლარიშვილი ესტონეთის ჩემპიონია

ესტონეთის ჩემპიონატში ტალინის "ფლორამ" საკუთარ მოედანზე "ვილიანდი" 4:0 გაანადგურა და პირველობის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ქვეყნის ჩემპიონის ტიტული გაინაღდა. ეს ინფორმაცია კი ჩვენთვის საინტერესო იმიტომაა, რომ "ფლორას" ღირსებას **ზაქარია ბეგლარიშვილი** იცავს. ამ მატჩში მას გოლი არ გაუტანია, მაგრამ შეუცვლელად ითამაშა. მთლიანად ჩემპიონატში კი 21 წლის ბეგლარიშვილმა 22 შეხვედრა ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა. "ფლორასთან" ერთად იგი მეორედ გაჩემპიონდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ზაქარია ბეგლარიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# შოთა გრიგალაშვილი: ქიაბრიშვილსა და გეგუჩაძეს ერთნაირი საფეხბურთო გემოვნება აქვთ

შოთა გრიგალაშვილი „ზესტაფონში“ 2009 წელს გადავიდა უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი „მესხეთიდან“, იმერული კლუბის მაისურით უკვე 100-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა და შედეგიანობითაც გამოირჩევა. 25 წლის ნახევარმცველი ზესტაფონელთა შეტევებს საკმაოდ ამწვავებს. ის აქტიური იყო ბოლო ტურში „ტორპედოს“ წინააღმდეგაც, თუმცა ყოფილი მწვრთნელის კლუბთან მაინც დამარცხდა.



შოთა გრიგალაშვილი (მარჯვნივ)

**- „ტორპედოსთან“ მარცხის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა უფრო მეტად დაიძაბა. რისი წყალობით გაჯობათ მეტოქემ და, შენი აზრით, გაჯობათ თუ არა საერთოდ?**

- გვაჯობეს იმით, რომ ქუთაისელებმა გატანა მოახერხეს, ჩვენ კი - ვერა. მთლიანობაში ძალიან კარგი თამაში გამოვიდა.

**- იმსახურებდით წაგებას?**

- არა, წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით.

**- თამაშისას რამდენიმე საეჭვო ეპიზოდი იყო, როცა ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ. იქონია თუ არა გავლენა მსაჯობამ მატჩის შედეგზე?**

- შეცდომა ყველას მოსდის. ერთ ეპიზოდში პენალტი უნდა დანიშნულიყო. ორი საკამათო მომენტიდან ერთში თერთმეტმეტრიანის დაფიქსირება შეიძლებოდა. ხან დაინახავ ასეთ ეპიზოდებს, ხან ვერა. ჩვენ როცა გასატანი გვქონდა, მაშინ უნდა გაგვეტანა, თუმცა პენალტი რომ დანიშნულიყო, შესაძლოა, თამაში სხვანაირად წარმართულიყო და კიდევ გაგვეტანა.

**- „ტორპედოს“ მწვრთნელი ახლა გია გეგუჩაძეა, რომელიც სწორედ „ზესტაფონიდან“ გადავიდა ქუთაისში. თამაშამდე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, როგორ დახვდებიან ზესტაფონში გეგუჩაძესო. ამიტომაც მოულოდნელი იყო, რომ მოედანზე გამოსვლისას ზესტაფონელებმა ჯერ ყოფილი მწვრთნელი გადაკოცნეთ და შემდეგ მიესალმეთ გულშემატკივარს. ეს წინასწარ მოფიქრებული სცენა იყო თუ სპონტანურად მოხდა?**

- ყველამ დავინახეთ, პატივს ვცემთ, მივედით, მივესალმეთ და წამოვედით, ამას რა დადგმა უნდა.

**- თქვენი დამარცხება იმითაც ხომ არ იყო განპირობებული, რომ გეგუჩაძე „ზესტაფონს“ ძალიან კარგად იცნობს?**

- შესაძლოა, თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ მეტი შეგვეძლო. არ გაგვიმართლა კიდეც. უკლებლივ ყველამ დავაკელით რალაც. მათ ჰქონდათ დავალება, სად რა ზონა დაეკეტათ და ვინ სად აეყვანათ, მაგრამ ისეთი ადგილებიც რჩებოდა, გამოყენება რომ შეგვეძლო, მომენტებიც შევქმენით, მაგრამ ვერ გავიტანეთ.

**- გასაგებია, რომ გეგუჩაძე ძალიან კარგად იცნობს „ზესტაფონს“, მაგრამ თუ იყო რაიმე სიახლე, რაც მას გააკვირვებდა?**

- გეგუჩაძის წასვლის შემდეგ ისეთსავე ფეხბურთს ვთამაშობთ, როგორსაც მანამდე. გია ქიაბრიშვილსა და გია გეგუჩაძეს ერთნაირი საფეხბურთო გემოვნება აქვთ, ახალი არაფერი ყოფილა. შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ.

**- სეზონის ბოლოს კონტრაქტი გიმთავრდება, უკვე აქტუალურია ხმები შენს ტრანსფერთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ გეგუჩაძის ერთ-ერთ ფავორიტ ფეხბურთელს ახალი სეზონიდან „ტორპედოში“ ვიხილავთ, ლაპარაკია „დინამოზეც“...**

- ახლა ვერაფერს გეტყვით. კლუბის პრეზიდენტთან წასვლაზე არ მილაპარაკია. კონტრაქტი მაისში კი მიმთავრდება, მაგრამ მოლაპარაკებები ექვსი თვით ადრე იწყება ხოლმე. პრეზიდენტის გარეშე ნაბიჯს არ გადავდგამ, ერთმანეთს პატივს ვცემთ, ამიტომ დავილაპარაკებთ, ერთ აზრზე დავდგებით და გადაწყვეტილებას, დავრჩები თუ წავალ გუნდიდან, ისე მივიღებ.

**- ქუთაისში წასვლას გამორიცხავ?**

- ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ახლა არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

**- ბოლო რამდენიმე შეხვედრაა, თემურ ქეცბაია ნაკრებში გიძახებს. რამდენად გმატებს ეს სტიმულს და რას იტყოდი ნაკრების პერსპექტივაზე?**

- ყოველთვის დიდი იმედით ვფიქრობ, რომ ჩვენს ნაკრებსაც ეშველება. კარგის იმედი უნდა გქონდეს, „ვაიმე დედა, რა გვეშველება“-ს ძახილით ვერაფერს შევძლებთ. ყველამ ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ წინსვლაში. მადლობა ქეცბაიას, რომ მიწვევს. ვეცდები, ნდობა გავუმართლო. ამან დიდი სტიმული მომცა და შემომატრიალა არა მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით. მიხარია, რომ ბევრი ცუდი უკან დარჩა და სპორტული ცხოვრებით ვაგრძელებ ცხოვრებას.

**მაგდა კლდიაშვილი**

ლეგიონერი




# მერაბ გიგაური: აქ ყველაფერი მახარებს, თამაშიც და ხალხიც

**გიორგი დევდარიანმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებაზე გამოიძახა მერაბ გიგაური, რომელსაც უკვე უთამაშია 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში. 18 წლის საყრდენი ნახევარმცველი ქუთაისის „ტორპედომ“ ზაფხულში პოლონეთის ექსტრაკლასას ბიავისტოკის „იაგელონიაში“ ნახევარწლიანი იჯარითა და ტრანსფერის გამოსყიდვის უფლებით გაუშვა.**

***„ამ ახალგაზრდას თავის ქვეყანაში ნიჭიერი ფეხბურთელის რეპუტაცია აქვს. ფიზიკურად კარგად არის მომზადებული და გასული სეზონი მთავარ გუნდში მაღალ დონეზე ჩაატარა“, - თქვა „იაგელონიას“ მთავარმა მწვრთნელმა ჩესლავ მიშნიევიჩმა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.***

**მერაბ გიგაური მას შემდეგ პირველად ჩამოვიდა საქართველოში.**

**- პოლონეთის უმაღლესი ლიგის გუნდში მოხვედრა შენი ასაკის ქართველისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.**

- „იაგელონიაში“ მოხვედრა ჩემთვის მართლაც მშვენიერი შანსია საიმისოდ, კარიერა რომ ავიწყო. გუნდში ყველაფერი მომწონს, კარგი ფეხბურთელები გვყავს, მწვრთნელი მენდობა, მოსამზადებელ და სავარჯიშო პირობებზე აღარაფერს ვამბობს.

**- თუმცა ჯერ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდები.**

- 18-კაციან განაცხადში ხშირად ვარ, თუმცა ჯერ მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩავატარე, დუბლებში კი მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მაქვს. მთავარმა მწვრთნელმა რამდენჯერმე მითხრა, რომ ძირითადში მალე დამაწინაურებს. თამაშის გარდა არის სხვა ფაქტორებიც, რითაც კლუბს აფასებ - ამ მხრივაც კმაყოფილი ვარ. პოლონელებმა ძალიან თბილად და მეგობრულად მიმიღეს. უცხო ქვეყანაში, ახალ გარემოში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- ენის პრობლემა არ გაბრკოლებს?**

- პოლონურს უკვე ვსწავლობ და თანდათან თითქმის ყველაფერი მესმის.

**- ისე, ზოგი ჭირი მართლა მარგებელია, „ტორპედოს“ შემადგენლობაში ვერ ხვდებოდი და პოლონეთის უმაღლესი ლიგის გუნდში ჩაირიცხე.**

- „ტორპედომ“ ძალიან კარგი საქმე გამიკეთა. ვერ ვიტყვი, რომ გუნდის ხელმძღვანელობა არ მენდობოდა, ეგ... ყველა მწვრთნელი ერთი შეხედულებისა ვერ იქნება, მაგრამ ნდობა რომ არ ჰქონოდათ, პოლონეთში კი არ გამიშვებდნენ, გუნდიდან დამითხოვდნენ.

**- „იაგელონია“ შენი კონტრაქტის გამოსყიდვას თუ აპირებს?**

- ჯერ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ვატყობ, მწვრთნელს მოვწონვარ და ეს მაიმედებს.

**- პოლონეთის ჩემპიონატზე რას იტყვი?**

- ცხადია, პოლონური ლიგა პრემიერადივიზიონის რანგისა არ არის, მაგრამ საქართველოდან წასული მოთამაშისთვის საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატია. წვრილმანით დაწყებული და მსხვილმანით დამთავრებული, ყველაფერი მოწესრიგებულია – ლამაზი და კარგად მოვლილი სტადიონები, ხალიჩასავით მოედნები, სავსე ტრიბუნები და ძალიან კარგი სავარჯიშო პირობები. პოლონეთში ისეთი გარემო დამხვდა, რაზეც ფეხბურთელი ოცნებობს. თუ არ იზარმაცებ, აუცილებლად გაიზრდები.

პროგრესს მეც ვგრძნობ. ფიზიკურად აშკარად მოვუმატე, ამ საქმეში ხომ პოლონელებს ძლიერი სპეციალისტები ჰყავთ.

**- პოლონურ ფეხბურთზეც გვითხარი.**

- სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ. ეს მათი სტილია, ყველაფერი უნდა გააკეთო ტემპში, მოძრაობაში, გაჩერების, წამიერი მოდუნების უფლებას არავინ მოგცემს. თანაც, ძალისმიერ სტილს მისდევენ. სუსტად ისედაც არ ვგრძნობდი თავს, საკმაოდ კარგ ჯანზე ვიყავი, მაგრამ იქ საგრძნობლად მოვუმატე გამძლეობაშიც, ათლეტიზმშიც, სისწრაფეში და თეორიულადაც ბევრი ვისწავლე.

**- 11 ნოემბერს თურქეთში 19-წლამდელების შესარჩევი ტურნირი დაიწყება. შენი აზრით, საქართველოს გასვლის შანსი აქვს?**

- გიორგი დევდარიანმა უკვე დაამტკიცა, რომ ძლიერი მწვრთნელია და გუნდის კარგად მომზადება შეუძლია. თურქეთში „ვიტესიდან“ გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზაიშვილი დაგვემატებიან და გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებენ. ჩენი მიზანი ელიტრაუნდში გასვლაა და დიდი იმედიც გვაქვს, რომ ამას შევძლებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

კარგია, რომ ქვირდება

# ჩვენი ვიტესელების დიდი € ვრონახტომი

ჰოლანდიის ერედივიზიონში არნემის „ვიტესი“ წლეულს ჩინებულად ასპარეზობს – 11 ტურის შემდეგ 21 ქულით მე-4 ადგილზეა. **მერაბ ჟორდანიას** ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდის პროგრესი აშკარაა - შარშან ხომ გასავარდნად ჰქონდა საქმე.

გუნდის წინსვლას ჩვენთვის საინტერესო ამბავი მოჰყვა — „ვიტესში“ მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მაგალითად, **გურამ კაშიას,** შარშან ამ დროს თბილისის „დინამოში“ რომ თამაშობდა, გერმანული სააგენტო „ტრანსფერმარკტი“ 300 ათას ევროდ აფასებდა.

24 წლის ქართველმა მცველმა „ვიტესის“ ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი, ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ ვან დენ ბრომმა** წლეულს მისთვის ჩვეულ, ცენტრალური მცველის პოზიციაზე დააყენა, თანაგუნდელებმა კი კაპიტნად აირჩიეს, რასაც ეროვნულ ნაკრებში სისტემატური თამაში დაემატა. კაშიამ წლეულს ყველა, 11-ივე შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

შედეგად მივიღეთ ის, რომ „ტრანსფერმარკტმა“ კაშიას სატრანსფერო ფასი 2 მილიონ ევრომდე გაზარდა, რაც მართლაც უდიდესი ნახტომია.

ასევე გაიზარდა არნემელთა ქართველი ფორვარდის, **გიორგი ჭანტურიას** ფასიც – ზაფხულში მას 500 ათას ევროდ აფასებდნენ, სექტემბერში კი - 1 მილიონად. თუმცა დაიწყო შემოდგომის ბოლო თვე, „ვიტესის“ 19 წლის თავდამსხმელმა ერედივიზიონის 10 მატჩში სამჯერ გაიტანა და ტრანსფერიც კიდევ უფრო დაუფასდა – 2 მილიონი ევრო!

ამგვარად, კაშია და ჭანტურია დამკვიდრდნენ ყველაზე ძვირად ღირებული ქართველი მოთამაშეების ათეულში, რომელიც ასე გამოიყურება:

**1. ალექსანდრე ამისულაშვილი („კრასნოდარი“) – 2 800 000 ევრო**

**2. ჯანო ანანიძე (მოსკოვის „სპარტაკი“) - 2 200 000**

**3-5. გოგიტა გოგუა (ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა“), გურამ კაშია, გიორგი ჭანტურია (ორივე — „ვიტესი“) – 2 000 000**

**6. კახა კალაძე („ჯენოა“) – 1 700 000**

**7-8. ოთარ მარცვალაძე („კრასნოდარი“), ლადო დვალიშვილი (ჰაიფას „მაკაბი“) – 1 200 000**

**9-10. ლაშა სალუქვაძე (ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა“), ნუკრი რევიშვილი (მახაჩყალის „ანჟი“) – 1 000 000**

■ ■ ■

სამწუხაროდ, ტრავმიანობის გამო **ლევან ყენიას** ფასი 2 მილიონიდან 500 ათას ევრომდე დაეცა – იმედია, მხოლოდ დროებით და „შალკეს“ ქართველი პლეიმეიკერი დაკარგულს მალე აინაზღაურებს.

უცნაურზეც მოგახსენებთ: საქართველოს ნაკრების 2011 წლის აღმოჩენა **დავით თარგამაძე** ჯერაც მხოლოდ 350 ათასად ფასდება.

ორი წლის წინ 3,5 მილიონად აფასებდნენ **ლევან კობიაშვილს**, მაგრამ ასაკი ასაკია და „ტრანსფერმარკტი“ ბერლინის „ჰერტას“ ქართველს ახლა 750 ათასად აფასებს.

■ ■ ■

აქვე უცხოეთის მოქალაქე ქართველებში ყველაზე ძვირად ღირებულების სიასაც გაგაცნობთ:

1. **აკაკი გოგია** („აინტრახტი“ ფრანკფურტი) – 750 000
2. **გოჩა ხოჯავა** (ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა“) – 700 000
3. **ლევან გვაზავა** (გროზნოს „ტერეკი“) – 500 000
4. **გუჯა რუხაია** (ნალჩიკის „სპარტაკი“) – 400 000
5. **იგორ ჩემინავა** (სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“) – 200 000

**მერაბ მამულაშვილი**

ბავშვთა ფეხბურთი

# მორკინალის პირველი შეჯიბრება

ახლახან დაარსდა კლუბი „მორკინალი“, რომელშიც თბილისის რამდენიმე სკოლა გაერთიანდა და პრეზიდენტად პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე** აირჩიეს. კლუბს სპორტის რამდენიმე სახეობაში ჩემპიონატის ჩატარება აქვს დაგეგმილი.

გუშინ დასრულდა საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც თბილისის 9 სკოლა მონაწილეობდა. ფინალურ მატჩში ძალები მეტად არათანაბარი გამოდგა — 115-ე სკოლის გუნდმა 173-ეს 10:1 მოუგო და მედლებსა და თასს დაეუფლა.

ტურნირის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა 115-ე სკოლის თავდამსხმელი **ბექა ბექაური**, რომლის ანგარიშზე 22 გოლია. ფინალში მან 5 ბურთი გაიტანა.

როგორც კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **გია ბეგიაშვილმა** გვითხრა, შეჯიბრებები კიდევ ცხრა სახეობაში ჩატარდება. მომდევნო ტურნირი ჭიდაობაში გაიმართება, რომელშიც რეგიონების ჩართვაც იგეგმება.

**ნიკა გვათუა**

კაპიტანი

# ნაკრებში გამოიძახე, ფაბიო!



სანამ ნაკრების ამბავს მოვყვებოდეთ, იმ საქმის შესახებ ვ...ყვათ, რომელსაც ცალკე ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია იძიებს და ცალკე ლონდონის პოლიცია. ლაპარაკია „ქუინზ პარკ რეინჯერსისა“ და „ჩელსის“ შეხვედრაში, „რეინჯერსის“ 26 წლის მცველ **ანტონ ფერდინანდსა** და „ლურჯების“ 30 წლის კაპიტან **ჯონ ტერის** შორის მომხდარ ინციდენტზე — ტერის **რიო ფერდინანდის** უმცროსი ძმის რასობრივი შეურაცხყოფა ედება ბრალად. სიახლე ის გახლავთ, რომ ეპიზოდი, როდესაც ტერი ფე...ინანდს აგინებს, ტელეკომპანია „სკაი სპორტის“ ოცზე მეტი კამერიდან კიდევ ერთს ჰქონია გადაღებული. მოგეხსენებათ, გამოძიება აქამდე მხოლოდ ერთ ჩანაწერს ატრიალებდა, ახლა კი საშუალება აქვს, მეორეც დაატრიალოს. მეორე მხრივ, როგორც ირკვევა, ახალი ჩანაწერი გამოძიებისთვის რეალურად ვერაფერს ცვლის. ერთი ესაა, გინების ფაქტს წყალი აღარ გაუვა, „ლურჯების“ კაპიტანმა „რეინჯერსის“ მცველს ნამდვილად უთხრა ცუდი სიტყვები, სადაც ფრაზა „შე შავო“ ერია.

ამ სიტყვებს, როგორც იცით, არც ტერი უარყოფს, უბრალოდ, ამბობს, რომ ისინი სულ სხვა კონტექსტში თქვა. კერძოდ, „ჩელსის“ კაპიტნის ვერსიით, ფერდინანდს მოეჩვენა, რომ მან „შე შავო“ დაუძახა და ჩხუბი დაუწყო, რის გამოც ტერი იძულებული გახდა დაახლოებით ასეთი რამ ეპასუხა: *„რატომ მაბრალებ, რომ შავი ... დაგიძახე?!“* ვეტერანი ყვება, რომ ეს მან გაბრაზებულმა წარმოთქვა და ჩანაწერებშიც სწორედ ეს ეპიზოდი ჩანს.

ამრიგად, საკითხს ნათელი ვერც ახალმა ჩანაწერმა მოჰფინა. აქაც კარგად ჩანს, ტერი ფერდინანდს „შე შავოს“ რომ უძახის, მაგრამ რა ხდებოდა მანამდე, კვლავ გაუგებარია, რადგან კადრში მოკინკლავე წყვილს სხვა ფეხბურთელები ეფარებიან. გამოდის, რომ ტერი თავის ვარიანტს ვერაფრით ამტკიცებს. გამომძიებლებს ერთადერთი ვარიანტი აქვთ: ორივე გუნდის ფეხბურთელები უნდა დაჰკითხონ. მანამდე კი არის მხოლოდ ერთი კაცის სიტყვა მეორის სიტყვის წინააღმდეგ — ერთი ამბობს, რომ ცუდი სიტყვები შეურაცხყოფის მიზნით ითქვა, მეორე კი სხვა წინაისტორიას ყვება.

გუშინ მოგახსენებდით, რომ ტერი-ფერდინანდის ინციდენტის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ცუდ დღეში ჩავარდა — კარს ესპანეთისა და შვედეთის ნაკრებებთან ამხანაგური თამაშებია მომდგარი და ასოციაციას არ უნდა, სამკლავური ეკეთოს ადამიანს, რომელსაც ბრალად რასისტობა ედება. მეორე მხრივ კი ტერისთვის, რომელიც „ჩელსის“ გარდა ეროვნული გუნდის კაპიტანიცაა, ჯერ არავის არაფერი დაუმტკიცებია. სანაკრებო თამაშებთან დაკავშირებით, ხმა თავად ტერიმაც ამოიღო. მან **ფაბიო კაპელოს** თხოვნით მიმართა, გამოძიების გამო არაფერი შეცვალოს და შეკრებაზე ჩვეულებრივ გამოიძახოს.

ინგლისელთა ნაკრების იტალიელი მწვრთნელი, დელიკატურ მდგომარეობაშია და სურს კვირამდე, როდესაც შეკრებაზე გამოძახებულთა სია უნდა გამოაქვეყნოს, ასოციაციის შეფებთან ერთად მეტ-ნაკლებად მაინც გაარკვიოს, რა მოხდა და როგორ უნდა მოიქცეს. ჯერჯერობით ტერის გამოძახება-არ გამოძახების საქმე 50-50-ზეა. რიო ფერდინანდმა, რომელიც ინგლისის ნაკრების დაცვის ცენტრს წლების განმავლობაში ამაგრებდა, ამ დღეებში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში საგანგებო სამკლავურით ითამაშა. სამკლავურზე ეწერა: *„ერთად რასიზმის წინააღმდეგ“*. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ გუნდში განხეთქილებაა.

არსენალი

# ჟერვინიოს სურვილი



ედენ აზარი

24 წლის კოტ დ'ივუარელი თავდამსხმელი **ჟერვინიო** „არსენალის“ ახალწვეულია, მაგრამ კლუბს უკვე სთავაზობს ფეხბურთელს, რომელიც მისი აზრით „ემირეიტ სთედიუმზე“ სასიკეთო კვალს დაამჩნევს. ლაპარაკია 20 წლის ბელგიელ ნახევარმცველ **ედენ აზარზე**. აზარდი და ჟერვინიო ერთმანეთს ფრანგული „ლილიდან“ იცნობენ, სადაც გასულ სეზონში თამაშობენ მხარდამხარ. ზაფხულში ჟერვინიომ „ლილი“ დატოვა და 12,2 მილიონ ევროდ ჩრდილოეთ ლონდონში გადაბარგდა. არ არის გამორიცხული, მომდევნო ზაფხულში მისი გზა ბელგიელმაც გაიმეოროს.

ედენ აზარის კარგი ფეხბურთელობის ამბავი მარტო „ემირეიტ სთედიუმზე“ როდია ცნობილი. ნახევარმცველის გადაბირებაზე ფიქრობენ „რეალი“, „მილანი“, „იუვანტუსი“ და „პარი სენ ჟერმენიც“. 29 მილიონ ევროდ შეფასებულმა ბელგიელმა „ლილში“ ჩატარებულ 120 შეხვედრაში 20 გოლი გაიტანა. ჟერვინიო ამბობს:

*„აზარი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელიც უსაზღვრო ნიჭით გახლავთ დაჯილდოებული. მას ყველა თვისება აქვს საიმისოდ, რომ ინგლისში შთაბეჭდილება მოახდინოს“.*

თავად აზარმა კი თქვა: *„ახალი გამოწვევისთვის, ახალ კლუბში, ახალ ქვეყანაში გადასასვლელად შინაგანად მზად ვარ. ახლა იანვარში „ლილიდან“ არსად წავალ. ამის გაკეთება სისულელე იქნებოდა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ საფრანგეთში ბოლო სეზონს ვატარებდე“.*

საინტერესოა, რომ აზარს, რომელსაც „მცველთა კოშმარს“ უწოდებენ და **ლეო მესისა** და **კრიშტიანო რონალდოსაც** კი ადარებენ, დედაც ფეხბურთელი ჰყავდა და მამაც.

დიდი მწვრთნელი

# ფერგის 25 წელიწადი

## ნეტავ, ის თამაში არ ყოფილიყო

კვირას 25 წელიწადი სრულდება, რაც სერ **ალექს ფერგიუსონი** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელია! დაგვეთანხმებით, მას სრული უფლება აქვს არხეინად დაჯდეს და ის დიდი ტიტულები ითვალოს, რომლებიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოაპოვებინა. ამ კლუბსა და ინგლისურ ფეხბურთში მან მთელი ეპოქა შექმნა, რომლის განმავლობაშიც უამრავი დიდი ჯილდო მოიგო, მაგრამ ვინც ამ ადამიანს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ჯერ ერთი მიღწეულით ვერ კმაყოფილდება და მეორეც, მას მოსვენებას არ აძლევს ის თამაშები, რომელთა მოგებაც შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა.

იმ შეხვედრათა შორის, რომლის გახსენებაც ფერგის დღემდე არ სიამოვნებს, ერთს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს გახლავთ 1994-95 წლების ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩი, რომელიც „იუნაიტედმა“ სტუმრად ითამაშა „ვესტ ჰემთან“. სატურნირო მდგომარეობა ასეთი იყო: თუ „ბლექბერნი“ „ენფილდზე“ „ლივერპულს“ ვერ მოუგებდა, ფერგის ბიჭები კი „აპტონ პარკზე“ გაიმარჯვებდნენ, „იუნაიტედი“ ჩემპიონი გახდებოდა. კითხვაზე, ამ 25 წლის განმავლობაში ჩატარებული თამაშებიდან რომლის ამოგდებას ინატრებდა, ფერგიუსონს მკაფიო პასუხი აქვს:

*„ის თამაში, რომელიც „ვესტ ჰემთან“, 1995 წელს, სტუმრად 1:1 დავამთავრეთ. დღემდე ვერ ვიჯერებ, რომ მსაჯმა მათი მცველის, ტიმ ბრიკერის ხელით თამაში ვერ შეამჩნია და პენალტი არ დანიშნა. ეს არის ერთადერთი შეხვედრა, რომელსაც შევცვლიდი, რადგან ჩვენ იმ დღეს გამარჯვებას ვიმსახურებდით. „ვესტ ჰემის“ კართან რაღაც საშინელება ხდებოდა, მომენტს მომენტზე ვქმნიდით, მაგრამ გამარჯვების გოლი ვერა და ვერ გავიტანეთ. ხანდახან ბედი ასეთ წარმოუდგენელ ოინებსაც აწყობს“.*

არადა, იმ დღეს „ბლექბერნმა“ „ლივერპულთან“ წააგო, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მაინც ვერ გახდა ჩემპიონი. თუმცა, შემდეგ წელიწადს მოხდა ის, რაც ფერგიუსონს ყველაზე კარგად ახასიათებს: „იუნაიტედი“ ჩემპიონიც გახდა და ფეხბურთის ასოციაციის თასიც მოიპოვა.



ალექს ფერგიუსონი

69 წლის შოტლანდიელი განმარტავს: *„კლუბი არ გაძლევს მოსვენების საშუალებას. ის შენგან ახალ წარმატებებს ელის და შენც მორიგ ბრძოლაში ებმები. მაშინ, რასაკვირველია, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დღეს ისევ „იუნაიტედის“ მწვრთნელი ვიქნებოდი. მეორე მხრივ კი, ასეთი რამ რომ გააკეთო, თანდაყოლილი ენერგია უნდა გქონდეს, რაც მე არასდროს მაკლდა. რასაც მივაღწიე, ჩემმა ხასიათმა განაპირობა, ასეთი ხასიათი კი ბავშვობიდან მიყალიბდებოდა. ვფიქრობ, ამაში განსაკუთრებული არაფერია. ასეთი ხასიათი უამრავ ადამიანს აქვს“.*

ჩელსი

# ჩეხი სიმართლეს თვალებში უყურებს

„ჩელსის“ მეკარე, 29 წლის **პეტრ ჩეხი** შიშობს, რომ მისმა გუნდმა ბევრი უხეში შეცდომის გამო ამ სეზონში ჩემპიონობის შანსი გვარიანად შეიმცირა. მეორე მხრივ, ჯერ დასკვნების გამოტანა ნაადრევია და და ამიტომ ჩეხი თანაგუნდელებს აფრთხილებს - დაწინაურებული „მანჩესტერ სიტის“ კიდევ უფრო წინ გაშვება აღარ შეიძლება. „ჩელსი“ ვალდებულია ქულები აღარ დაკარგოს. მეკარე, რომელმაც პრემიერლიგაში მხოლოდ პირველ შეხვედრაში მოახერხა მოედნიდან გაშვებული გოლის გარეშე გასვლა, ამბობს, რომ „ლურჯებს“ შაბათს, „ბლექბერნთან“ შეცდომის უფლება აღარ აქვთ:

*„ბოლო ხანს, უკლებლივ ყველა შეცდომის გამო ვისჯებით, შეცდომებს კი, იცოცხლეთ, ძალიან ბევრს ვუშვებთ. არადა, ლოგიკურია, თუ მოწინააღმდეგეებს საკუთარ კართან სახიფათო მომენტების შექმნის საშუალებას მისცემ, ისინი გოლს გოლზე გაგიტანენ. პრობლემები გვაქვს მეტოქეთა კართანაც. როდესაც გვეძლევა შესაძლებლობა გოლი შევაგდოთ და თამაში ჩავკლათ, ამას არ ვაკეთებთ, რის მერეც ისინი ფხიზლდებიან და გვსჯიან. არადა, ზოგადად თამაშებს რომ დააკვირდეთ, ბურთს მეტწილად ჩვენ ვფლობთ, ძალიან კარგ კომბინაციებს ვათამაშებთ და სხვა. ასეთ დროს კი დამარცხების ფაქტად მიღება და მასთან შეგუება მეტისმეტად ძნელია. ამ ნავსიან პერიოდს რაც უფრო მალე გავივლით, მით უფრო კარგი იქნება, რადგან ჩვენ მეტი წაგებისა და ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს. მესმის, რომ სეზონის დამთავრებამდე ჯერ ძალიან დიდი დროა, მაგრამ „მანჩესტერ სიტი“ დიდებულად თამაშობს და მისი კიდევ უფრო წინ გაშვება ცოცხალი თავით არ შეიძლება.*



*ჩვენ ვალდებული ვართ „სიტის“ ეს უპირატესობა შევამციროთ და ლიდერს ფსიქოლოგიური ზეწოლა მოვუწყოთ. გასული სეზონი მახსენდება, როდესაც ძალიან დაწინაურებულ „მანჩესტერ იუნაიტედს“ კი წამოვეწიეთ, მაგრამ გადასწრება ველარ მოვახერხეთ და საბოლოოდ ჩემპიონი მაინც ის გახდა“.*

ლივერპული

# კიგანს წითლების სჯერა

„ლივერპულის“ ლეგენდა, **კევინ კიგანი** იმედოვნებს, რომ მისი ყოფილი გუნდი ამ სეზონში დიდ ამოცანას გადაწყვეტს — პრემიერლიგის ოთხეულში შევა და საგაისო ჩემპიონთა ლიგაში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „წითლებმა“ არათუ ჩემპიონთა ლიგაში, არამედ ევროლიგაზე გასვლაც კი ვერ მოახერხეს. კიგანის აზრით, მერსისაიდელთა უპირატესობა შესაძლოა სწორედ ეს იყოს — მაშინ, როდესაც კონკურენტები ძალას ორ ფრონტზე ხარჯავენ, „ლივერპული“ მხოლოდ პრემიერლიგაზეა კონცენტრირებული და დიდი შანსია შედეგსაც უფრო მიაღწიოს.

ამ არგუმენტს, კევინ კიგანისთვის, რასაკვირველია, ემატება ისიც, რომ „ლივერპულს“ სათავეში არც მეტი, არც ნაკლები, **კენი დალგლიში** უდგას. კითხვაზე, რომელ ადგილზე გავლენ ამ სეზონში წითლები, კიგანმა უპასუხა:

*„ისინი ევროშეჯიბრებებში არ იღლებიან და ამიტომ, ვფიქრობ მეოთხე ან მესამე ადგილზე გავლენ. ვინმე შეიძლება შემედავოს და მითხრას, რომ კენი „ქარლინგის თასზე“ გუნდს არ ასვენებს. პრემიერლიგის გარდა „ლივერპული“ ამ ტურნირზეც უძლიერესი შემადგენლობით თამაშობს ანუ ისიც იღლება, მაგრამ, მოდი ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ ევროთასებისა და „ქარლინგის თასის“ დატვირთვების შედარება არ შეიძლება. სად რუსეთში გადაფრენა, თამაში და დაბრუნება და სად აქვე, ლონდონში ჩასვლა-ჩამოსვლა. ის, რომ ევროლიგაში ვერ მოხვდა, „ლივერპულისთვის“ დიდი უპირატესობაა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

სახალისო





# ისინი მტრები ეგონათ

ვისაც არცთუ შორეული წარსული კარგად ახსოვს, არ დაავიწყდება სცენები, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ დაპირისპირება საფეხბურთო ზღვარს სცილდებოდა და ფეხბურთელების დაპირისპირებაში გადადიოდა. ეს იყო დიდი მატჩები დიდი ვნებათაღელვით. ვითარება განსაკუთრებით მაშინ რთულდებოდა, როდესაც ერთმანეთს „რქებით“ უტეხი ბუნების ვარსკვლავები, „მეთოფე“ **პატრიკ ვიეირა** და „იუნაიტედის“ ლიდერი **როი კინი** ეჯახებოდნენ.

მაგრამ აი, გავიდა დრო და... „მანჩესტერ სიტის“ (ვიეირა დღეს ისტლენდზე მუშაობს) ბოლო თამაშის წინ, ტელეკომპანია ITV-ს ეკრანზე ფრანგი და ირლანდიელი ერთად გამოვიდნენ. არადა, ამ ორ ფოტოს შორის სულ 6 წელიწადია...

იტალიის ნაკრები

## მაურიც საოპერაციოა



სტეფანო მაური

პრანდელის „აძურაში“ ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკავა **სტეფანო მაურის**, თუმცა 31 წლის ნახევარმცველმა ტრავმა მიიღო და კარგა ხნით ჩამოშორდა ფეხბურთს. დაახლოებით სამი-ოთხი თვეა, რაც სტეფანოს ძირითადად ლაზარეთში უწევს ყოფნა და მის გამოჯანმრთელებას არა და არ დაადგა საშველი. როგორც ჩანს, „ლაციოს“ ექიმებს მოთმინების ფიალა აევსოთ და ფეხბურთელი ოპერაციის გაკეთებაზე დაიყოლიეს. დიახ, დაიყოლიეს, რადგან მაურიმ ერთხელ უკვე იუარა დანის ქვეშ დაწოლა და დაჰპირდა კლუბის მესვეურებს, რომ სარეაბილიტაციო კურსით უფრო მალე მოახერხებდა სრულად გამოჯანმრთელებას. მისი დანაპირები არ შესრულდა და 4 ნოემბერს რომის ერთ-ერთ კლინიკაში ერთხელ უკვე გადადებული ოპერაცია მაინც გაკეთდება. დანარჩენზე თავად ფეხბურთელი იტყვის:

*„დიდი იმედი მაქვს, რომ ოპერაცია წარმატებით ჩაივლის და მოედანს მალე დავუბრუნდები. როგორც ექიმებმა მითხრეს, სარეაბილიტაციო პერიოდი 2-3 თვეს წაიღებს, რაც ოპერაციის კვალობაზე არცთუ ისე დიდი დროა. ანუ, სეზონის გადამწყვეტ ნაწილს სრულ მზადყოფნაში შევხვდები“.*

**ლაშა წიკლაური**

# სკუადრა აძურა ლიდერების გარეშე

## პრანდელის მრჩეველები არ აკლია

ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა საფეხბურთო იტალია საგონებელში ჩააგდო. ხუმრობა საქმე ხომ არაა, რამდენიმე დღის ინტერვალში ეროვნული ნაკრების ორი წამყვანი ფეხბურთელი დაშავდა და საყვარელ საქმეს თვეობით ჩამოცილდა. დაშავდა - ალბათ უფრო **ჯუზეპე როსიზე** ითქმის, რომელმაც ფეხის ტრავმა მიიღო, აი **ანტონიო კასანოს** ამბავი კი გაცილებით უფრო სერიოზულია, მას გულის დაავადება აღმოაჩნდა... ასეა თუ ისე, ერთიც და მეორეც კარგა ხნით, ოთხიდან ექვს თვემდე ჩამოშორდა ფეხბურთს, ეს კი ყველაზე მეტად იტალიის ეროვნულ გუნდს დააზარალებს.

**ჩეზარე პრანდელის** ხელში „სკუადრა აძურა“ შესანიშნავად ათამაშდა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაძლია. ამასთან, წარმატებულად იასპარეზა ამხანაგური შეხვედრის აბსოლუტურ უმრავლესობაში, რომელთაგან გერმანიასთან გასვლითი ფრე და ესპანეთის საკუთარ კედლებში ძლევა უნდა გამოვარჩიოთ. ანუ, „აძურამ“ კარგი ტემპი აკრიფა და სრულიად სამართლიანად ითვლება ევროფორუმის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად.

ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ბოლო დღეებში დატრიალებულმა ამბებმა შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დააყენოს - ფაქტია, რომ იტალიის ნაკრებს ორი საუკეთესო შემტევი, შეიძლება ითქვას, მთავარი დამრტყმელი ძალა გამოაკლდა და ჯერჯერობით ბუნდოვანია, როდის დაუბრუნდებიან ისინი მოედანს. როსის შემთხვევაში ექიმებმა ხუთი-ექვსი თვე თქვეს, კასანოს სარეაბილიტაციო კურსი კი ოთხიდან ექვს თვემდე განისაზღვრა; თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუ საკმაოდ რთული და მძიმე ოპერაცია წარმატებულად ჩაივლის. ანუ, კარგ შემთხვევაში ფორვარდები სეზონის ბოლოს დაუბრუნდებიან მოედანს, როდესაც ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ძალიან მცირე დრო იქნება დარჩენილი, ფორმის აღდგენის ალბათობა კი საკმაოდ დაბალი. ცუდ შემთხვევაზე ლაპარაკი კი არცთუ ისე სასიამოვნოა, რადგან როსის შემთხვევაში მომავალ სეზონზე გვაქვს საუბარი, კასანოს კი შეიძლება ოპერაცია კარიერის დასრულებადაც კი დაუჯდეს. მართალია, ამის ალბათობა საკმაოდ მცირეა, მაგრამ მაინც არსებობს. რა უნდა ქნას ჩეზარე პრანდელიმ, მას ხომ ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოეცალა ხელიდან?... ამ თემაზე, „გაძეტა დელო სპორტი“ იტალიური ფეხბურთის დამსახურებულ მწვრთნელებს გაესაუბრა., რომელთაც წარდგენა ნამდვილად არ სჭირდებათ..

### არიგო საკი

ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მოვლენები ასე ცუდად განვითარდებოდა, გულშემატკივართა დიდი ნაწილი ნაკრების შანსებს უკვე სკეპტიკურადაც კი უყურებს, თუმცა ეს განწყობა ჩეზარე პრანდელიმ უნდა განდევნოს, რომელმაც ყველაზე უკეთ იცის, რა უნდა მოიმოქმედოს ასეთ სიტუაციაში. ჯერ ერთი, არის შანსი, რომ როსიც და კასანოც ევროპის ჩემპიონატამდე მომჯობინდნენ, თუ არა და, მაშინ ფსონი სხვა ფეხბურთელებზე უნდა გაკეთდეს.

ახალი არაა, რომ პრანდელი შეტევის წინა ხაზზე სწორედ კასანო-როსის ტანდემზე აკეთებდა აქცენტს, შემცვლელებად კი ისევ მათი ყაიდის ფეხბურთელები უნდა მოინახონ. პირველ რიგში, **სებასტიან ჯოვინკო** მახსენდება, რომელიც ძალიან კარგ სეზონს ატარებს, ასევე, **ანტონიო დი ნატალე**, რომელიც დიდია შანსი დაუბრუნდეს „აძურას“. ყოველ შემთხვევაში, კასანოსა და როსის პრობლემებმა ამის ალბათობა ერთიორად გაზარდა. მჯერა, რომ პრანდელი ოპტიმალურ გამოსავალს მონახავს.

### მარჩელო ლიპი

პირველ რიგში, მინდა ორივეს სწრაფად გამოჯანმრთელება ვუსურვო, განსაკუთრებით კი კასანოს, რომლის მდგომარეობაც ფეხბურთის ფარგლებს სცდება. მჯერა, რომ მალე დაუბრუნდებიან მოედანს და საყვარელ საქმეს გააგრძელებენ.

რაც შეეხება ამ ვითარებიდან გამოსავალს ეროვნული ნაკრების კუთხით, ჩემი აზრით, საგანგაშო არაფერია და პრანდელიმ ჩვეულებრივად უნდა გააგრძელოს მუშაობა. გვყავს არაერთი უმაღლესი კლასის ფორვარდი, რომლებსაც ძალიან კარგად შეუძლიათ დაკისრებული ფუნქციების შესრულება. ვფიქრობ, რომ დღეს საუკეთესო იტალიელი თავდამსხმელი **ალესანდრო მატრია**, რომელსაც სიამოვნებით შევუწყვილებდი **ფაბიო კვალიარელას**. მართალია, ფაბიო ჯერ არ არის ფორმაში, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია და დარწმუნებული ვარ, რომ მალე დაიბრუნებს ოპტიმალურ კონდიციას. უნდა შეცვალოს თუ არა პრანდელიმ ტაქტიკა? - ბოლო პერიოდში, ჩეზარე 4-4-2-ს იყენებდა, რაც ოპტიმალური სქემა მგონია „სკუადრა აძურასთვის“; ასე რომ, ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

### კარლო ანჩელოტი

კასანოსა და როსის გარეშე პრანდელის „აძურა“ რთული წარმოსადგენია, მაგრამ, როგორც მინიმუმ, რამდენიმე თვე ასეთ რეალობაში მოგვიწევს ცხოვრება. მესმის, რომ გულშემატკივრებისთვის ეს საკმაოდ არასასიამოვნო შეგრძნებაა, მაგრამ მე მაინც ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ორივე მათგანი გაემგზავრება.

რაც შეეხება მათი შემცვლელების საკითხს, თუ თამაშის სტილით და მანერით ვიმსჯელებთ, მაშინ სებასტიან ჯოვინკო უნდა მოვიშველიოთ, მაგრამ ის ერთია და ორივეს მაგივრობას ვერ გაწევს - ამასთან, ჯერ მაინც ადრეა იმისთვის, რომ ეროვნულ ნაკრებში ლიდერობა იტვირთოს. გვინდა თუ არა, კასანოსა და როსის გარეშე პრანდელის ნაკრები ნაკლებად შემოქმედებით ფეხბურთს ითამაშებს. აქცენტი კლასიკური ტიპის ცენტრფორვარდებზე გაკეთდება, ისეთები, როგორებიც ალესანდრო მატრი, **ჯამპაოლო პაცინი** და **მარიო ბალოტელი** არიან. ვგონებ, ასეთი „აძურა“ არანაკლებ ძლიერი და შესაძლოა, შედეგზე კიდევ უფრო ორიენტირებული იქნება.

**ლაშა წიკლაური**



ჯუზეპე როსი (მარცხნივ) და ანტონიო კასანო

სამწვრთნელო ცვლილება

## არიგონი: ჩეზენა გადარჩება

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ იმის შესახებ, რომ „ჩეზენას“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **მარკო ჯამპაოლო** გაათავისუფლეს, ვისი ადგილიც ორიოდე დღის წინ **დანიელე არიგონიმ** დაიკავა. 52 წლის სპეციალისტი სწორედ ჩეზენელი გახლავთ, თუმცა აქამდე მშობლიური ქალაქის გუნდში არასდროს უმუშავია - თავის დროზე, „კალიარის“, „ბოლონიას“, „ლივორნოს“ და „ტორინოს“ მეტ-ნაკლები წარმატებით წვრთნიდა. რიგონის დიდი იმედი აქვს, რომ მის ხელში „ჩეზენა“ თავს დააღწევს გასავარდნ ზონას და ელიტარულ დივიზიონში ადგილს შეინარჩუნებს. სანამ სიტყვას „ჩეზენას“ ახალ მწვრთნელს გადავცემდეთ, აღვნიშნოთ, რომ დანიელემ კლუბთან სეზონის ბოლომდე გააფორმა ხელშეკრულება:

*„ვფიქრობ, საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს იმის, რომ კრიზისი დავძლიოთ და გასავარდნი ზონიდან ამოვძვრეთ. როდესაც „ჩეზენადან“ წინადადება მივიღე, ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რადგან მშობლიური ქალაქის გუნდში მუშაობა ყოველთვის მინდოდა. შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი გვყავს და სიმართლე გითხრათ, მიკვირს რომ გუნდი ასეთ დღეში ჩავარდა. მიუხედავად იმისა, რომ „ჩეზენა“ უკანასკნელ ადგილზეა სატურნირო ცხრილში და ჯერ მოგება არ აქვს, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ; მჯერა, რომ მთავარ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ“.*

**ლაშა წიკლაური**



კვირის ფრაზები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუკეთესო სიმულიანტი

„ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ ნახევარმცველმა **პოლ შარნერმა ლუის სუარესს** ყველა დროის საუკეთესო სიმულიანტი უწოდა. თუ უფრო დაკონკრეტება გნებავთ, ასე ვიტყვით: შარნერის აზრით, არავის შეუძლია ჯარიმების ისე ოსტატურად გაფორმება, როგორც ეს ურუგვაელს ძალუძს - ასეთი რამ „ლივერპულის“ თავდამსხმელმა კვირას, ავსტრიელი ფეხბურთელის გუნდთან თამაშისას გააკეთა, როდესაც პენალტი აშკარად არ იყო და მსაჯი „წამოაგო ანკესზე“, თერთმეტმეტრიანი კი **ჩარლი ადამმა** აქცია გოლად. *„არავის ვატყუებ, სიმართლეს ვამბობ: ის მართლაც მაგრად სიმულიანტობს - ამბობს შარნერი და იქვე დასძენს - შესაძლოა, ამ კომპონენტში მას ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში. მანამ, სანამ ის ჩვენთან შეხვედრაში უაზროდ დაანიშნინებდა მსაჯს პენალტს, მასზე კარგი შეხედულება მქონდა, მაგრამ ამის შემდეგ რადიკალურად შემეცვალა. თუ ასეთ რამეზე მსაჯი პენალტისკენ მიუთითებს, მაშინ, როცა სუარესი საჯარიმოში გაგორდება, ასიდან ასივე პენალტი უნდა დაიდოს“.*

## არაფრის თქმა შემიძლია

ბუნდესლიგის მოქმედი ჩემპიონის დორტმუნდის „ბორუსიას“ ვარსკვლავმა, **მარიო გიოტცემ** კლუბიდან თავის სავარაუდო წასვლაზე ისაუბრა. შეგახსენებთ: გიოტცეს თავიდანვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და უკვე მაღალი დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. „ბილდთან“ საუბარში მარიო ამბობს: *„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩემპიონთა ლიგაზე თამაში. ძალიან მინდა, „დორტმუნდი“ ისევ მოხვდეს ამ უპრესტიჟულეს ტურნირზე. ეს ჩემი მიზანია, ისევე, როგორც — კლუბის. ახლა ჩემს ტრანსფერზე მე და სხვას არაფრის თქმა შეგვიძლია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ დორტმუნდში ბედნიერი ვარ და ამ კოლექტივში შემიძლია კიდევ პროგრესირება. ვამაყობ, რომ ჩემით „ბაიერნი“ და სხვა გრანდები ინტერესდებიან, მაგრამ გადაჭრით ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი“.*

## ვან პერსი საუკეთესოა

„არსენალის“ მეკარე **ვოიცეხ შჩესნი** ამბობს, რომ მათი თავდამსხმელი **რობინ ვან პერსი** საუკეთესოა მსოფლიოში - წერს გაზეთი „სანი“. შჩესნიმ თქვა: *„ყველამ ვიცით, რომ რობინი ძალიან მაგარია, რაც „ჩელსისთან“ მატჩშიც დაამტკიცა“.* კითხვაზე, ფავორიტი ფორვარდი, რომელთან ერთადაც ვარჯიში გიყვართ, შჩესნიმ ცოტა იუმორით უპასუხა: *„ვან პერსის მეკარეების გამწარება უყვარს, მაგრამ ეს ჩემი პრაქტიკაა. რაც უფრო დიდხანს ვვარჯიშობ მასთან ერთად, მით მეტ დარტყმას ვიგერიებ, რაც პირველ რიგში ჩემთვისაა კარგი“.*

## დიდი ზიზუს რჩევა იოზილს

**ზინედინ ზიდანმა**, რომელიც „რეალში“ სპორტულ დირექტორად მუშაობს, **მესუთ იოზილს** ურჩია, არ მიაქციოს არანაირ ქებასა თუ კრიტიკას ყურადღება და ითამაშოს უბრალოდ ფეხბურთი. თავად მესუთმა „კიკერს“ განუცხადა: *„მე ზიდანთან ხშირად ვსაუბრობ ხოლმე და ის ყოველთვის მეუბნება: მესუთ, შენ იცი, რაც გძალუძს და უბრალოდ გამოდი მინდორზე და ითამაშე შენებურად“.*

## კვირის მატჩი

„არსენალმა“ „სტემფორდ ბრიჯზე“ დაუვიწყარი მატჩი გამართა და „ჩელსისთან“ 5:3 გაიმარჯვა! მატჩის პერიპეტიებით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ეს მატჩი ბევრმა თქვენგანმა იხილა ტელევიზორსა თუ ინტერნეტში. ერთს დავძენთ: ამ შეხვედრაში საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდა მასპინძელთა კიპერი **პეტრ ჩეხი**, რომელსაც ასეთი ცუდი თამაში ძალიან იშვიათად სჩვევია და ეს სწორედ ის უიშვიათესი შემთხვევა აღმოჩნდა...

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გამოკითხვა

# წლის ტალანტები

წელიწადის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლია, მაგრამ ნელ-ნელა უკვე იწყება სეზონის ლაურეატების დასახელება, გამოკითხვები, ვინ იყო საუკეთესო ფეხბურთელი თუ მწვრთნელი. პოპულარულმა იტალიურმა გამოცემა "ტუტოსპორტმა" გადაწყვიტა, ინტერნეტის მომხმარებელთა შორის გაერკვია, ვის მიიჩნევენ ისინი წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად. ჯილდოს ასეც ჰქვია "ოქროს ბიჭუნა 2011". ჰოლანდიურმა გაზეთმა "დე ტელეგრააფმა" "აიაქსის" იმ ფეხბურთელს მიმართა კომენტარისთვის, ვინც სიაში მოხვდა. ლაპარაკია **კრისტიან ერიკსენზე**. აი, რას აცხადებს 19 წლის დანიელი: *"მოხარული ვარ, რომ ჩემი თამაში სხვებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ასეთი ყურადღება ძალიანაც მსიამოვნებს, მაგრამ გადავხედე რა ნომინანტთა სიას, სიმართლე ვთქვა, დიდი იმედი ნამდვილად არ მაქვს, რომ საუკეთესოდ მე დამასახელებენ"*. სიაშია მეორე აიაქსელი **ლორენცო ებესილიოც**, თუმცა ის გუნდის ძირითადშიც ვერ ხვდება და შესაბამისად მის შანსებზე ლაპარაკი ცოტა ალოგიკურიც არის.

მკითხველს არ გადავღლით ყველა ნომინანტის ჩამოთვლით, უბრალოდ გაგაცნობთ იმათ სახელებსა და გვარებს, რომლებიც ფავორიტებად მიგვაჩნია: **ალექსანდრ მერკელი** (ჯენოა, გერმანია), **იკერ მუნიაინი** (ბილბაო, ესპანეთი), **დავიდე სანტონი** (ნიუკასლი, იტალია), **ედენ აზარი** (ლილი, ბელგია), **ფილ ჯონსი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **ჟოელ ობი** (ინტერი, ნიგერია), **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი** (არსენალი, ინგლისი), **სტეფან სავიჩი** (მანჩესტერ სიტი, ჩერნოგორია), **გეორგი შენიკოვი** (ცსკა, რუსეთი), **შერდან შაჩირი** (ბაზელი, შვეიცარია), **ტიაგო ალკანტარა** (ბარსელონა, ესპანეთი), **დავიდ ალაბა** (ბაიერნი, ავსტრია), **ანდრე აიუ** (მარსელი, განა), **სერხიო კანალესი** (ვალენსია, ესპანეთი), **ფილიპე კოუტინიო** (ინტერი, ბრაზილია), **კრისტიან ერიკსენი** (აიაქსი, დანია), **მარიო გიოტცე** (დორტმუნდი, გერმანია), **ადემ ლიაიჩი** (ფიორენტინა, სერბეთი), **რომელუ ლუკაკუ** (ჩელსი, ბელგია), **როდრიგო მორენო** (ბენფიკა, ბრაზილია), **ჯეკ როდუელი** (ევერტონი, ინგლისი), **რაფაელ ვარანი** (რეალი, საფრანგეთი), **ჯეკ უილშირი** (არსენალი, ინგლისი).

აქვე გეტყვით, რომ გამოკითხვაში გუშინდელი მონაცემებით 165 ათას ადამიანს ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.



**კრისტიან ერიკსენი ოქროს ბიჭუნა 2011-ის ნომინაციაზე წარადგინეს**

● ქველმოქმედება

# ერთი ქოლგის ქვეშ



ზეპ ბლატერი

ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციამ 300 ათასი დოლარი (540 ათასი ახალზელანდიური $) გამოყო ახალი ზელანდიის ქალაქ კრაისთჩერჩში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის აღდგენის, მშენებლობისა და რემონტის მიზნით. შეგახსენებთ, რომ ეს ქალაქი მიმდინარე წლის თებერვალში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის დროს ყველაზე მეტად დაზარალდა. ქალაქის ადმინისტრაციისთვის თანხის გამოყოფის შესახებ ციურიხში გადაწყვეტილება მას მერე მიიღეს, რაც შეიტყვეს, რომ ქალაქის საბჭომ ოქტომბრის ბოლოს ახალი საფეხბურთო პარკის მშენებელობას ჩაუყარა საფუძველი. ფიფას მიერ გაღებულ ფულს იაპონიის, ოკეანიისა და ზელანდიის ფეხბურთის ფედერაციების მიერ გამოყოფილი გრანტიც დაემატა 140 ათასი ზელანდიური დოლარის ოდენობით. *"ჩვენ ქალაქის ხელმძღვანელებთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და ერთად განვსაზღვრავთ, რა არის მიწისძვრისგან დაზარალებული ქალაქისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენ დახმარებას ვგზავნით ახალ ზელანდიაში და იმაშიც გარწმუნებთ, რომ თანხები მაქსიმალურად ეფექტურად იქნება გამოყენებული. ამ ნაბიჯით ჩვენ კიდევ ერთხელ მოვახდენთ იმის დემონსტრირებას, რომ ფეხბურთს შეუძლია ყველა გაგვაერთიანოს საერთო კეთილი მიზნებისთვის,"* – განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა **იოზეფ ბლატერმა**.

*"ფიფა დიდ დახმარებას გვიწევს საფეხბურთო ინფრასტრუქტურის აღდგენაში*, - განაცხადა ოკეანიის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა **დევიდ ჩუნგამ**. *საფეხბურთო პარკი პირველი დიდი ობიექტი იქნება, რომლის მშენებლობაც კრაისთჩერჩში დასრულდება"*.

ზემოთაც ვწერდით, რომ ქრაისთჩერჩი თებერვლის ბოლოს მომხდარმა 6,3 მაგნიტუდის მიწისძვრამ ძალიან აზარალა. სერიოზული რყევა განიცადა ქალაქმა ივნისის ბოლოსა და ივლისის პირველ რიცხვებშიც, ამჯერად მიწისძვრა 5,1 ბალის სიმძლავრისა იყო. ნგრევა იმდენად მასშტაბური იყო, რომ რამდენიმე რაიონი საცხოვრებლად დღესაც გამოუსადეგარია. სულ ბუნებრივ კატაკლიზმებს 375-ათასიან ქალაქში 172 ადამიანი ემსხვერპლა.

● ევრო 2012. პლეი ოფი

# ოშისა და ლოვრენის გარეშე

"ლიონისა" და ხორვატიის ნაკრების 22 წლის ცენტრალურმა მცველმა **დეიან ლოვრენმა** "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის 38-ე წუთზე მუხლი სერიოზულად დაიზიანა. **რემი გარდმა** მოედანზე მის ნაცვლად **ბაკარი კონე** შეუშვა. უცნობია, თუ როდის შეძლებს ფეხბურთელი მინდორზე დაბრუნებას, მაგრამ ნაკრებს უმნიშვნელოვანეს საპლეიოფო დაპირისპირებებში რომ გამოაკლდება, ეს უკვე ცხადია. ევრო 2012-ის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი მატჩები 11 და 15 ნოემბერს გაიმართება. მართალია **სლავენ ბილიჩის** ბიჭებისთვის უმთავრესი მიზანი უბრალოდ უკრაინა-პოლონეთში გასამგზავრებელი ბილეთების დაჯავშნაა, მაგრამ მათ ისიც ესმით, რომ თუკი თურქებს ისინი ორივე შეხვედრაში არ დაამარცხებენ, პრაქტიკულად 99%-ით გაინაღდებენ მესამე კალათში განთესვის უფლებას, რაც მათ შემდგომ ამბიციებს, დასძლიონ ჯგუფური ეტაპი, სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. ამ შემთხვევაში მათ ნაცვლად მეორე კალათში რუსეთის ნაკრები მოხვდება. *"ექიმებმა დამაიმედეს, რომ მოტეხილი არაფერი მაქვს. დეტალებზე მხოლოდ სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ მოგახსენებთ. იმედი მაქვს, სერიოზული არაფერი იქნება. მეტოქეები არაფერ შუაში არიან, მუხლი თავად "გამექცა". სადღაც ერთი კვირის წინ სწორედ ამ მუხლში უსიამოვნო შეგრძნებები მქონდა, მაგრამ თამაში ძალიან მინდოდა და არაფერი მითქვამს. მეგონა, სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ვცდებოდი. ახლა რაღაც პერიოდი დასვენება მომიწევს,"* – თქვა ფეხბურთელმა. ლოვრენის გარდა სლავენ ბილიჩს ტრავმების გამო ტოტენჰემელი **ნიკო კრანჩარი**, ჰამბურგელი **მლადენ პეტრიჩი** და დნიპროელი **ივან სტრინიჩი** დააკლდებიან. 11 ნოემბერს პირველი მატჩი თურქეთში შედგება, 15-ში საპასუხო მატჩი – ხორვატიაში.



**დეიან ლოვრენი**



**ჯონ ოში**

"აირიშ ინდეპენდენტის" ცნობით, სერიოზული დანაკლისი აქვს ირლანდიის ნაკრებსაც. **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდს "სანდერლენდის" 30 წლის უნივერსალი მცველი **ჯონ ოში** დაუშავდა. ტრავმა მან "ასტონ ვილასთან" მატჩის (2:2) 36-ე წუთზე მიიღო. ვეტერანს მუხლის მყესები უმნიშვნელოდ აქვს დაჭიმული და ნესით რამდენიმე დღეში ვარჯიში უნდა განაახლოს კიდეც. ირლანდიელი ექიმები იტალიელ "მაესტროს" აიმედებენ, რომ ჯონი მას მხოლოდ პირველ შეხვედრაში დააკლდება. ასე არ ფიქრობს "შავი კატების" ("სანდერლენდის" მეტსახელია) დამრიგებელი **სტივ ბრუსი**. შოტლანდიელი სპეციალისტის თქმით, მის შეგირდს აღდგენისთვის 2-3 კვირა დასჭირდება. ტრაპატონიმ ნაკრებში ოშის ნაცვლად "ვულვერჰემპტონის" 26 წლის განაპირა მცველ **სტივენ ვორდს** უხმო. ოშის გარდა ტრაპს ნამდვილად დააკლდება ვორდის თანაგუნდელი **კევინ დოილი** (დისკვალიფიკაცია). შეიძლება 11-მდე ვერ ჩადგეს მწყობრში ვესტბრომვიჩელი **შეინ ლონგიც**, ვინც დიდი ხანია მუხლს მკურნალობდა და აქამდე მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. პირველად ეს გუნდები ერთმანეთს ტალინში დაუპირისპირდებიან, 15-ში კი – დუბლინში.

● ამბები

## თურქები რუსების წინააღმდეგ

ჩემპიონთა ლიგაში "ტრაბზონსპორისა" და ცსკა-ს მატჩის დასრულებიდან ალბათ ნახევარი საათი თუ იყო გასული, როცა "ჰუსეინ ავნი აკერის" ახლოს რუსმა გულშემატკივრებმა ავტობუსების გაჩერებაზე შეკრება დაიწყეს. მათ თავს დაესხნენ ახალგაზრდა, შეიძლება ითქვას, მოზარდი თურქი გულშემატკივრები, რომელთაც აშკარა რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ. ბუნებრივია, სტუმრებმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს. ჩხუბში სულ 25-მდე ადამიანი მონაწილეობდა და სულ რაღაც 1 წუთს გაგრძელდა. რამდენიმემ გაქცევა სცადა, რის გამოც ისინი კინაღამ გამვლელი მანქანების ბორბლებქვეშ აღმოჩნდნენ. პირველი, ვინც დაპირისპირებულების გაშველება სცადა, ისევ და ისევ სტუმრები იყვნენ. მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა, რომ ხულიგნები დიდხანს ელოდნენ, როდის დატოვებდნენ იქაურობას ჟანდარმერიის შეჯავშნული მანქანები და აქტიურ ქმედებებზე მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდნენ. ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდა პოლიციის ეკიპაჟი. მალე მას სასწრაფო დახმარების მანქანაც მოჰყვა. მცირე დახმარება მხოლოდ ერთ რუს გულშემატკივარს დასჭირდა.

## ტოივონენი რჩება

"ეინდჰოვენმა" წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ფინური წარმოშობის 25 წლის შვედ თავდამსხმელ **ოლე ტოივონენთან**. მიუხედავად იმისა, რომ ფილიპსელებს ოლეს ტრანსფერზე არაერთი წინადადება ჰქონდათ ინგლისური



პრემიერლიგიდან, მასთან განშორება არ ისურვეს. თავდამსხმელი პსვ-ში 2014 წლამდე დარჩება. ფეხბურთელის წინა კონტრაქტს ვადა 2012 წლის ივნისში გადიოდა. შვედი "ეინდჰოვენში" 2009 წლის იანვრიდან თამაშობს და ერედივიზიეში 86 შეხვედრაში 40 გოლი აქვს გატანილი.

## მაკლარენის ახალი შანსი

ინგლისის ნაკრების, "მიდლსბროს", "ტვენტესა" და "ვოლფსბურგის" ყოფილი თავკაცი, 50 წლის **სტივ მაკლარენი** შეიძლება უახლოეს დღეებში "ბრიუგეს" მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს. „დეილი მეილის" ცნობით, ბრიუსელელებმა მას 2-წლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. მოლაპარაკებები უკვე 2 დღეა დაიწყო. ბელგიური მხარე არ მალავს, რომ ეჩქარება **ადრი კოსტერის** შემცვლელის დანიშვა. ერთ-ერთი წყარო ამტკიცებს, რომ ინგლისელი მწვრთნელი არა იმდენად საკუთარ ფინანსურ კეთილდღეობას ეძებს, რამდენადაც იმის გარანტიას, რომ კლუბი მას სათანადო სახსრებს გამოუყოფს იანვრის ტრანსფერებისთვის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



სტივ მაკლარენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უცხოური ფეხბურთი**

● ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# CR7-ის 101 რეალური 103-ში

## რეალი, რომელიც ბარსას აღარ ჩამოუვარდება?

**გაგიკვირდებათ** და, „რეალმა" ლიონში პირველად მოიგო და დიდი შანსია, რომ ფრანგული კლუბი 2002/2003 წლების სეზონის შემდეგ ჯგუფში პირველად ჩარჩეს. ამასობაში, კრიშტიანო რონალდო „სამეფო გუნდის" ასიანთა კლუბში ბრწყინვალე მაჩვენებლით ჩაეწერა. „ვილიარეალი" ესპანურ საკლუბო ფეხბურთს არცხვენს, თუმცა ამას ობიექტური მიზეზები აქვს, მარიო გომესი კი პირველი გერმანელი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ჰეთ-თრიკი შეასრულა. გაგიკვირდებათ და ქართველ ფეხბურთელს ასეთი რამ ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით ადრე ჰქონდა გაკეთებული. ისედაც მიხვდებოდით: ლევან კობიაშვილის ჰეთ-თრიკს ვგულისხმობთ, „შალკეს" ფორმით „ეინდჰოვენთან" რომ შეასრულა...

### A ჯგუფი

#### ვილიარეალი–მანჩესტერ სიტი 0:3

**გოლები:** 0:1 იაია ტურე (30), 0:2 ბალოტელი (45+3-პენ), 0:3 იაია ტურე (71)

**ბურთის ფლობა:** 38%-62%; **დარტყმა:** 5-10; **კუთხურები:** 2-2

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

ერთ დროს „სიკვდილის ჯგუფად" შერაცხილ კომპანიაში, მერვედფინალის ორი საგზურისთვის სამი გუნდილა იბრძვის, რადგან ესპანურმა „ვილიარეალმა" იმედები გაგვიცრუა და ოთხი ტურის შემდეგ ჯგუფიდან გასვლაზე ოცნებას 0 ქულით საბოლოოდ დაემშვიდობა. მეტიც: ესპანელებისთვის მესამე ადგილიც მხოლოდ თეორიულადღაა შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ **რობერტო მანჩინიმ ედინ ჯეკოსა** და **სერხიო აგუეროს** სახით ორი ლიდერი დაასვენა, „სიტის" პრობლემები არ შეჰქმნია. როგორც მოსალოდნელი იყო, საკადრო პრობლემებით შეწუხებულმა „ვილიარეალმა" მანჩინის გუნდს წინააღმდეგობა ვერ გაუწია – **იაია ტურეს** ორი გემრიელი დარტყმა, **მარიო ბალოტელის** მიერ ზუსტად შესრულებული პენალტი და „სიტიმ" მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ჭირვეულმა იტალიელმა გოლი საინტერესო პოზით აღნიშნა – ამჯერად Why always me მაისურის გარეშე.

მომდევნო ტურში მანჩესტერელები ნეაპოლში ჩადიან და იქ ამბავი იქნება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში...

#### ბაიერნი–ნაპოლი 3:2

**გოლები:** 1:0 გომესი (17), 2:0 გომესი (23), 3:0 გომესი (42), 3:1 ფერნანდესი (45), 3:2 ფერნანდესი (79)

**ბურთის ფლობა:** 68%-32%; **დარტყმა:** 18-6; **კუთხურები:** 6-5

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**Lმარიო გომესი (ბაიერნი)

**მარიო გომესი** არა მარტო ამ მატჩის, არამედ მთლიანად იმ საღამოს გმირი იყო – თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ (რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს) პირველი გერმანელი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ჰეთ თრიკი შეასრულა. იდეალურ ფორმაში მყოფ სუპერმარიოს ლიგაში უკვე 17 გოლი აქვს გატანილი და ევროპის ელიტური საკლუბო ლიგის საუკეთესო გერმანელი ბომბარდირია. სხვათა შორის, მეორე ადგილზე მიხაელ ბალაკია – 16 გოლით, მესამეზე მიროსლავ კლოზე (14), მეოთხეზე კარსტენ იანკერი (13), მეხუთეზე კი მეჰმეთ შოლი (12).

*„მიუხედავად ამისა, ეს არ იყო სრულყოფილი საღამო,"* - თქვა გომესმა მატჩის შემდეგ. მიზეზი: „ბაიერნმა" ორი გოლი გაუშვა, ორივე სტანდარტულებიდან და თანაც **ბასტიან შვაინშტაიგერმა** საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო.

რეკორდმაისტერი 3:0-ს რომ იგებდა, ყველამ იფიქრა, ვითარება აღარ დაიძაბებოდა, მაგრამ „ნაპოლი" დაბრუნდა და მატჩის ბოლოს გერმანული გრანდი გვარიანად ანერვიულა. **ცუნიგას** გაძევებას **ბადშტუბერის** გაგდებაც მოჰყვა და სტატუსკვო აღდგა, რამაც ვითარება დაძაბა. ნეაპოლელები ბოლო წუთებში ბევრს ეცადნენ, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი მაინც მიუნხენელებმა შექმნეს, როცა მეკარიანად წინ წასულ „ნაპოლის" გომესმა მეოთხე გოლი კინაღამ 80 მეტრიდან გაუტანა – **დე სანქტისი** ბურთს მაინც წამოეწია და კარის ხაზიდან გამოიტანა.

ახლა ნეაპოლელთა ბედი მათსავე ხელშია: მომდევნო ტურში „სან პაოლოზე" „სიტი" უნდა დაამარცხონ, ბოლოს კი „ვილიარეალს" ესტუმრებიან.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 10 |
| 2. მანჩესტერ სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 3. ნაპოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 4. ვილიარეალი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-9 | 0 |

### B ჯგუფი

#### ტრაბზონი–ცსკა 0:0

**ბურთის ფლობა:** 47%-53%; **დარტყმა:** 6-14; **კუთხურები:** 6-4

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** თოლგა ზენგინი (ტრაბზონი)

ეს თამაში კარგი საყურებელი ნამდვილად არ იყო. კარგი მხოლოდ ისაა, რომ ამ ჯგუფში ჯერ კიდევ ყველას შეუძლია მერვედფინალში გასვლა. „ტრაბზონსპორმა" საკუთარი პუბლიკის გახარება კვლავ ვერ შეძლო – არადა, თურქები ბოლო 17 წუთის განმავლობაში მეტნი იყვნენ, მაგრამ კაცნაკლულ ცსკა-საც ვერაფერი მოუხერხეს. თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე ტრაბზონელებს მაინც შეეძლოთ სანატრელი გოლის გატანა: **ჩელუსტკას** თავური დარტყმის შემდეგ ბურთი მოსკოველთა კარის ძელს მოხვდა.

საერთო ჯამში კი, რუსები უნდა შევაქოთ, რადგან გაცილებით აზრიანად თამაშობდნენ. ტრაბზონელთა მხრიდან მხოლოდ **ბურაკ ილმაზი** გახლდათ შესამჩნევი, რომელიც ამ გუნდს ფაქტობრივად მარტო დაათრევს. მისი მეწყვილე **ჰალილ ალთინთოფი** კი უმეტესად იქ იყო, სადაც ბურთი ვერ აღწევდა, რის გამოც შეცვალეს კიდეც.



კრიოშტიანო რონალდოს გოლი

შანსი ყველას აქვს, მაგრამ საუკეთესო მდგომარეობაში აშკარად რუსები არიან. ცსკა მომდევნო ტურში „ლილს" მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა, მერვედფინალში თამაში გაინაღდოს – გააჩნია, რას იზამს „ტრაბზონი" „ინტერთან"...

#### ინტერი–ლილი 2:1

**გოლები:** 1:0 სამუელი (18), 2:0 დ. მილიტო (65), 2:1 ტულიო (83)

**ბურთის ფლობა:** 50%-50%; **დარტყმა:** 14-16; **კუთხურები:** 3-13

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დიეგო მილიტო (ინტერი)

„ინტერს" ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამი საშინაო მატჩი წაგებული ჰქონდა და რაკი ოთხშაბათს ეს არასასიამოვნო სერია შეწყდა, „ნერაძურის" ფანებმა შვებით ამოისუნთქეს – მილანურმა გრანდმა „ლილი" 2:1 დაამარცხა. ამრიგად, „ინტერი" ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით უკეთ ასპარეზობს, ვიდრე იტალიის ჩემპიონატში.

საკმაოდ დიდხანს ისე ჩანდა, თითქოს მილანელთა თავდამსხმელი **დიეგო მილიტო** ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებული იყო. შეხვედრის დასაწყისში ბურთი ძელს მოარტყა, მერე კი რამდენჯერმე უაღრესად ეგოისტურად მოიქცა, როცა გაცილებით უკეთეს პოზიციაში მყოფ თანაგუნდელებს პასები არ მისცა – გოლის გატანა და **კლაუდიო რანიერისთვის** თავისი შესაძლებლობების დამტკიცება მაინცდამაინც თვითონ უნდოდა. ამის იდეალური დასტური ის მომენტი იყო, როცა არგენტინელმა **სტანკოვიჩის** პასის შემდეგ, ათი მეტრიდან კარს ძალიან დიდი მანძილით ააცილა. თუმცა 65-ე წუთზე, როგორც იქნა გაუმართლა და გაიტანა. მერე გაირკვა, რომ „ინტერმა" სწორედ ამ გოლის წყალობით მოიგო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 2. ცსკა | 4 | 1 | 2 | 1 | 7-5 | 5 |
| 3. ტრაბზონი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 |
| 4. ლილი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |

### C ჯგუფი

#### მანჩესტერ იუნაიტედი–ოცელული 2:0

**გოლები:** 1:0 ვალენსია (8), 2:0 რუნი (87)

**ბურთის ფლობა:** 62%-38%; **დარტყმა:** 17-9; **კუთხურები:** 6-5

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფილ ჯოუნსი (მანჩესტერ იუნაიტედი)

მდიდარი ინგლისელებისა და ღარიბი რუმინელების მეორე ბრძოლის ბედი მე-8 წუთზე უკვე გადაწყვეტილი იყო: **ვალენსია ფილ ჯოუნსის** ლამაზ ჩაწოდებას გამოეხმაურა და „იუნაიტედი" დააწინაურა. როგორც მოსალოდნელი იყო, რუმინელები იმითაც ბედნიერები ჩანდნენ, რომ „ოლდ ტრეფორდზე" თამაშის საშუალება მიეცათ და მრისხანე მეტოქის შეწუხებს არც კი ცდილობდნენ. მიუხედავად ამისა, ტაიმის მიწურულს მანჩესტერელთა მეკარე **დავიდ დე ხეას** მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა მოუხდა იმისათვის, რომ თავისიანები ყველასათვის მოულოდნელი გოლისგან გადაერჩინა.

თუკი „ოცელულის" ფეხბურთელები მანჩესტერიდან ქულის წაღებას დიდხანს ოცნებობდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ **უეინ რუნიმ** რუმინულ კლუბს მეორე გოლი მხოლოდ 87-ე წუთზეღა გაუტანა. სხვათა შორის, ეს **დიმიტარ ბერბატოვის** ბრალიცაა, რომელმაც რამდენიმე რეალური მომენტი ვერ გამოიყენა. თუმცა ბულგარელს მომენტები მაინც შეექმნა, აი, **მაიკლ ოუენი** კი იმ დღეს აშკარად მარცხენა ფეხზე ამდგარიყო – 31 წლის თავდამსხმელი მე-11 წუთზე დაშავდა და შეცვალეს...




#### ბენფიკა–ბაზელი 1:1

**გოლები:** 1:0 როდრიგო მორენო (4), 1:1 ჰუგელი (64)

**ბურთის ფლობა:** 45%-55%; **დარტყმა:** 15-11; **კუთხურები:** 9-4

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** როდრიგო მორენო (ბენფიკა)

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის შემდეგ „ბენფიკას" მთელმა სტადიონმა უსტვინა, თამამად უნდა ვთქვათ, რომ „ბაზელთან" ფრემ ლისაბონური კლუბის მდგომარეობა არ დაამძიმა. „ბენფიკა" ისევ დაუმარცხებელია და კურსი მერვედფინალისკენ აქვს აღებული. თანაც, **როდრიგო მორენოს** გოლის ნახვა ერთ რამედ ღირდა.

შვეიცარიელებმა განსაკუთრებით კარგად მეორე ტაიმში ითამაშეს და წონასწორობის აღდგენაც მოახერხეს: 64-ე წუთზე **სკოტ შიპერფილდის** ჭკვიანურ პასს **ბენიამინ ჰუგელი** დახვდა და ანგარიში გაათანაბრა, რის შემდეგაც „ბენფიკამ" ველარაფერი გააწყო. თუმცა ლისაბონელები შვეიცარიულ კლუბს სამი ქულით უსწრებენ და ურთიერთშეხვედრებშიც სჯობნიან, რადგან ბაზელი სტუმრად 2:0 დაამარცხეს. მომდევნო ტურში პორტუგალიური გრანდი მანჩესტერში კი ჩადის, მაგრამ რომც წააგოს, ბოლო ტურში „ოცელულს" უნდა უმასპინძლოს და ახლა თავად განსაჯეთ, რთულია თუ არა „ბენფიკას" მდგომარეობა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 4 | 2 | 2 | 0 | 8-4 | 8 |
| 2. ბენფიკა | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| 3. ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-7 | 5 |
| 4. ოცელული | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

### D ჯგუფი

#### ლიონი–რეალი 0:2

**გოლები:** 0:1 რონალდო (24), 0:2 რონალდო (69-პენ)

**ბურთის ფლობა:** 48%-52%; **დარტყმა:** 15-26; **კუთხურები:** 6-8

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

როგორც იქნა, მეხუთე მცდელობისას, „რეალმა" „სტად ჟერლანზე" მოგებაც შეძლო და „ბარსელონასა" და „მილანის" შემდეგ მესამე გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური გაინაღდა. „ლიონს" კი აშკარად მძიმე დროება უდგას – ფრანგულ გრანდს 2002/2003 წლების სეზონის შემდეგ პირველად ემუქრება ჯგუფში ჩარჩენის საფრთხე.

გარდა იმისა, რომ „რეალმა" ოთხივე თამაში მოიგო და თან გოლიც არ მიუღია, მადრიდელებს ორი ცალკეული ტრიუმფატორიც ჰყავდათ: მადრიდული გრანდის არცერთ მწვრთნელს არ ჰქონია 75 მატჩის შემდეგ **ჟოზე მოურინიოზე** უკეთესი შედეგი, **კრიშტიანო რონალდოს** კი, „სამეფო გუნდის" მაისურით ჩატარებულ 103 შეხვედრაში უკვე 101 გოლი აქვს გატანილი. ბრავო!

0:2 ისეთი ანგარიშია, რომელიც ნათლად ვერ გამოხატავს იმ უპირატესობას, „რეალი" „სტად ჟერლანდზე" რომ ფლობდა. მადრიდელებს, რეალურად, მინიმუმ შვიდი გოლის გატანა შეეძლოთ და რომ არა „ლიონის" მეკარე **ლორისი**, ხუთს მაინც გაიტანდნენ. თუმცა მოურინიოს და კომპანიას ეს, ცხადია, ნაკლებად ადარდებთ...

#### აიაქსი–დინამო (ზ) 4:0

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვილი (20), 2:0 სულეიმანი (25), 3:0 დე იონგი (65), 4:0 ლოდეირო (90)

**ბურთის ფლობა:** 59%-41%; **დარტყმა:** 14-7; **კუთხურები:** 10-4

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კრისტიან ერიკსენი (აიაქსი)

„ნეფთჩი", „ჰელსინკი", „მალმიო" - ზაგრების „დინამომ" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისკენ მიმავალი გზიდან ისეთი გუნდები ჩამოიცილა, რომ ხორვატიის ჩემპიონისგან ბევრს არც არაფერს ველოდით. ნიქოზიის აპოელ-ისგან განსხვავებით, ზაგრების „დინამო" ჯგუფურ ეტაპზე აბსოლუტურად უსიცოცხლო გუნდია, თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „რეალის", „აიაქსისა" და „ლიონის" სახით ხორვატებს მრისხანე მეტოქეები შეხვდათ. „დინამო" ამსტერდამშიც განადგურდა და 4 ტურის შემდეგ ერთი გოლიც კი არ აქვს გატანილი.

„აიაქსი" კი მერვედფინალს უახლოვდება. ჰოლანდიურ გრანდს მომდევნო ტურში გადამწყვეტი მატჩი ელის – სტუმრად, „ლიონთან", რომლის წაგება ამსტერდამელებისთვის არაფრით არ შეიძლება, რადგან „ამსტერდამ არენაზე" „ლიონს" ვერ მოუგეს. ფრანგები კი ჰოლანდიელებს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებიან და თან „რეალთან" ორივე თამაში მოშორებული აქვთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-0 | 12 |
| 2. აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 3. ლიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 4. დინამო (ზ) | 4 | 0 | 0 | 4 | 0-9 | 0 |

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპა ლიგა. IV ტური

UEFA EUROPA LEAGUE

### A ჯგუფი

**რუბინი-ტოტენჰემი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნათხო (55)

*შენიშვნა: **საბა კვერკველია** (რუბინი) სათადარიგო იყო*

**შემროკი-პაოკ 1:3**

**გოლები:** 0:1 სალპინგიდისი (8), 0:2 ფოტაკისი (35), 0:3 სალპინგიდისი (38), 1:3 დენეი (51)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პაოკ | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 2. რუბინი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 3. ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 4. შემროკი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-11 | 0 |

### B ჯგუფი

**ვორსკლა-სტანდარდი 1:3**

**გოლები:** 1:0 რებენოკი (4), 1:1 სეიასი (17), 1:2 კანუ (45), 1:3 ტრიტე (74)

**კოპენჰაგენი-ჰანოვერი 1:2**

**გოლები:** 1:0 ნდოიე (67), 1:1 შლაუდრაფი (71), 1:2 შტინდლი (75)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| 2. ჰანოვერი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 3. კოპენჰაგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 4 |
| 4. ვორსკლა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

### C ჯგუფი

**ლეგია-რაპიდი 3:1**

**გოლები:** 1:0 რადოვიჩი (54), 1:1 ტეიშეირა (65), 2:1 რადოვიჩი (69), 3:1 კუჩარჩიკი (90)

**გაძევება:** ალექსა (26. რაპიდი), გოლი (80. ლეგია)

**პსვ-ჰაპოელი თ. 3:3**

**გოლები:** 0:1 დამარი (10), 1:1 ვინალდუმი (12), 1:2 თამუზი (33), 1:3 თამუზი (48), 2:3 ტოივონენი (59), 3:3 სტროოტმანი (87)

**გაძევება:** გორდანა (72. ჰაპოელი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| 2. ლეგია | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| 3. რაპიდი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 4. ჰაპოელი | 4 | 0 | 1 | 3 | 5-8 | 1 |

### D ჯგუფი

**ვასლუი-სპორტინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 ზმეუ (30)

**ლაციო-ციურიხი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბროკი (62)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-2 | 9 |
| 3. ლაციო | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 2. ვასლუი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| 4. ციურიხი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |

### E ჯგუფი

**მაქაბი თ.-სტოკი 1:2**

**გოლები:** 0:1 უაითჰედი (51), 0:2 კრაუჩი (64), 1:2 კოლაუტი (90)

**ბეშიქთაში-დინამო 1:0**

**გოლი:** 1:0 ე. კორკმაზი (68)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტოკი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 10 |
| 2. ბეშიქთაში | 4 | 2 | 0 | 2 | 7-4 | 6 |
| 3. დინამო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 4. მაქაბი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-11 | 1 |

### F ჯგუფი

**ზალცბურგი-ბილბაო 0:1**

**გოლი:** 0:1 ანდერი (37)

**პსჟ-სლოვანი 1:0**

**გოლი:** 1:0 პასტორე (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბილბაო | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 10 |
| 2. პსჟ | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 3. ზალცბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| 4. სლოვანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 0 |

### G ჯგუფი

**მეტალისტი-მალმიო 3:1**

**გოლები:** 1:0 ტაისონი (46), 2:0 ტაისონი (56), 2:1 რანეგი (66), 3:1 ფინინიო (90)

**აუსტრია-ალკმაარი 2:2**

**გოლები:** 0:1 ელმი (19-პენ), 0:2 ვერნბლომი (44), 1:2 ორტეხნერი (58), 2:2 ბარაზიტი (61)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-4 | 10 |
| 2. ალკმაარი | 4 | 1 | 3 | 0 | 9-6 | 6 |
| 3. აუსტრია | 4 | 1 | 2 | 1 | 7-7 | 5 |
| 4. მალმიო | 4 | 0 | 0 | 4 | 4-13 | 0 |

### H ჯგუფი

**ბრაგა-მარიბორი 5:1**

**გოლები:** 1:0 ლიმა (4), 2:0 ალანი (7), 3:0 ედერსონი (38), 3:1 ვოლასი (62), 4:1 ვინისიუსი (85), 5:1 მერიდა (90)

**ბირმინგემი-ბრიუგე 2:2**

**გოლები:** 0:1 მონიე (39), 0:2 აკპალა (44), 1:2 ბოსეჟური (55), 2:2 კინგი (74-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაგა | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 7 |
| 2. ბრიუგე | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 3. ბირმინგემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-7 | 7 |
| 4. მარიბორი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-10 | 1 |

### I ჯგუფი

**სელტიკი-რენი 3:1**

**გოლები:** 0:1 მანგანე (2), 1:1 სტოკსი (30), 2:1 სტოკსი (43), 3:1 ჰუპერი (82)

**გაძევება:** მვილა (86. რენი)

**ატლეტიკო-უდინეზე 4:0**

**გოლები:** 1:0 ადრიან ლოპესი (7), 2:0 ადრიან ლოპესი (12), 3:0 დიეგო (36), 4:0 ფალკაო (67)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 2. უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 5-6 | 7 |
| 3. სელტიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 4. რენი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |

### J ჯგუფი

**შალკე-აეკ ლ. 0:0**

**სტიაუა-მაქაბი ჰ. 4:2**

**გოლები:** 1:0 ტატუ (13), 2:0 კოსტეა (28), 2:1 მეშუმარი (36), 2:2 კატანი (40), 3:2 ტანასე (65), 4:2 ტანასე (84)

**გაძევება:** კოსტეა (62. სტიაუა)

*შენიშვნა: **ლადო დვალიშვილი** (მაქაბი) 37-ე წუთზე შემოვიდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 4 | 2 | 2 | 0 | 8-1 | 8 |
| 2. მაქაბი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-7 | 6 |
| 3. სტიაუა | 4 | 1 | 2 | 1 | 5-8 | 5 |
| 4. აეკ | 4 | 0 | 2 | 2 | 1-7 | 2 |

### K ჯგუფი

**ტვენტე-ოდენსე 3:2**

**გოლები:** 0:1 ფალი (11), 1:1 ჰოე (35 ს.კ.), 2:1 ლანდზაატი (37), 2:2 ფალი (62), 3:2 ფერი (82)

**ფულჰემი-ვისლა 4:1**

**გოლები:** 1:0 დაფი (5), 1:1 [illegible] (9), 2:1 ჯონსონი (30), 3:1 ჯონსონი (57), 4:1 სიდველი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 4 | 3 | 1 | 0 | 12-5 | 10 |
| 2. ფულჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 3. ოდენსე | 4 | 1 | 0 | 3 | 5-11 | 3 |
| 4. ვისლა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-11 | 3 |

### L ჯგუფი

**აეკ ა.-ლოკომოტივი 1:3**

**გოლები:** 0:1 გლუშაკოვი (50), 1:1 ლეონარდო (60-პენ), 1:2 მაიკონი (72), 1:3 იგნატიევი (80)

**ანდერლეხტი-შტურმი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჟილე (23), 2:0 სუარესი (74), 3:0 დე ზუტერი (81)

**გაძევება:** ფელდჰოფერი (59. შტურმი)

*შენიშვნა: **გიორგი ფოფხაძეს** (შტურმი) არ უთამაშია*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-1 | 12 |
| 2. ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 3. შტურმი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 4. აეკ | 4 | 0 | 0 | 4 | 4-12 | 0 |




## მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჰუნტელაარი მანჩესტერში?

## ფერგიუსონს ჰოლანდიელი ახლავე უნდა!

პრინციპში, ეს მხოლოდ დროის ამბავი იყო: **კლაას-იან ჰუნტელაარი** მიმდინარე სეზონში იმდენად კარგად თამაშობს, რომ გვიკვირდა კიდეც, აქამდე როგორ არ ატყდა სპეკულაციები მისი „შალკედან" წასვლის შესახებ. და აი, დაიწყო კიდეც: როგორც ირკვევა, ჰუნტელაარით „მანჩესტერ იუნაიტედი" დაინტერესდა, რაც აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან 28 წლის ფორვარდს 19 ოფიციალურ მატჩში 21 გოლი აქვს გატანილი.



კლაას-იან ჰუნტელაარი

„ბილდის" ინფორმაციით, მანკუნიანელთა მთავარ მწვრთნელ სერ **ალექს ფერგიუსონს** ჰოლანდიელის გადაბირება ახლავე, იანვარში უნდა და მზადაა, გელზენკირხენულ კლუბს 20 მილიონი ევრო გადაუხადოს. ჰუნტელაარს „შალკესთან" კონტრაქტი 2013 წლამდე კი აკავშირებს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, გელზენკირხენიდან წასვლა გარკვეული თანხის სანაცვლოდ მანამდეც შეუძლია.

„შალკეს" რეაქცია ამ ყველაფერთან დაკავშირებით ასეთია: *„ვფიქრობ, აბსოლუტურად ლოგიკურია ის, რომ ჰუნტელაარის მიმართ ინტერესი იზრდება. ფაქტი ის არის, რომ მისი შეძენის სურვილით ჯერ არავის მოუმართავს,"* - ეს მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტის** სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს, ჩვენ ოდნავადაც არ ვნერვიულობთო.

„ბილდი" კი წერს, რომ თუ შანსია, „მანჩესტერ იუნაიტედმა" „შალკეს" ფულთან ერთად ბულგარელი თავდამსხმელი **დიმიტარ ბერბატოვიც** შესთავაზოს – ეს უკანასკნელი ფერგიუსონს აღარ სჭირდება.

**გოტფრიდ ლენცი**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# ბრინჯაოს დასაწყისი

**კეიპტაუნში დაწყებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს ჩვენმა ნაკრებმა ერთი ბრინჯაო მოიპოვა - 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი მესაბლიშვილი მესამე ადგილზე გავიდა.**




## არც გუმანმა უმტყუნა, არც – შეგირდმა

ახმეტელი **მესაბლიშვილი** ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონია და ევროპის პირველობაზეც გუნდის მთავარ ფავორიტთა შორის შედიოდა, მაგრამ იქ მოულოდნელად მეორე წრეში დამარცხდა და უმედლოდ დარჩა. თუმცა ამას გუნდში მის ავტორიტეტზე გავლენა არ მოუხდენია - მთავარ მწვრთნელ **გიორგი გუგავას** მსოფლიოსთვის არც მისი შეცვლა უფიქრია და მედალოსანთა შორისაც ძველებურად მოიაზრებდა. მწვრთნელს არც გუმანმა უმტყუნა და არც - შეგირდმა.

მესაბლიშვილი ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთო და კანადელი **მაჰდი ზეგირი** 58 წამში დააიპონა. მეორე შეხვედრაში სახიფათო მეტოქეს იაპონელ **რიოჯი იზუტანის** გადაეყარა, თუმცა ჩვენებურმა არათუ რაიმე დაუთმო, მთელ რიგ კომპონენტებში აჯობა და გუშინდელი დღის ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ, დამატებით დრომდე გაჭიანურებულ შეხვედრაში მსაჯთა გადაწყვეტილებით გაიმარჯვა. იზუტანი დასაწყისში უფრო აქტიურობდა, ვიდრე - შეხვედრის მეორე ნახევარში, თუმცა პასიური არც ჩვენებური ყოფილა. ამის მიუხედავად, აქაოდა, იაპონია ბრენდიაო, მსაჯმა მესაბლიშვილი მალევე გააფრთხილა, თუმცა საამისოდ არც ისე რეალური მიზეზი იყო. სამაგიეროდ, მერე საკმარისზე მეტი საბაბი ჰქონდა მეტოქის იმავენაირად დასასჯელად, მაგრამ ცოცხალი თავით არ უნდოდა იზუტანის გაფრთხილება და ნერვები დაგვაწყვიტა. მესაბლიშვილმა შეხვედრაში ტემპსაც უმატა, ფიზიკურადაც არათუ გაუძლო, დამატებითში მეტოქეზე უკეთესადაც გამოიყურებოდა, არც დაღლა ეტყობოდა და კონკურენტს გასაქანს არ აძლევდა. ერთი ეგ იყო, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად ილეთზე ვერ დააგდო, მაგრამ შეხვედრის მიმდინარეობიდან გამომდინარე, ამისთვის ნამდვილად არ იმსახურებს საყვედურს. მსაჯს ცოტა რომ ენამუსა, ეს შეხვედრა ალმების აწევამდე არ მივიდოდა. ყოველ შემთხვევაში, არაიაპონელს იმდენს არ აპატიებდნენ, იზუტანი კი არბიტრებმა მხოლოდ ერთხელ გააფრთხილეს. კიდევ კარგი, როცა საქმე მათ გადაწყვეტილებაზე მიდგა ანუ მოგებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა, მაშინ მაინც განსაჯეს ობიექტურად და სამივემ გამარჯვება ჩვენებურს მიანიჭა.

მესაბლიშვილმა მესამე შეხვედრაში ბელგიელი **გერტ მაესი** დააიპონა, რომელმაც მანამდე სომეხი ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **გარიკ ჰარუთინიანი** დაამარცხა. ამით მან რევანშიც აიღო ევროპირველობაზე სომეხთან წაგებისთვის, თუმცა საამისოდ, პრაქტიკულად, ორჯერ დასჭირდა საიპონე გდება - პირველად მსაჯებმა არ ჩაუთვალეს, მაგრამ ამან არ გატეხა და მეორედ მაინც მიაღწია სანადელს. ერთი სიტყვით, ბელგიელი არ იყო ხელწამოსაკრავი მეტოქე და აკი მესამეზეც გავიდა, თუმცა ჩვენებურმა მაინც მეტოქეს ინიციატივა ლამის უბრძოლველად ჩააბარა. ანგარიში თავად მეტყველებს რუსის უპირატესობაზე - მან ყველა სინჯის მედალი მოიპოვა.

მესაბლიშვილს საბოლოო მიზნამდე - კვარცხლბეკზე ასვლამდე ანუ დამამშვიდებლის ფინალში გამარჯვებამდე ისევ რუსის დამარცხება მართებდა - **ივან ზვერევისა**. ზვერევი ევროპის პირველობაზე მეხუთეზე გავიდა და, ცხადია, ახლა შედეგის გაუმჯობესება ძალიან სურდა, მაგრამ ამის შანსი ქართველმა არ მისცა - დაძაბული ორთაბრძოლა მესაბლიშვილმა სასურველი შედეგით დაამთავრა და ბრინჯაოც მოიპოვა.

## მეორე ჯილდოს მოგებაც შეიძლებოდა

ამავე წონაში მწვრთნელები მედალს ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ლერი ჭელიძისგანაც** ელოდნენ და ვინძლო, სასტარტო დღე მართლაც ორი ჯილდოთი დაგვემთავრებინა, მაგრამ ჩვენებური ამერიკელ **ნათან კარნეისთან** მსაჯებმა ფეხში ხელით შესვლისთვის მოხსნეს. არადა, ჭელიძე ძალიან აქტიურად ჭიდაობდა და ეტყობოდა, ისიც ფორმაში იყო. იმ საბედისწერო მომენტამდე ამერიკელს ორ იუკოს უგებდა, ხოლო ის გდება მსაჯებმა ვაზარად შეუფასეს, თუმცა მთავარი არბიტრი მსაჯთა მაგიდასთან მიიხმეს და შედეგი შეაცვლევინეს. ამ დროს სირენამდე მხოლოდ 55 წამი რჩებოდა და იქნებ აჯობებდა, ჭელიძე საერთოდ არ წასულიყო შეტევაზე, თუმცა ეს უკვე ის მდგომარეობაა, გზა მხოლოდ ურემის გადაბრუნების შემდეგ რომ ჩანს კარგად.

60 კილოგრამში ორივე ჩვენებური მეორე წრიდან ჩაერთო ასპარეზობაში და თითო შეხვედრის მოგების შემდეგ გამოვარდნენ ტურნირიდან. საინტერესოა, რომ ორივე მომავალ ფინალისტთან დამარცხდა. არადა, ურიგოდ არც **ვაჟა მარგველაშვილი** გამოიყურებოდა და არც - **ლაშა გიუნაშვილი**. პირველმა არგენტინელი **ხუან ვიტალი** დააიპონა (ამან მანამდე ფრანგი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვინსენტ ლიმარე** დაჯაბნა), მეორემ - უკრაინელი **ანდრეი კუშკოვი**. ამის შემდეგ ანუ მერვედფინალში მარგველაშვილმა მომავალ ვერცხლისმედალოსანთან, კორეელ **ბაულ ანთან** წააგო, გიუნაშვილმა - იაპონელ მომავალ ჩემპიონ **ნაოჰისა ტაკატოსთან** და კიდეც გავარდნენ.

## და რა იქნება დღეს, ხვალ...

არ ვიცით, როგორ იჭიდავებენ ჩვენები მომდევნო დღეებში, მაგრამ გუშინ რასაც ვუყურეთ, თვალში საცემი იყო ჩვენი სპორტსმენების კარგი ფიზიკური მომზადება. გუგავას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბიჭებს მშვენივრად შეუნარჩუნა საევროპოდ მიღწეული ფორმის პიკი და ამ კომპონენტში ისინი აშკარად სხვა სიმაღლეზე იდგნენ, ვიდრე ქართული გუნდებისგან ვართ მიჩვეულნი. ამ ოთხეულიდან ზოგს დამატებითი დრო დასჭირდა, ზოგს ბოლომდე მოუწია ბრძოლა, მაგრამ არავინ დაღლილა და არც ამ მიზეზით წაუგია ვინმეს. პირიქით - ყველა ბოლომდე იბრძოდა, აქტიურად მოძრაობდა და უმეტეს შემთხვევაში ინიციატივას სრულად ფლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, დაღლა საერთოდ არ ეტყობოდათ. იმედია, მომდევნო დღეებშიც ასევე კარგ სურათს ვიხილავთ. გუგავა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ამბობდა, რომ გუნდის კმაყოფილი არა მხოლოდ მედლების რაოდენობით (შეგახსენებთ - იქ ჩვენებმა თითო ოქრო-ბრინჯაო და 2 ვერცხლი მოიპოვეს), არამედ ჭიდაობის ხარისხითაც იყო. პირველი დღის შემდეგ ჭიდაობის ხარისხზე ბევრი საწუწუნო არც ამჯერად გვაქვს რამე.

დღეს კეიპტაუნში 66 და 73-ის ფალავნები იასპარეზებენ ანუ ჩვენგან ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66), ევროპის წლევანდელი ბრინჯაოსმედალოსანი **მიხეილ ჩოხელი** და **ფრიდონ გიგანი** (ორივე - 73) იჭიდავებენ. ცხადია, ესენიც გუნდის ლიდერთა შორის მოისაზრებიან და მათზეც იგეგმება მედლები.

შავდათუაშვილი პირველ წრეში ისვენებს, მისი მეტოქე კი მაროკოელ **ოტმან მოჰამედ არმაზის** და ჩეხ **იაკუბ იესმინეკის** ორთაბრძოლაში გაირკვევა. ჩეხს ჩვენებურმა ბელგიაში, ევროპის ჩემპიონატზე მოუგო ვაზარით მეორე წრეში. მის ქვეჯგუფში იმ ტურნირიდან ნაცნობი კიდევ ორი მეტოქეა - ებრაელი **ტალ ფლიკერი** და ჰოლანდიელი **ხუნიორ დეგენი**. ჩვენებურმა დეგენს მერვედფინალში აჯობა პირწმინდად - იუკოც აართვა, ვაზარიც და ბოლოს იპონზეც დააგდო, ებრაელი კი ნახევარფინალში დააიპონა. ფლიკერი პირველ წრეში უკრაინელ ევროპის მესამე პრიზიორ **ანტონ ჩეტვერიკს** ხვდება, რომელმაც ბელგიაში **ოთარ არჩუაძე** დაგვიმარცხა. ამ წყვილისა და დეგენის გზაც შავდათუაშვილთან შეხვედრამდე იკვეთება, მეოთხედფინალამდე ჩვენებურის ყველაზე საშიშ მეტოქეებად კი რუსი **ევგენი ტირსკიხი** და ბრაზილიელი **აფონსო ბალდიგენი** მიგვაჩნია, თუმცა პირველ წრეში ისინი ერთმანეთს ხვდებიან.

ჩოხელი პირველ წრეში ირანელ **მოჰამად მალეკ მოჰამად მემარის** ეჭიდავება, ამათ შორის მოგებულს კი დანიელი **ბენჟამინ დარვილე** ელოდება. ამავე ჯგუფშია ებრაელი ევროპის პრიზიორი **საგი მუკი**, ვისაც ჩოხელმა ევროპაზე მეოთხედფინალში აჯობა.

საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოხვდა გიგანი - მასთანაა ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, უკრაინელი **რუფატ მაგომედოვი**, რომელმაც ევროპაზე ნახევარფინალში ჩოხელს მოუგო, თუმცა გუგავა ამას მსაჯთა მიკერძოებას მიაწერდა. ჩვენებური მას მეოთხედფინალამდე არ შეხვდება, ტურნირს კი ცოტა არასასურველი მეტოქით იწყებს - ებრაელ **ტომერ ზაკეიმით**. ებრაელმა ევროპაზე გიგანს სანუგეშოში პირველივე წრეში მოუგო, მაგრამ მერე ჩოხელთან ბრინჯაოსთვის შეხვედრა წააგო. თუ გიგანმა საწყის შეხვედრებში იმარჯვა, შესაძლოა, მესამე წრეში ბერძენ **რომან მოსტროპულოსს** შეხვდეს, რომელიც სინამდვილეში, ჩვენი ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელ **გიორგი რევაზიშვილის** შვილია.

**ირაკლი თავაძე**



**კვარცხლბეკი**

**ბიჭები**

**55 კგ.** 1. სახავატ გაჯიევი (რუსეთი), 2. სერიკტაუ ზაკეტაიევი (ყაზახეთი), **3. გიორგი მესაბლიშვილი (საქართველო)**, გერტ მაესი (ბელგია).

**60 კგ.** 1. ნაოჰისა ტაკატო (იაპონია), 2. ბაულ ანი (კორეა), 3. ალან კუვაბარა (ბრაზილია), იელდოშ სმეტოვი (ყაზახეთი).

**გოგონები**

**44 კგ.** 1. საკიჰო ჰამადა (იაპონია), 2. აგუედა სილვა (ბრაზილია), 3. კრისტინა კასასი (ესპანეთი), ჰაილეი უილისი (ბრიტანეთი).

**48 კგ.** 1. ჰირომი ენდო (იაპონია), 2. ალესია კუზნეცოვა (რუსეთი), 3. სოოჰეე ჩოი (კორეა), მელანიე კლემენტი (საფრანგეთი).

სტუდენტური სპორტი




# სტუმრებმა თბილისს თვალი დაადგეს

გუშინ საქართველოს ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ასოციაციის პრეზიდენტი **ალბერტ გალტიერი** და ასოციაციის გენერალური მდივანი **მატიას პაკინეიგი**. სააბატი სტუმრებმა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტ **ნიკოლოზ ამაშუკელთან** ერთად დაათვალიერეს ყოფილი არმიის სასპორტო კლუბის დარბაზი, სადაც 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის მესვეურები შეხვდნენ პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძეს**, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილს**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ვლადიმერ ვარძელაშვილს**.

*„დიდი მადლობა ქართულ მხარეს გულთბილი მასპინძლობისთვის. სპორტის მესვეურებთან შეხვედრისას დავრწმუნდი, რომ თქვენს ქვეყანაში სპორტს დიდ ყურადღებას აქცევენ. რაც ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, საუნივერსიტეტო სპორტში სულ უფრო მეტი სტუდენტი ერთვება. მათ გააქტიურებაში ჩვენი ასოციაციაც შეიტანს წვლილს: ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში უამრავ ღონისძიებას ვმართავთ. დღეს ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირის თბილისში ჩატარების საკითხიც განვიხილეთ. ვიმედოვნებთ, რომ იდეა რეალობად იქცევა,“* - თქვა ჟურნალისტებთან საუბრისას ალბერტო გალტიერი.

**ვლადიმერ ვარძელაშვილი:** *„ბოლო წლებში ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებს მასპინძლობს მაღალ დონეზე, რამაც საქართველოსადმი მსოფლიოს სპორტული ორგანიზაციების დაინტერესება გამოიწვია, ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის მესვეურთა სტუმრობაც ამის დასტურია. მადლობა მათ ჩამობრძანებისთვის. სტუმრებს უწყეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში რეგულარულად ტარდება უნივერსიადები. უწინ შეჯიბრებებში 2000-მდე სტუდენტი თუ მონაწილეობდა, ეს მაჩვენებელი ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა. ვისაუბრეთ საინტერესო თემებზე, განვიხილეთ საქართველოში რომელიმე საერთაშორისო ტურნირის ჩატარების საკითხიც. არ არის გამორიცხული, 2015 წელს ევროპის უნივერსიადასაც ვუმასპინძლოთ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვის, რადგან უმაღლესი სასწავლებლების ათასობით წარმომადგენელი ჩამოვა საქართველოში, რაც სტუდენტური სპორტის პოპულარიზაცია-განვითარებასთან ერთად ევროპელ ახალგაზრდებთან დაახლოებასაც შეუწყობს ხელს.*

*ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება, მეტი სპორტის სახეობა დავნერგოთ უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდების უფრო მასობრივად ჩასაბმელად და ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად“.*

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

სპორტი ყველასათვის

# ტელეკომპანიების უპირატესობით





თბილისის მასობრივი სპორტის ფედერაციის ინიციატივით ჩატარდა დედაქალაქის ორგანიზაციების თანამშრომელთა სპორტული ფესტივალი სპორტის შვიდ სახეობაში. გაგაცნობთ გუნდურ შედეგებს.

**ჭადრაკი:** 1. „რუსთავი 2“, 2. „ავერსი“, 3. „თიბისი“ ბანკი.

**ბილიარდი:** 1. „ჯი.პი.აი“, 2. „იმედი“, 3. „თიბისი“.

**კარტინგი:** 1. ტელეკომპანია „იმედი“, 2. „ავერსი“, 3. „ჯი.პი.აი“.

**ცურვა:** 1. „თბილისის მერია“, 2. „ავერსი“, 3. „რუსთავი 2“.

**ნარდი.** 1. „რუსთავი 2“, 2. „იმედი“, 3. „ავერსი“.

**სთრით ბოლი:** 1. „იმედი“. 2. „რუსთავი 2“, 3. „I არხი“.

**მინი-ფეხბურთი:** 1. „თიბისი“, 2. „ავერსი“, 3. „იმედი“.

**საერთო გუნდური ჩათვლა:** 1. „იმედი“, 2. „ავერსი“, 3. „რუსთავი 2“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ქართველმა ქალებმა მოგებით დაიწყეს



საქართველოს დელეგაციის წევრები თათბირობენ ჩემპიონატის დაწყების წინ

გუშინ ბერძნულ პორტო-კარასში დაიწყო მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც ქალთა 28 და ვაჟთა 38 ნაკრები მონაწილეობს. შეგახსენებთ, რომ 2001 წლიდან ქალებში ჩემპიონები იყვნენ: საფრანგეთი (2001 წ.), სომხეთი (2003), პოლონეთი (2005) და რუსეთი (2007, 2009), ხოლო მამაკაცებში – ჰოლანდია (2001 და 2005), რუსეთი (2003 და 2007) და აზერბაიჯანი (2009). ორი წლის წინათ მანდილოსნებში მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, საქართველო (**ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი**) და უკრაინა გავიდნენ, ვაჟებში კი ვერცხლსა და ბრინჯაოს რუსები და უკრაინელები დაეუფლნენ. საპრიზო სამეულში მოსახვედრად წლეულსაც ამ გუნდებს მიიჩნევენ ფავორიტებად, თუმცა მათი იოლი გასეირნება რომ არ ელით, ეს შეჯიბრების სტარტმაც დაადასტურა.

ქართველ ქალებს გუშინ წილისყრამ აზერბაიჯანელები დაუპირისპირა. ჩვენს გუნდს პირველი ქულა **ნინო ხურციძემ** მოუტანა, რომელმაც 52-ე სვლაზე გულნარ მამადოვას სძლია. ჩემპიონატის დებიუტანტმა **ნაზი პაიკიძემ** შავი ფიგურებით 58-ე სვლაზე აიძულა ნარმინ კაზიმოვა, საათი გაეჩერებინა. პირველ დაფაზე **ლელა ჯავახიშვილი** (ნანა ძაგნიძე ისვენებდა) თეთრებით 32-ე სვლამდე პოზიციურ უპირატესობას ინარჩუნებდა, მაგრამ მეტოქეს მალევე მისცა პოზიციის გათანაბრების შანსი, 36-ე ლf3 სვლით კი ინიციატივა მამედიაროვას გადააბარა და 65-ე სვლაზე დანებდა კიდეც. **სალომე მელიამ** შავებით შეძლო ზეინაბის უმცროს დასთან – ტურკან მამედიაროვასთან (ისინი შაჰრიარ მამედიაროვის დები არიან) დაზავება და გუნდური გამარჯვებისთვის ნახევარი ქულის მოპოვება. საბოლოო ანგარიშია 2,5:1,5 ჩვენების სასარგებლოდ.

ტურნირის დანარჩენი ფავორიტების შეხვედრები ასე დამთავრდა: **რუსეთი-ისრაელი 3:1** (ნადეჟდა კოსინცევა-მაია პორატი 1:0, მარსელ ეფროიმსკი-ტატიანა კოსინცევა 0:1, ვალენტინა გუნინა-ანგელა ბორსუკი 0.5:0.5, ოლგა ვასილიევა-ნატალია პოგონინა 0.5:0.5), **საბერძნეთი-უკრაინა 1.5:2.5** (ელენა დემბო-ნატალია ჟუკოვა 0.5:0.5, ანა უშენინა-ანა-მარია ბოცარი 0.5:0.5, მარინა მაკროპულუ-ინა გაპონენკო 0.5:0.5, მარია მუზიჩუკი-ეკატერინი ფახირიდუ 1:0), **ჩეხეთი-სომხეთი 2:2** (ევა კულოვანა-ელინა დანიელიანი 0:1, ლილით მკრტიჩიანი-კატერინა ნემკოვა 0.5:0.5, კრისტინა ჰავლიკოვა-ლილით გალოიანი 1:0, მარია კურსოვა-ტერეზა ოლსაროვა 0.5:0.5).

**საქართველოს** ვაჟთა ნაკრები სტარტზე **თურქეთის** გუნდთან (!) შეხვედრისას დამარცხდა – 1,5:2,5 (ლევან ფანცულაია-მუსტაფა ილმაზი 1:0, ემრე ქენი-მიხეილ მჭედლიშვილი 1:0, მერაბ გაგუნაშვილი-ქემილ ალი მარანდი 0.5:0.5, ვაჰაფ სანალი-დავით ზარქუა 1:0). ფავორიტთა პაექრობები: **რუსეთი-მოლდოვა 2,5:1,5** (პიოტრ სვიდლერი-ვიქტორ ბოლოგანი 0.5:0.5, ვიორელ იორდაჩესკუ-ალექსანდრ გრიშჩუკი 0.5:0.5, ალექსანდრ მოროზევიჩი-დმიტრი სვეტუშკინი 1:0, სერგეი ვედმედიუსი-ივან ნეპომნიაშჩი 0.5:0.5), **სლოვენია-უკრაინა 0,5:3,5** (ალექსანდრ ბელიავსკი-ვასილი ივანჩუკი 0.5:0.5, პაველ ელიანოვი-ლუკა ლენიჩი 1:0, ჯურ ბორისეკი-ალექსანდრ მოისეენკო 0:1, ზახარ ეფიმენკო-მატეი სებენიკი 1:0), **აზერბაიჯანი-იტალია 2,5:1,5** (თეიმურ რაჯაბოვი-ფაბიანო კარუანა 0.5:0.5, მიჩელ გოდენა-ვუგარ გაშიმოვი 0.5:0.5, შაჰრიარ მამედიაროვი-საბინო ბრუნელო 1:0, აქსელ რომბალდონი-გადირ ჰუსეინოვი 0.5:0.5).

დღეს ჩემპიონატზე მე-2 ტურის ორთაბრძოლები გაიმართება. ქართველი ქალები პოლონელებს დაუპირისპირდებიან, უნგრელები – რუსებს, ბულგარელები – უკრაინელებს. საქართველოს ვაჟთა ნაკრები კვიპროსს გაუწევს მეტოქეობას, ჩეხეთი – რუსეთს, უკრაინა – ბულგარეთს, სომხეთი აზებაიჯანს ეთამაშება.

**ვაჟა დანელია**




აზერბაიჯანის ნაკრებთან შეხვედრა. მარცხნივ - საქართველოს გუნდი

შეკითხვა „ლელოს"



**შეკითხვა:** ვიცი, რომ საგარეჯოს რაიონი განთქმულია ფალავნებით. თუ გაქვთ შესაძლებლობა, გთხოვთ რუბრიკაში „ქართული სპორტის ქრონიკები" ახალგაზრდა თაობას გაგვაცნოთ მათი სახელები.

წინასწარ გიხდით მადლობას.

**მალხაზ პაპაშვილი**
თელავი

შეკითხვაზე პასუხის მომზადება ვთხოვეთ „ლელოს" კორესპონდენტს საგარეჯოს რაიონში **თენგიზ კობიაშვილს.** აი პასუხიც: საგარეჯოელმა მოჭიდავეებმა სხვადასხვა დროს დიდი სიყვარული დაიმსახურეს თავის ხალხში და ბევრმა მათგანმა შორს გაუთქვა სახელი საქართველოს, გახდნენ საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები. ესენი არიან: **მიხო ქურხული, არსენ მეკოკიშვილი, ლევან თედიაშვილი, შალვა გზირიშვილი, სპარტაკ ქარსაულიძე, ანზორ ზურაბაული, არჩილ ონაშვილი, გივი ონაშვილი, ვალერი პარუნაშვილი, კობა კუპატაძე, თენგიზ ასლამაზიშვილი, სულიკო ზალიკაშვილი, ილია ქვლივიძე, ბიჭიკო მარიდაშვილი, როინ ქაიხოსროშვილი, ვაჟა ქაიხოსროშვილი, როინ ყორლანაშვილი, ძმები თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილები, ტარიელ როსტომაშვილი, ძმები თამაზ და ბიძინა კევლიშვილები, დავით და რამაზ ბუზარიაშვილები, ომარ გულისაშვილი, ზაზა მაისურაძე, დავით ნანუაშვილი, ზაზა ლაფერიშვილი, გიორგი გზირიშვილი, ზაურ ქურხული, მამუკა კურდღელაშვილი** და სხვები.

საგარეჯოელები არ ივიწყებენ თავიანთ ფალავნებს - ხშირად ტარდება ამ ქვეყნიდან წასულთა ხსოვნის ტურნირები. ერთ ასეთ ასპარეზობას - გიორგი (გოგი) გზირიშვილის მემორიალს საგარეჯომ ამ დღეებში უმასპინძლა.

## მილოცვა

საქართველოს სპორტის საწყალოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადების 75 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს სახელგანთქმულ ვეტერან წყალბურთელს, სპორტის ამ სახეობაში ახალგაზრდა თაობების აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **ბორის მეგედს**, უსურვებს მას ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს საყვარელ საქმეში.

## FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ფოტომატიანე




1958 წელი. თბილისელი ჩოგბურთელები. მარცხნიდან მესამე ალექსანდრე მეტრეველი. ფოტო ლელოს არქივიდან

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის

## განცხადება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ჩატარდება ლონდონის XXX ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონკურსი „სპორტი და ხელოვნება", რომლის მთავარი მიზანიცაა მსოფლიოში ოლიმპიური პრინციპებისა და ოლიმპიური ქარტიის იდეალების განმტკიცება.

**კონკურსის თემატიკა** – „სპორტი და ოლიმპიური ღირებულებების უპირატესობა, მეგობრობა და პატივისცემა"

**კონკურსის მონაწილეები** – კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პიროვნებას ასაკის შეუზღუდავად

**კონკურსის კატეგორიები** – 1) სკულპტურა; 2) გრაფიკული ნამუშევარი (ნახატი, ფერწერა, გრავიურა)

სკულპტურული ნამუშევრის ზომები უნდა იყოს 1.5 მეტრი X 1 მეტრზე (20 კილოგრამამდე)

გრაფიკული ნამუშევრის ზომა უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 1.5 მეტრს X 1 მეტრზე (ჩარჩოში)

**ჟიური:** სოკ-ი შეარჩევს საერთაშორისო ჟიურის წევრებს, რომლებიც გადაწყვეტილებას 2012 წლის ივნისში მიიღებენ.

ჟიურის წევრები იქნებიან – სოკ-ის კულტურისა და ოლიმპიური განათლების კომიტეტის, ოლიმპიური მუზეუმის წარმომადგენლები, ხელოვნების ექსპერტები მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან.

**საპრიზო ფონდი:** საუკეთესო ნამუშევრებს გადაეცემათ სოკ-ის შესაბამისი ჯილდოები:

**1 ადგილი** – 30 ათასი ამერიკული დოლარი და დიპლომი
**2 ადგილი** – 20 ათასი ამერიკული დოლარი და დიპლომი
**3 ადგილი** – 10 ათასი ამერიკული დოლარი და დიპლომი

ასევე გათვალისწინებულია წამახალისებელი ხუთ-ხუთი დიპლომი

**დაზღვევა:** სოკ-ი უზრუნველყოფს გამარჯვებული ნამუშევრების დაზღვევას.

**კონკურსის ჩატარების პირობები** – საქართველოში კონკურსი ჩატარდება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებით. კომპეტენტურ ჟიურისთან ერთად შერჩეული საუკეთესო ნამუშევარი – (ერთი სკულპტურა, ერთი გრაფიკული ნამუშევარი) გადაიგზავნება ლოზანაში (შვეიცარია)

**შენიშვნა:** წარმოდგენილ ნამუშევარს უნდა ახლდეს ავტორის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი.

მონაწილეებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 27 იანვრამდე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაში მისამართზე: მაჩაბლის № 11. ტელ: 251 00 57



ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერლიგა. III ტურის რჩეულნი

# სამეულისთვის

| | |
|---|---|
| სამედიცინო-ბათუმი | 85:87 |
| სტუ-რუსთავი | 86:82 დ.დ. |
| არმია-ქუთაისი | 89:49 |
| შსს-ოლიმპი | 72:80 |
| სოხუმი-დინამო | 84:73 |

თამამად შეიძლება ითქვას - მესამე ტური წინამორბედთაგან აშკარად განსხვავდებოდა. თანაც დადებითი კუთხით, რასაც უბრალო სტატისტიკაც მოწმობს: დაფარებების გარდა ყველა ძირითად კომპონენტში დაემხო რეკორდი.

ქულა. შსს-ს უკანახაზელმა **რობო კრეპსმა** 13-დან 7 სამქულიანი, 10-დან 5 ორქულიანი ჩააგდო, 3 საჯარიმოც მიაყოლა და 34 ქულას მოუყარა თავი. რობომ წინა ტურებში **ლაშა ფარლალავასა** და **ბრენდონ გაის** მიერ დამყარებული 31-31-ქულიანი რეკორდები დაამხო.

მოხსნა. მესამე ტურამდე მოხსნების რეკორდი 16-ს უდრიდა. ეს შედეგი გასულ შაბათს ორმა კალათბურთელმა გაიმეორა - ოლიმპიელმა **ილიცა მილუტინოვიჩმა** და სტუ-ელმა **ზურა მაჩალაძემ**.

პასი. მილუტინოვიჩმა 24 ქულა მოაგროვა. ქულათა უმეტესობა მან **ლაშა გამყრელიძის** შედეგიანი გადაცემების შედეგად მიითვალა. შესაბამისად, ლაშამ სეხნია ფარლალავას 10-პასიანი რეკორდი გააუმჯობესა - 14.

ჩაჭრა. მესამე ტურამდე ერთ მატჩში ყველაზე მეტი ჩაჭრა (5) ახალგაზრდა **დუდა სანაძეს** ჰქონდა. მას ასევე ახალგაზრდა **რევაზ ჩაჩანიძემ** გადაასწრო - სტუ-სთან ბურთი შვიდჯერ ჩაჭრა.

ტურის საუკეთესო კალათბურთელი კრეპსს, მილუტინოვიჩსა და გამყრელიძეს შორის უნდა აგვერჩია. რადგან ლაშას გუნდმა გაიმარჯვა, ხოლო ბოლო წუთებზე მან წარმატებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, ტურის №1 კალათბურთელად გამყრელიძე დავასახელეთ.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

**- ჯერ ის გვითხარი, რატომ გადაწყვიტე „ოლიმპში" თამაში?**

- თავიდან გუნდი მაღალ მიზნებს არ ისახავდა, მაგრამ მალე მიზანი შეიცვალა, გუნდში კარგი უცხოელები გამოჩნდნენ და მეც დამიძახეს. ამ სეზონში „ოლიმპი" საპრიზო სამეულისთვის აპირებს ბრძოლას. ასეთი ამბიციების გუნდში თამაში კი ჩემთვისაც მიმზიდველია.

**- რით შეიძლება „ოლიმპის" სუპერლიგის სხვა გუნდებისგან განსხვავება?**



- ახალი შეკრებილები ვართ, თუმცა ერთმანეთს კარგად ვუგებთ და სერიოზულ ძალასაც წარმოვადგენთ. ჩვენთან თამაში ბევრს გაუჭირდება. ეს ბოლო ტურშიც გამოჩნდა, როცა შსს დავამარცხეთ. მანამდე ვძლიეთ თსუ-ს, რომელიც ასევე ჩვენი კონკურენტია.

**- ბოლო მატჩში ვის გამოარჩევდი?**

- საუკეთესოს მეც „ოლიმპიდან" ავირჩევდი, რადგან ყველამ კარგად ვითამაშეთ. გამარჯვებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს მილუტინოვიჩმა, სლიუკამ, ბერიშვილმა...

**- ორი წლის წინათ საქართველოდან რომ წახვედი, ლეგიონერები ცალი ხელის თითზე თუ ჩამოითვლებოდა. ახლა სხვაგვარი სიტუაციაა.**

- ფაქტია, რომ უცხოელებმა საქართველოს ჩემპიონატს მეტი ინტერესი შემატეს. წლეულს ჩვენს პირველობაზე მაღალი დონის ლეგიონერები თამაშობენ. მისასალმებელია ისიც, რომ „ქუთაისში" მხოლოდ ერთი უცხოელია (აზერბაიჯანის ნაკრების გამთამაშებელი), მაგრამ ქუთათურებს სუპერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავთ.




| რეკორდები | |
|---|---|
| **ქულა** | |
| 34 - რობო კრეპსი (შსს) | 2-ქულ 5/10; 3-ქულ 7/13; საჯ 3/4; 29.10.11 შსს-ოლიმპი |
| **მოხსნა** | |
| 16 (ორჯერ) - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი) | (მეტოქ: 5; საკუთ: 11) 15.10.11 თსუ - ოლიმპი; (მეტოქ: 4; საკუთ: 12) 29.10.11 შსს-ოლიმპი |
| 16 - ზურა მაჩალაძე (სტუ) | (მეტოქ: 7; საკუთ: 9) 29.10.11 სტუ-რუსთავი |
| **პასი** | |
| 14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი) | 29.10.11 შსს-ოლიმპი |
| **ჩაჭრა** | |
| 7 - რევაზ ჩაჩანიძე (რუსთავი) | 29.10.11 სტუ-რუსთავი |
| **დაფარება** | |
| 6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი) | 15.10.11 თსუ-ოლიმპი |

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რობერტ კრეპსი | შსს | 3 | 83 | 27.67 |
| 2 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 3 | 78 | 26 |
| 3 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 3 | 69 | 23 |
| 4 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 3 | 58 | 19.33 |
| 5 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 2 | 37 | 18.5 |
| 6 | ბრენდონ გაი | სოხუმი | 2 | 37 | 18.5 |
| 7 | მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 2 | 36 | 18 |
| 8 | გიორგი ხანიაშვილი | სტუ | 3 | 52 | 17.33 |
| 9 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 2 | 33 | 16.5 |
| 10 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 2 | 32 | 16 |
| 11 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 3 | 46 | 15.33 |
| 12 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 3 | 46 | 15.33 |
| 13 | გილერმო დიაზი | არმია | 2 | 30 | 15 |
| 14 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი | 3 | 45 | 15 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ. | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 2 | 9 | 23 | 32 | 16 |
| 2 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 3 | 14 | 23 | 37 | 12.33 |
| 3 | ბრენდონ გაი | სოხუმი | 2 | 4 | 17 | 21 | 10.5 |
| 4 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 2 | 6 | 13 | 19 | 9.5 |
| 5 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 3 | 5 | 23 | 28 | 9.33 |
| 6 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 3 | 5 | 22 | 27 | 9 |
| 7 | სოსო შერმადინი | თსუ | 2 | 6 | 11 | 17 | 8.5 |
| 8 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 2 | 3 | 13 | 16 | 8 |
| 9 | ბექა ბექაური | სამედიცინო | 3 | 8 | 16 | 24 | 8 |
| 10 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 3 | 10 | 14 | 24 | 8 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 2 | 21 | 10.5 |
| 2 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 3 | 20 | 6.67 |
| 3 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი | 3 | 17 | 5.67 |
| 4 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 2 | 11 | 5.5 |
| 5 | რობერტ კრეპსი | შსს | 3 | 16 | 5.33 |
| 6 | დავით არწივიძე | რუსთავი | 3 | 14 | 4.67 |
| 7 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 3 | 14 | 4.67 |
| 8 | ბრენდონ გაი | სოხუმი | 2 | 9 | 4.5 |
| 9 | სანდიეტა გეინსი | არმია | 2 | 9 | 4.5 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 3 | 10 | 3.33 |
| 2 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 3 | 9 | 3 |
| 3 | დუდა სანაძე | დინამო | 3 | 9 | 3 |
| 4 | უილიამ ტომასი | არმია | 2 | 5 | 2.5 |
| 5 | ბრენდონ გაი | სოხუმი | 2 | 5 | 2.5 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 3 | 7 | 2.33 |
| 7 | ბექა ჩიკვილაძე | სამედიცინო | 3 | 7 | 2.33 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 2 | 8 | 4 |
| 2 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 3 | 8 | 2.67 |
| 3 | ჟოლივეტ ტუჯანი | შსს | 3 | 8 | 2.67 |
| 4 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 3 | 7 | 2.33 |
| 5 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 3 | 6 | 2 |
| 6 | იოაკიმ შელბომი | არმია | 2 | 4 | 2 |
| 7 | დავით გუგავა | რუსთავი | 3 | 4 | 1.33 |

**მეცლომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 3 | 15 | 5 |
| 2 | ლაშა გამყრელიძე | ოლიმპი | 2 | 10 | 5 |
| 3 | გიორგი ხანიაშვილი | სტუ | 3 | 13 | 4.33 |
| 4 | რობერტ კრეპსი | შსს | 3 | 11 | 3.67 |
| 5 | კოკა ტომარაძე | სამედიცინო | 3 | 11 | 3.67 |
| 6 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 3 | 10 | 3.33 |
| 7 | ტატო ჩაჩიბაია | სტუ | 3 | 10 | 3.33 |
| 8 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი | 3 | 10 | 3.33 |

გახსენება

# სამედიცინო ლიტერატურა და საკალათბურთო ბურთი

3 ნოემბერს **ვალერი ჯგერენაიას** 60 წელი შეუსრულდებოდა. მას საკალათბურთო საზოგადოებაში წარდგენა არ სჭირდება - 70-იან წლებში თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა, ხოლო 90-იან წლებში სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყვა, ჯერ „სოხუმს" ხელმძღვანელობდა, შემდეგ „მერანს" და „თბილისს"...

„დინამოდან" დაწყებული „თბილისით" გაგრძელებული ვალერი ჯგერენაიას უახლოესი მეგობარი იყო ნოდარ ქორქია, რომელსაც „ტომიკას" (ასე უწოდებდნენ ვალერის ახლობლები) გახსენება ვთხოვეთ.

*- ჯერ არასაკალათბურთო საქმიანობაზე ვიტყვი: ვალერი თბილისში, „არამიანცის" საავადმყოფოში ენდოკრინოლოგიის განყოფილების გამგე იყო.*




*ეს იმაზე მიუთითებს, რომ კალათბურთის მიღმაც პროფესიონალი გახლდათ. წიგნები ყველას გვიყვარდა, ჯგერენაიაც სულ წიგნებით დადიოდა, თუმცა ძირითადად სამედიცინო ლიტერატურას კითხულობდა.*

*- იგი სსრ კავშირის ნაკრებშიც იყო გამოძახებული: საბჭოთა გუნდს 1972 წლის ოლიმპიადა მოგებული ჰქონდა, როცა კიევის ტურის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კონდრაშინმა დიდი კრება მოაწყო და 16 კანდიდატი დაასახელა. მათ შორის მოხვდა ვალერი ჯგერენაია. თუმცა შემდეგ სანაკრებო კარიერა ვერ აეწყო, სამსახურს უფრო მიხედა... როგორც ვთქვი, თან კალათბურთს თამაშობდა და თან მედიცინაში მოღვაწეობდა.*



**ვალერი ჯგერენაია**

*- საქართველოში ომის დაწყებამდე იგი „სოხუმს" წვრთნიდა, ხოლო როცა ჩვენი ქვეყანა ფიბა-ში მიიღეს, კორაჩის თასზე მე და ჯგერენაიამ „მერანი" ერთად გავიყვანეთ - ის მთავარი მწვრთნელი იყო, მე - მოთამაშე-მწვრთნელი. სწორედ მაშინ დაიწყო ომი და თურქულ „ფენერბაჰჩესთან" ან ორივე მატჩი სტამბოლში უნდა გვეთამაშა, ან ტურნირი უნდა დაგვეტოვებინა. სტუმრად ორივე შეხვედრა წავაგეთ და ძალიან განვიცადეთ, თუმცა გვავიწყდებოდა, რომ კალათბურთელები სანგრებიდან გვყავდა წამოყვანილი... თურქეთში კი კალათბურთის ბუმი იყო, მხოლოდ ახალგაზრდულ ნაკრებზე მილიონები იხარჯებოდა.*

დავამატებთ, ვალერი ჯგერენაიას ვაჟები საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში გამოდიოდნენ. ამჟამად კი ამერიკაში არიან, სწავლის პარალელურად კოლეჯების ლიგაში თამაშობენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გია ამირხანაშვილთან

# წარმატება თავდაუზოგავ შრომას მოაქვს



**თბილისის „ჯიქები“ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა კლუბია, რომელმაც ძალზედ სწრაფად შეძლო გზა უმაღლესი ლიგისკენ გაეკაფა. ბავშვთა საფესტივალო ასაკიდან დაწყებულმა და სწორად წარმართულმა მუშაობამ ნაყოფი მალე გამოიღო. „ჯიქები“ ყველა ასაკის გუნდებს შორის, ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. კლუბის წარმატებები კი მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული გუნდის მთავარი მწვრთნელის გია ამირხანაშვილის საქმიანობასთან. „ჯიქების“ ალმასვლა სწორედ ამ სპეციალისტის კლუბში მოსვლის შემდეგ დაიწყო. გუნდის წარსულზე, აქამდე განვლილ გზასა და მომავლის გეგმებზე სწორედ მას ვესაუბრეთ**

- 2002 წელს ვეტერანმა მორაგბეებმა კახა ალანიამ, დავით გოცაძემ და გოჩა აბაშიძემ გადაწყვიტეს უბანში სამოყვარულო გუნდი შეექმნათ. დროთა განმავლობაში კლუბის შექმნის იდეაც დაიბადა და ასე გაჩნდა ქართულ სარაგბო კაბადონზე რაგბის კლუბი „ჯიქები“. ცხადია, მათ მუშაობა ბავშვებთან დაიწყეს და თავდაპირველად მხოლოდ საფესტივალო ასაკის ბავშვთა ტურნირებში ასპარეზობდნენ.

**- თქვენ როგორ და როდის მოხვდით ამ კლუბში?**

- 2008 წელს ესპანეთიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და ისევ უკან დაბრუნებას ვაპირებდი, რომ რაგბის კავშირის პრეზიდენტმა თავისთან მიხმო და მთხოვა მსაჯობისთვის მომეკიდა ხელი. იქვე იმყოფებოდა „ჯიქების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და კლუბის გამგეობის წევრი ირაკლი ხუციშვილი, რომელმაც მწვრთნელობა შემომთავაზა. დავთანხმდი და საფესტივალო ასაკის გუნდი ჩავიბარე, სულ 12 ბავშვს ვავარჯიშებდი.

ერთი წლის თავზე ჭაბუკთა B ლიგაში მოსაპარეზე გუნდის ნაწილი და ჩემი გაწვრთნილი ბიჭები გავაერთიანეთ, იმავე ლიგაში ვიასპარეზეთ და პირველობა არავის დავუთმეთ. 2010 წელს კი უკვე გუნდები ორივე ჭაბუკთა ლიგაში გვყავდა. A და B ლიგაში ორივე გუნდმა ფინალში გაალწია, თუმცა ორივე დამარცხდა.

**- პროფესიული გუნდის შექმნა რატომ გადაწყვიტეთ?**

- ჭაბუკთა ლიგებში მიღწეულმა წარმატებებმა გვაფიქრებინა, რომ ცუდი არ იქნებოდა თუ ამ ასპარეზზეც მოვსინჯავდით ძალას. 2010 წელს გუნდი საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ვათამაშეთ, ყველა მატჩი მოვიგეთ და პირველ ლიგაში გადავბარგდით. სადაც წლეულს პირველივე ცდაზე მეორე ადგილზე გავედით და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ მატჩში „აკადემიას“ ვძლიეთ. ფაქტობრივად, ორ წელიწადში, ახალგაზრდა მორაგბეებით მოვიპოვეთ ელიტურ გუნდებთან თამაშის უფლება.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი გუნდის ასეთი სწრაფი წინსვლის მიზეზი?**

- მიმაჩნია, რომ ამ წარმატების მიზეზი, კლუბის ყველა ხელმძღვანელის და მწვრთნელების თავდაუზოგავი შრომაა. აუცილებლად უნდა ვახსენო ის ადამიანები, ვინც დღე და ღამე ამ გუნდზე ზრუნავენ. ესენია: გიგო გაგოშვილი, დავით გოცაძე, ირაკლი ხუციშვილი და კლუბის პრეზიდენტი სოსო მაისურაძე. სწორედ ამ ადამიანებისა და მწვრთნელების გარჯამ მოგვიტანა ეს წარმატება.

**- ცხადია, ყოველივეს განხორციელება სპონსორების გარეშე არ მოხდებოდა...**

- დიახ ასეა, 2008 წელს, როცა გუნდში მივედი, ფარმაცევტული კომპანია „ჯიპისი“ გვეხმარებოდა, წელიწადნახევარი გვერდში გვედგა. მერე, როცა დაფინასება ველარ შეძლო, ილიას უნივერსიტეტი გამოჩნდა, მათ იკისრეს პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდის დაფინანსება და გუნდსაც იმიტომ დაერქვა „ილიაუნი-ჯიქი“. ამ უნივერსიტეტის რექტორის გიგი თევზაძის დახმარებით გაგვიჩნდა შესაძლებლობა, რომ სავარჯიშო მოედანი გვექირავებინა, ფორმები შეგვეძინა, მორაგბეებს ხელფასსაც ვუხდიდით. ყოველივე ამის შედეგი კი ისაა, რომ მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში ვიასპარეზებთ.

**- სავარჯიშო მოედანი ვიქირავეთო თქვით, საინტერესოა, როგორია კლუბის ინფრასტრუქტურა. სად ვარჯიშობენ ბავშვები და მოზარდთა გუნდები?**

- ნუცუბიძის 77-ში ღვთისნიერმა ხალხმა თავისი კუთვნილი ტერიტორია დროებით დაგვითმო. არასტანდარტული მოედანი გამოგვივიდა, სიგრძეც და სიგანეც ორმოცდაათი მეტრია. იქვე შენობაში ოთახი ავილეთ და გასახდელები მოვაწყვეთ. წყალი და სამხაპეები არ გვაქვს. აი, ასეთ პირობებში ვავარჯიშებდით ბავშვებსაც და პირველი ლიგის გუნდსაც.

**- საქართველოს 18 და 19-წლამდელთა ნაკრებები ამჟამად რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში წარმატებულად ასპარეზობენ. ამ ნაკრებებში თუ ჰყავს წარმომადგენლები „ჯიქებს“?**

- ჩვენი მორაგბეები თითქმის ყველა ასკობრივ ნაკრებებში თამაშობენ. საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში ოთხი ჩვენი აღზრდილი ასპარეზობს: შოთა თევზაძე, ონისე მოგელაშვილი, ნიკა ამაშუკელი და მიხეილ მასხარაშვილი. 19-წლამდელთა შორის კი გურამ შენგელია ირიცხება. გვყავდა რამდენიმე მოთამაშე მივლენილი საფესტივალო, 15-წლამდელთა ნაკრებშიც.

**- მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში მეტოქეები სერიოზული გეყოლებათ, თამაშიც საკმაოდ გაგირთულდებათ. იქ ღირსეულად საასპარეზოდ სათანადო პირობებია საჭირო. ალბათ, გუნდის ახალი მოთამაშეებით გაძლიერებაც აუცილებელი გახდება...**

- უმაღლეს ლიგაში თამაში მართლაც ძალიან ძნელი იქნება. მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული გვაქვს თანხა საიმისოდ, რომ უმაღლესი ლიგის და დუბლების გუნდისთვის „ავჭალის“ ან „შევარდენის“ სარაგბო სტადიონებზე ვიქირაოთ მოედანი სავარჯიშოდ. ეს, ცხადია, რაგბის კავშირის კეთილ ნებაზეც იქნება დამოკიდებული.

რაც შეეხება გუნდში ახალი მოთამაშეების გამოჩენას, გვინდა მინიმუმ ოთხი გამოცდილი მორაგბე დავიმატოთ. ორი შერკინებაში და ორიც უკანა ხაზში. ამასთან, ვაპირებთ უკანა ხაზის მწვრთნელიც მოვიწვიოთ, რომლის დახმარებითაც შერკინებისა და უკანა ხაზის თამაში უფრო დაბალანსებული გახდება.

ეს ყოველივე აუცილებელია, რადგან ახალგაზრდა მოთამაშეები მთელი წლის განმავლობაში, უბრალოდ, ფიზიკურად ვერ გაძლებენ. ასე რომ, გეგმები სერიოზული გვაქვს, შედეგი კი ჩვენს გარჯაზე იქნება დამოკიდებული.



ევროპის ჩემპიონატი, U-18



# ბოლო თამაში ელიტის წინ

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები რუმინეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე დღეს ბოლო, მესამე შეხვედრას გამართავს. „პატარა ბორჯღალოსნებმა“ განვლილ ორ შეხვედრაში შესანიშნავად იასპარეზეს, ორივე მოიგეს და მომავალ წელს ელიტაში, ექვსი ერის გათამაშებაში მონაწილე ქვეყნების 18-წლამდელთა ნაკრებებთან ერთად იასპარეზებს.

შეგახსენებთ, ჩვენმა მორაგბეებმა პირველ მატჩში დიდი სათამაშო უპირატესობის წყალობით მასპინძელთა ნაკრები დაამარცხეს - 27:6. ქართველმა მორაგბეებმა ოთხი ლელო გაიტანეს და ერთი პრემიალური ქულა მიიღეს. ასევე ოთხი ლელო გაუტანეს ჩვენმა ბიჭებმა ბელგიის ნაკრებს - 27:9.

ბოლო მეტოქე პორტუგალიის ნაკრებია, რომელსაც ასევე ორი მოგება და გაისად ელიტაში თამაშის უფლება განაღდებული აქვს. ამ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გავალთ და მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფში ინგლისის, უელსისა და იტალიის ნაკრებებთან ვითამაშებთ. თუ წავაგებთ მაშინ მეორე ადგილს დავჯერდებით და A ჯგუფში ირლანდიის, საფრანგეთისა და შოტლანდიის ნაკრებებთან მოგვიწევს ასპარეზობა.

**საქართველოს ნაკრები**

**რამაზ მაზმიშვილი, საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე, ბადრი ალხაზიშვილი, უჩა გურგენიძე, ილია მელაძე (ყველა-აკადემია), ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), ალექსანდრე ცისკარიშვილი, გიორგი აფციაური (ორივე-თიბისი), ნიკა ამაშუკელი, მიხეილ მასხარაშვილი, შოთა თევზაძე, ონისე მოგელაშვილი (ოთხივე-ჯიქები), ზაურ ხარებავა (რაინდები), საბა ჩიხლაძე, ლაშა ლაშხია (ორივე-ლელო), შალვა შაშიაშვილი, რევაზ ჯინჭველაშვილი, გიორგი ფრუიძე (სამივე-აია), გიორგი მარველანი, ვახტანგ ამირანაშვილი (ორივე-ივერია), რევაზ ბროძელი (არმაზი), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები), დევი დევსურაშვილი (ხულიგანა).**

**ევროპის ჩემპინატი, U-18**

**III ტური. 4 ნოემბერი**

**საქართველო-პორტუგალია**
**რუმინეთი-ბელგია**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. საქართველო - 10 ქულა, 2. პორტუგალია - 8, 3. ბელგია - 1, 4. რუმინეთი - 0.**

**ელიტური**

**A ჯგუფი: ირლანდია, საფრანგეთი, შოტლანდია (II ადგილზე გასული)**

**B ჯგუფი: ინგლისი, უელსი, იტალია (I ადგილზე გასული).**

მსოფლიოს თასის ექო

# ბურჯელალის ტულონი ივსება და ძლიერდება

სამხრეთაფრიკის ნაკრების მეორეხაზელმა **ბაკის ბოთამ** ახლახან სამედიცინო კვლევა გაიარა, რომლის შედეგებმაც ყველაზე მეტად, საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე კლუბის, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის“ მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი** გაახარა.

გაირკვა, რომ 2007 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების გამარჯვებული სამხრეთაფრიკელი მორაგბე „ტულონში“ თამაშს შეძლებს. თუმცა ბოთას, რომელსაც აქილევსის მყესი აქვს დაშავებული, ერთი თვე მკურნალობა მაინც მოუწევს.

ამასთან ერთად, გაირკვა, რომ ინგლისის ნაკრების ვეტერანი მორაგბე, 38 წლის **საიმონ შოუ** კარიერას სწორედ „ტულონში“ დაასრულებს. „პომების“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელსაც ეროვნულ გუნდში 71 კეპი მოუხვეჭია, გუნდს „სამედიცინო ჯოკერის“ რანგში შეუერთდება მძიმედ დაშავებული **ჟოსელინ სუტას** ნაცვლად.

ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ ბურჯელალმა კიდევ ერთი დაშავებული მორაგბის, არგენტინელი **ხუან ფერნანდეს ლობეს** ნაცვლად, რომელიც თამაშს სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს, ასევე არგენტინელი, 27 წლის **ლეონარდო სენატორე** მიიწვია. ის შარშანდელ სეზონში არგენტინული „პამპასების“ შემადგენლობაში ირიცხებოდა, რომელიც სამხრეთ აფრიკაში, „ვოდაკომის თასის“ გათამაშებაში ასპარეზობდა.

# სამოა ტენდერს აცხადებს

სამოას რაგბის კავშირმა ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი და მისი ასისტენტი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ახლი თავკაცების ვინაობა ჯერ არ დაუსახელებიათ, თუმცა უკვე გააცხადეს, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობის მსურველებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ოთხწლიანი გეგმა, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასზე წარმატებულ ასპარეზობას უზრუნველყოფს.

ამასთან, მომავალმა მწვრთნელებმა უნდა მოიძიონ და მოამზადონ სამოას ნაკრებისთვის მორაგბეები მთელ მსოფლიოში.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ჯოფრი ლუპული

# ეშმაკებს ბროდოც ვერ შველის

„ვინიპეგთან“ 8:9 წაგების შემდეგ „ფილადელფიამ“ დაალაგა თამაში და ზედიზედ მეორე გამარჯვებას მიაღწია. ამჯერად „მფრინავები“ ბაფალოს ესტუმრნენ და თავიდანვე სერიოზულად მიხედეს საქმეს. უკვე მეორე წუთისთვის სტუმრები ორი შაიბით იგებდნენ, მეშვიდე წუთზე კი ანგარიში 3:0 იყო.

„ბაფალომ“ მთლიანად ჩააგდო მატჩის დასაწყისი, განსაკუთრებით სუსტად კი ამ გუნდის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი, ამერიკელი მეკარე **რაიან მილერი** გამოიყურებოდა, რომელიც სასწრაფოდ შეცვალეს **იონას ენროტით** და ამ სვლამ გაამართლა. დარჩენილ დროში „ფილადელფიას“ გოლი არ გაუტანია, „ბაფალოს“ ფორვარდები კი უკვე ხშირად აწუხებდნენ სტუმრების კარის დარაჯს **ილია ბრიზგალოვს**.

მასპინძლებმა პირველი შაიბა მატჩის ეკვატორზე გაქვითეს. გოლი საკმაოდ კურიოზული გამოვიდა - **ანდრეი სეკერამ** ცისფერი ხაზიდან დაარტყა და ააცილა, მაგრამ ბარიერს ასხლეტილი შაიბა ბრიზგალოვს ფეხზე მოხვდა და ისე შევარდა კარში.

კიდევ უფრო კურიოზული გამოვიდა „სეიბრზის“ მეორე გოლი რუსი გოლკიპერის კარში. **ადამი** გვერდითი ბარიერიდან შაიბის მოშორებას აპირებდა, მაგრამ მისი დარტყმული ფილადელფიელთა მცველის **კიმო ტიმონენის** ფეხის გავლით ბრიზგალოვს ფეხებშუა გაუძვრა და „ბაფალოს“ მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდა.

ასეთი შანსი მასპინძელთა გუნდს მართლაც ჰქონდა, როცა საფინალო სირენამდე 15 წამით ადრე **ტომაშ ვანეკმა** ზედიზედ ორჯერ დაარტყა დაახლოებით ორი მეტრიდიან და ორივეჯერ ბრიზგალოვმა ითამაშა ფანტასტიკურად.

„ბაფალოსთვის“ ეს იყო ზედიზედ მეოთხე წაგება.

■ ■ ■

გუშინდელი სათამაშო დღის პირველი ვარსკვლავი გახდა „ტორონტოს“ ფორვარდი **ჯოფრი ლუპული**, რომლის ჰეთ-თრიკის წყალობით კანადელებმა სტუმრად მოუგეს „ნიუ ჯერსის“. შეხვედრის პირველ ნახევარში „ტორონტომ“ სამჯერ შეძლო წინ გასვლა და სამივეჯერ „დევილზმა“ ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ „ეშმაკებმა“ მაინც ვერაფერი მოუხერხეს ლუპულის აქტიურობას. ამ ფორვარდს ორჯერ ასისტირება გაუწია ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **ფილ კესელმა**, რომელსაც 10 მატჩში 10 გოლი და 10 შედეგიანი პასი აქვს.

ამ მატჩში ერთი საინტერესო სტატისტიკური მაჩვენებელი დაფიქსირდა - „ნიუ ჯერსის“ რუსი ვარსკვლავი **ილია კოვალჩუკი** NHL-ის მოქმედ ჰოკეისტებს შორის ყველაზე უარესია სარგებლიანობის მიხედვით - „მინუს 108“.

სხვათა შორის ტრავმით გამოწვეული ერთთვიანი პაუზის შემდეგ „ნიუ ჯერსის“ დაუბრუნდა მეკარე **მარტინ ბროდო**, მაგრამ ეს არ იყო მისი საუკეთესო მატჩი.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი ერგო „ფინიქსის“ მეკარე **მაიკ სმიტს**, რომელმაც „კოლორადოსთან“ მატჩში 40-დან 39 დარტყმა მოიგერია. ამ მატჩში, რომელიც „ფინიქსის“ 4:1 მოგებით დასრულდა, დუბლი შეასრულა **რადიმ ვრბატამ**, მისმა თანაგუნდელმა **კორპიკოსკიმ** კი ვარდნაში ბრწყინვალე გოლი გაიტანა. ეს მოკრძალებული არიზონული კლუბის ზედიზედ მესამე მოგება იყო.

მესამე ვარსკვლავიც მეკარეა - „ფილადელფიას“ კარის დარაჯი ილია ბრიზგალოვი, რომლის გმირობებზე უკვე გელაპარაკეთ.

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 3:5**

**1:2, 2:3, 0:0**

**გოლები**: 0:1 კრები-1 (ლომბარდი-3, ლაილსი-8), 1:1 ზუბრუსი-3 (ენრიკე-2), 1:2 გრაბოვსკი-5 (გარდინერი-4, გუსტავსონი-1), 2:2 ელიაში-5 (ა. ლარსონი-1, კოვალჩუკი-5), 2:3 ლუპული-6 (კომისარეკი-3, ტიმ კონოლი-2), 3:3 კლარკსონი-3 (პალმიერი-3, მილსი-1), 3:4 ლუპული-7 (კესელი-9, ტიმ კონოლი-3), 3:5 ლუპული-8 (გრაბოვსკი-4, კესელი-10).

**ბაფალო-ფილადელფია 2:3**

**0:3, 1:0, 1:0**

**გოლები**: 0:1 კუტურიე-3 (ლილია-2, ვორაჩეკი-4), 0:2 ვან რისმსდიკი-5 (რინალდო-2), 0:3 ჰარტნელი-5 (კ. ჟირუ-9, იაგრი-7), 1:3 სეკერა-1 (ლეოპოლდი-2, ლ. ადამი-7), 2:3 ლ. ადამი-4 (ვანეკი-8, პომინვილი-10).

**კოლორადო-ფინიქსი 1:4**

**0:1, 1:1, 0:2**

**გოლები**: 0:1 პიატი-2 (მორისი-2, გორდონი-3), 0:2 ვრბატა-4 (ჰანჟალი-7, რეი უიტნი-6), 1:2 რ. ო'რაილი-2 (ვინიკი-3, ო'ბირნი-2), 1:3 კორპიკოსკი-3 (შლემკო-5, კლესლა-4), 1:4 ვრბატა-5 (რეი უიტნი-7, ეკმან-ლარსონი-2).

# დომინატორი ისევ ბრუნდება

ლეგენდარული ჩეხი მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** კვლავაც კარგ ფორმაშია და კიდევ ერთხელ აპირებს კარიერის განახლებას.

46 წლის გოლკიპერმა რუსეთის ლიგაში გამოსვლის შემდეგ პაუზის აღება გადაწყვიტა, მაგრამ „დომინატორი“ ფიზიკურ ფორმას ინარჩუნებს და დიდ ჰოკეიში დაბრუნების იმედი აქვს.

*„მე ჯერ ისევ ვფიქრობ იმაზე, რომ მომავალ სეზონში თამაშს დავუბრუნდე. ამიტომაც მნიშვნელოვანია კარგ ფორმაში ყოფნა.*

*ამ ყველაფრისგან სიამოვნებას ვიღებ და ვემზადები კარიერის განახლებისთვის“*, - ამბობს ჰაშეკი.

ჩეხური პრესა წერს, რომ ჰაშეკი მომავალი წლის ზაფხულში ან კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადებს ან კონტრაქტს გააფორმებს ფინეთის, ჩეხეთის, შვედეთის ან ჩეხეთის რომელიმე კლუბთან.

კალათბურთი. ევროლიგა

# ბერძნული გრანდის პრობლემები

საკალათბურთო ევროლიგაზე მესამე ტური ოთხი მატჩით დაიწყო, რომელთაგანაც ყველაზე დაძაბული ბრძოლა ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში იყო, სადაც ა ჯგუფის ლიდერი „კახა ლაბორალი“ ბერძნულ გრანდს „ოლიმპიაკოსს“ ხვდებოდა.

ბერძნები პირველ მეოთხედში სოლიდური სხვაობით გავიდნენ წინ - 9 ქულით დაწინაურდნენ და დიდი ხანი ინარჩუნებდნენ კომფორტულ უპირატესობას. ასე გრძელდებოდა მეოთხე მეოთხედის შუამდე, მაგრამ „ოლიმპიაკოსს“ „კახა ლაბორალის“ 10:2 გაქცევა გამოეპარა და მასპინძელთა გუნდმა წინ გასვლა მოახერხა.

საფინალო სირენამდე რვა წამით ადრე „ოლიმპიაკოსის“ ლიდერმა ვასილის სპანულისმა სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა - 79:79. მაგრამ ოვერტაიმი არ შედგა: თამაშის დამთავრებამდე წამითა და შვიდი მეათედით ადრე არგენტინელმა **პაბლო პრიჯიონიმ** ზუსტი ტყორცნით გამარჯვება მოუტანა „კახა ლაბორალს“ - 81:79.

სამი ტურის შემდეგ ბასკურ კლუბს სამიდან სამი მოგება აქვს, ოლიმპიაკოსი კი მხოლოდ ერთი მოგებით იწონებს თავს.

■ ■ ■

ასევე სამიდან სამი მოგებით ლიდერობს B ჯგუფს მოსკოვის ცსკა. არმიელებმა მორიგი დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში. ამჯერად, მათ სტუმრად ხორვატიის ჩემპიონი „ზაგრები“ გაანადგურეს.

ცსკა-მ პირველი მეოთხედი ცხრა ქულით მოიგო, მომდევნო სამ პერიოდში კი რუსების უპირატესობა მინიმუმ ათ ქულას აღწევდა. საბოლოოდ არმიელებმა ხორვატიაში 42-ქულიანი სხვაობა დააფიქსირეს - 89:47.

სტუმრებმა 55-პროცენტიანი სიზუსტით ისროლეს სამქულიანები - 20-დან 11 ჩააგდეს და 40 წუთის განმავლობაში მხოლოდ რვა შეცდომა დაუშვეს.

ზედიზედ მეორე მატჩია, ცსკა-ს რიგებში ყველაზე შედეგიანია სერბი ცენტრი **ნენად კრსტიჩი** - ამჯერად მან 15 ქულა დააგროვა.

ცსკა-ს სამი ტურის შემდეგ სამი მოგება აქვს, ზაგრებს პირიქით - სამი წაგება.

■ ■ ■

კიდევ ერთი დიდი ანგარიშით გამარჯვება იტალიის „მონტეპასკიმ“ მოიპოვა, რომელმაც შინ 26-ქულიანი სხვაობით აჯობა თურქეთის „გალათასარაის“. ამ უკანასკნელის რიგებში ტრავმის გამო არ უთამაშია ქართველ ცენტრ **ზაზა ფაჩულიას**.

იტალიურმა გუნდმა შეხვედრა 14:3 გაქცევით დაიწყო და პირველ მეოთხედში სოლიდურ ფორას მიაღწია - 14 ქულით დაწინაურდა. „გალათასარაის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მეორე მეოთხედის ერთი ქულით მოგება შეძლო, მაგრამ ეს თურქების შემთხვევითი გაბრძოლება აღმოჩნდა.

მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილას დადგა და ქულათა სხვაობა ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად იტალიელთა სასარგებლოდ იზრდებოდა. 103:77 გაიმარჯვა „მონტეპასკიმ“ და სამიდან სამი მოგებით ლიდერობს D ჯგუფს.

**ბო მაკალები** „მონტეპასკის“ რიგებში 19 ქულით ამჯერად მეორე იყო შედეგიანობის მხრივ. მან წინ გაუშვა ლიტველი **კაუკენასი**, რომელმაც თავის გუნდს 24 ქულა შესძინა.

D ჯგუფის აუტსაიდერები შეხვდნენ ერთმანეთს ლიუბლიანაში - იქაურ „ოლიმპიას“ და პოლონეთის „პროკომს“ აქამდე გამარჯვება არ ჰქონდათ მოპოვებული.

მასპინძლებმა - სლოვენიელმა კალათბურთელებმა დებიუტში ცხრაქულიან უპირატესობას მიაღწიეს და კარგა ხანი მშვიდად აკონტროლებდნენ მატჩის მსვლელობას, მაგრამ მესამე პერიოდში ერთი კრიტიკული მომენტი მაინც ვერ აიცილეს თავიდან. სტუმარმა **ლუკაშ სევერინმა** ზუსტი შორეული ტყორცნით სამ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა, თუმცა იქვე „ოლიმპიას“ მცველმა ასევე სამქულიანით უპასუხა და ამის შემდეგ, „პროკომი“ აღარ მიახლოვებია მეტოქეს.

მასპინძლებმა ჯამში 27 სამქულიანი ისროლეს და 11-ჯერ ზუსტად, რამაც განაპირობა კიდეც ამ მატჩში მათი წარმატება. არადა, წინა ორ ტურში „ოლიმპიამ“ 33-ჯერ ესროლა პერიმეტრიდან და მხოლოდ ოთხი (!) ბურთი ჩააგდო.

**A ჯგუფი**

**კ. ლაბორალი-ოლიმპიაკოსი 81:79**

**13:22, 19:18, 28:26, 21:13**

**კ-ლ**: ტელეტოვიჩი (20+5 მოხსნა+3 დაფარება), სერაფინი (15+5 მოხსნა), სან ემეტერიო (15), რიბასი (9).

**ო**: სპანულისი (19+7 პასი), ჰაინსი (14+5 მოხსნა), ანტიჩი (14+6 მოხსნა), კეშელი (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. კ. ლაბორალი | 3 | 0 | 17 |
| 2. ნანსი | 1 | 1 | 3 |
| 3. ბილბაო | 1 | 1 | 1 |
| 4. კანტუ | 1 | 1 | -1 |
| 5. ოლიმპიაკოსი | 1 | 2 | -10 |
| 6. ფენერბაჰჩე | 0 | 2 | -10 |

**B ჯგუფი**

**ზაგრები-ცსკა 47:89**

**13:22, 11:23, 11:21, 12:23**

**ზ**: სიმონი (15+5 მოხსნა), კასუნი (14+9 მოხსნა), მაშიჩი (9).

**ც**: კრსტიჩი (15+5 მოხსნა), კირილენკო (14+7 მოხსნა), ვორონცევიჩი (12+6 მოხსნა), მეხია (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 3 | 0 | 75 |
| 2. პანათინაიკოსი | 2 | 0 | 40 |
| 3. ბამბერგი | 1 | 1 | 11 |
| 4. უნიკახა | 1 | 1 | -14 |
| 5. ჟალგირისი | 0 | 2 | -20 |
| 6. ზაგრები | 0 | 3 | -93 |

**D ჯგუფი**

**მონტეპასკი-გალათასარაი 103:77**

**30:16, 20:21, 26:17, 27:23**

**მ**: კაუკენასი (24), მაკალები (19+4 პასი), ანდერსენი (13+6 მოხსნა), არადორი (11+6 მოხსნა), ლავრინოვიჩი (9).

**გ**: ანდრიჩი (12), არსლანი (11), შიპი (10+8 მოხსნა), შუმპერტი (10+8 მოხსნა), ლაკოვიჩი (9), ალდემირი (9).

**ოლიმპია-პროკომი 70:62**

**25:16, 15:17, 18:14, 12:15**

**ო**: გრინი (23), როტბარტი (9+8 მოხსნა), მურიჩი (8+6 მოხსნა).

**პ**: გი (13+7 მოხსნა), ლაფაიეტი (12), სევერინი (9).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 3 | 0 | 56 |
| 2. ბარსელონა | 2 | 0 | 49 |
| 3. უნიქსი | 1 | 1 | -4 |
| 4. გალათასარაი | 1 | 2 | -26 |
| 5. ოლიმპია | 1 | 2 | -36 |
| 6. პროკომი | 0 | 3 | -39 |



ცსკა ასპროცენტიანია

# ყველაფერში დამნაშავე ჰანტერია

ოკეანის გაღმიდან ლოკაუტთან დაკავშირებით ახალი ბევრი არაფერია, თუმცა ამერიკულ პრესაში საინტერესო ამბების ამოკითხვა მაინც შეიძლება.



დერეკ ფიშერი

გაზეთი „ნიუ იორკ დეილი ნიუსი“ წერს, რომ გასულ კვირას პროფკავშირების პრეზიდენტი **დერეკ ფიშერი** მზად იყო კლუბების მფლობელებს ლიგის საერთო შემოსავლის 50-პროცენტიან წილზე დათანხმებოდა და ამ შემთხვევაში, ლოკაუტი დასრულებული იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, ბოლო სიტყვა პროფკავშირის აღმასრულებელ დირექტორს ბილი ჰანტერს დარჩა და მან უარი თქვა დათმობაზე წასვლაზე. ამიტომაც ჩაიშალა ბოლო მოლაპარაკება.

სხვათა შორის, დღეს ნიუ იორკში პროფკავშირის წევრთა სხდომა იმართება, რომელზეც ახალ სტრატეგიას შეიმუშავებენ ლიგასთან მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის წინ.

■ ■ ■

საერთო შემოსავლის გაყოფის ყბადაღებულ თემასთან დაკავშირებით ახალი ის არის, რომ იურისტი **ჯეფრი მიშკინი**, რომელიც NBA-ის ხელმძღვანელთა ინტერესებს წარმოადგენს, ფედერალურ სასამართლოს მიმართავს წინადადებით, რომ სწორედ მან გადაწყვიტოს საკამათო საკითხი.

*„პროფკავშირებს აწყობს გაურკვევლობა. ეს ჰგავს სიტუაციას, როცა ვიღაც პისტოლეტს ამოიღებს და მაგიდაზე დადებს“*, - ამბობს მიშკინი სააგენტო AP-სთან კომენტარში.

■ ■ ■

შესაძლოა, სიტუაცია გაართულოს NBA-ის რამდენიმე კლუბის პოზიციამ, რომლებიც მზად არ არიან შემოსავლის თანაბრად გაყოფისთვის.

*„რამდენიმე პატარა და საშუალო დონის გუნდს ყველაზე ხისტი პოზიცია უკავია. მათ არ აწყობთ მოგების თანაბრად განაწილება, რადგან ასეთ შემთხვევაში წაგებულები რჩებიან“*, - ამბობს მოლაპარაკებების ერთ-ერთი მონაწილე ESPN-თან ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ერთიანი ბიბლიოთეკა

ცურვა

# ტორპი დღეს პირველად გაცურავს


იან ტორპი შეკრებისას

ლეგენდარული ავსტრალიელი მოცურავე, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი **იან ტორპი** ხუთწლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება დიდ სპორტს. "ტორპედო" დღეს, სინგაპურში მსოფლიოს თასის ეტაპზე აიღებს სტარტს. ბოლოს ავსტრალიელი ოფიციალურ ტურნირზე 2006 წელს გამოდიოდა. მან დიდ სპორტში დაბრუნება შარშან გადაწყვიტა, შვეიცარიაში გადაბარგდა და იქ ვარჯიშობდა რუსი მწვრთნელის **გენადი ტურეცკის** ხელმძღვანელობით. სინგაპურში ტორპი მაღალმთიანი საწვრთნელი შეკრებიდან ჩაფრინდა, რომელიც შვეიცარიის ალპებში ჩაატარა.

ტორპი მსოფლიოს თასის სამივე აზიურ ეტაპზე აპირებს მონაწილეობის მიღებას: სინგაპურიდან ავსტრალიელი პეკინში გამოვა, ბოლოს – ტოკიოში. ვარჯიშების განახლების მომენტიდან დღემდე ტორპმა ცხრა კილოგრამი დაიკლო და ახლა ოთხი კილოგრამით მჩატეა, ვიდრე 2004 წელს ათენის ოლიმპიადის დროს იყო.

"*ბუნებრივია, ვნერვიულობ*, - განაცხადა მოცურავემ მნიშვნელოვანი სტარტის წინ. - *ჩემს მწვრთნელთან ერთად ძალიან დიდი და კარგი სამუშაო გავწიეთ, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რას უნდა ველოდო საკუთარი თავისგან. ასე რომ, მკაცრად ნუ განმსჯით*".

რაც შეეხება დისტანციებს, რომლებზეც ტორპი აიღებს სტარტს, ამ მხრივ მოულოდნელობასთან გვაქვს საქმე: სამივე ეტაპზე "ტორპედომ" განაცხადი შეიტანა 100 მეტრზე ბატერფლაიში და 100 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. შესაძლოა, ტოკიოში მან 100 მეტრი კროლიც დაუმატოს, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით სპორტსმენსა და მის მწვრთნელს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

"*ვიცი, რომ ყველა ელოდება გამოსვლას ჩემს საყვარელ დისტანციებზე – 100 და 200 მეტრზე თავისუფალში, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის, როცა უნდა ვიჩქარო. ოლიმპიადაზე სწორედ ამ დისტანციებზე ვაპირებ გამოსვლას*, - ამბობს ტორპი. - *შესაბამისად, თავად გადავწყვეტ, როდის სად გაიმართება პირველი სტარტი ამ დისციპლინებში*".

ფორმულა 1

# ფედერაციას ბევრი საქმე აქვს




როგორც უკვე ვწერდით, ჟენევაში გაიმართება ფორმულა 1-ის კომისიის სხდომა, რომელზეც მომავალ სეზონთან დაკავშირებული რამდენიმე საინტერესო თემა უნდა განიხილონ. მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრის შესაძლო კორექტირება და წესების შეცვლა. გარდა ამისა, გაიმართება კენჭისყრა სამი გუნდის – "ლოტუს-რენოს", "ლოტუსისა" და "მარუსია-ვირჯინის" სახელის შეცვლის თაობაზე.

კომისია 25 წევრისგან შედგება, რომელთაგანაც 12 - გუნდის წარმომადგენელია, რბოლების პრომოუტერი – 8, ორი სპონსორი, თითო წარმომადგენელი ძრავების მწარმოებელთაგან და "პირელისგან", აგრეთვე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **ჟან ტოდტი** და ფორმულა 1-ის მენეჯმენტის ხელმძღვანელი **ბერნი ექლსტოუნი**.

2012 წლის კალენდარი, შესაძლოა, გადაიხედოს. ჯერ ერთი, ბაჰრეინში პოლიტიკური სიტუაცია ისევ დაძაბულია; მეორე – კორეის გრანპრის ორგანიზატორებმა თხოვნით მიმართეს ექლსტოუნს შეამციროს რბოლის ჩატარებაზე გადასახადი. ბერნიმ კი ყველას ცალსახად მიანიშნა, რომ არ აპირებს ამის გაკეთებას, ამიტომაც არსებობს იმის ალბათობა, რომ კორეის გრანპრის კალენდრიდან ამოიღებენ, თუმცა ფორმალურად იონამის ავტოდრომთან კონტრაქტი 2014 წლის ბოლომდეა გაფორმებული.

შესაძლოა, კომისიამ გადაწყვეტილება მიიღოს კვალიფიკაციაში წესების შეცვლაზე, რათა გუნდებმა მეტი სტიმული მიიღონ ფინალურ სესიაში მონაწილეობისთვის და მათ არ დაზოგონ საბურავები. სავარაუდო გადაწყვეტილება ის იქნება, რომ მონაწილეები საბურავების დამატებით კომპლექტს მიიღებენ, რომელიც მხოლოდ კვალიფიკაციისთვის იქნება განკუთვნილი.

ცნობილია, რომ ჩემპიონატში მონაწილე ზოგიერთი გუნდი აქტიურ ტექნიკურ დახმარებას უწევს სხვა გუნდებს და ეს ზოგიერთ საჯინიბოს არ მოსწონს. კერძოდ, "მაკლარენი" ტექნიკურ მხარდაჭერას გამოხატავს "ფორს ინდიას" მიმართ, "ლოტუსს" კავშირი აქვს "რედ ბულთან" – ის საჩემპიონო გუნდისგან მზა კვანძებს ყიდულობს. ამ სიტუაციაში აზრი აქვს საბაზო ცნების – "კონსტრუქტორის" დაზუსტებას, აგრეთვე უნდა განისაზღვროს ტექნიკური თანამშრომლობის საზღვრები.

კრივი

# მეივეზერმა ჩხუბი დანიშნა



ფლოიდ მეივეზერი

სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს ამერიკელი მოკრივის, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი **ფლოიდ მეივეზერის** გულშემატკივრებმა. თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე მორიგ ბრძოლას 2012 წლის 5 მაისს გამართავს. ამის შესახებ ჟურნალისტებს მეივეზერის მენეჯერმა **ლეონარდ ელერბემ** აცნობა. ბრძოლა ლას ვეგასში გაიმართება, თუმცა ჯერ ცნობილი არ არის ამერიკელი მოკრივის მოწინააღმდეგის ვინაობა.

სავარაუდო მეტოქეზე ლაპარაკისას ელერბემ განაცხადა, რომ მეივეზერს ფილიპინელ **მენი პაკიაოსთან** შეხვედრა სურს, რომელსაც ბევრი თანამედროვეობის საუკეთესო მოკრივედ მიიჩნევს.

„*ჩვენ თანამედროვეობის უმსხვილესი ბრძოლის ორგანიზების იმედი გვაქვს*, - ამბობს ელერბე. - *ფლოიდმა ცხადად მიანიშნა ყველას, რომ უნდა გულშემატკივრებს ყველაზე სასურველი ბრძოლა აჩუქოს. ამიტომაც, ჩვენი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის*".

მეივეზერისა და პაკიაოს ბრძოლაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო, მაგრამ რამდენჯერმე ჩაიშალა. მეივეზერი ითხოვს, რომ ფილიპინელმა ბრძოლის წინ და შემდეგ დოპინგკონტროლი გაიაროს ოლიმპიური წესების მიხედვით. პაკიაო ამ პირობებს არ იღებს.

34 წლის მეივეზერი ამჟამად მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია WBC-ის ვერსიით 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. სულ პროფესიულ რინგზე 42 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო (26 - ნოკაუტით).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| რუბინი-ტოტენჰემი | 1:0 |
| შემროკი-პაოკ | 1:3 |
| კოპენჰაგენი-ჰანოვერი | 1:2 |
| ვორსკლა-სტანდარდი | 1:3 |
| ლეგია-რაპიდი (ბ) | 3:1 |
| ეინდჰოვენი-ჰაპოელი (თ-ა) | 3:3 |
| ვასლუი-სპორტინგი | 1:0 |
| ლაციო-ციურიხი | 1:0 |
| ბეშიქთაში-დინამო (კ) | 1:0 |
| მაკაბი (თ-ა)-სტოკი | 1:2 |
| პსჟ-სლოვანი | 1:0 |
| ზალცბურგი-ბილბაო | 0:1 |
| აუსტრია-ალკმაარი | 2:2 |
| მეტალისტი-მალმიო | 3:1 |
| ბირმინგემი-ბრიუგე | 2:2 |
| ბრაგა-მარიბორი | 5:1 |
| ატლეტიკო-უდინეზე | 4:0 |
| სელტიკი-რენი | 3:1 |
| შალკე-აეკ (ლ) | 0:0 |
| სტიაუა-მაკაბი (ჰ) | 4:2 |
| ტვენტე-ოდენსე | 3:2 |
| ფულჰემი-ვისლა | 4:1 |
| აეკ (ა)-ლოკომოტივი (მ) | 1:3 |
| ანდერლეხტი-შტურმი | 3:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ფიურტი A-ბაიერნი A | 1:1 |
| **იაპონია** | |
| ფუკუოკა-შიმიცუ | 2:2 |
| გამბა-კაშიმა | 1:0 |
| ნაგოია-სერეზო | 3:1 |
| კოფუ-იოკოჰამა | 1:2 |
| კაშივა-ნიიგატა | 4:0 |
| ურავა-ივატა | 0:3 |
| ვეგალტა-ჰიროშიმა | 0:0 |
| კავასაკი-ომიია | 0:1 |
| კობე-იამაგატა | 2:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| უნიქს-ბარსელონა | 65:93 |
| ფენერბაჰჩე-ნანსი | 90:86 |
| კანტუ-ბილბაო | 78:69 |
| მაკაბი (თ-ა)-რეალი | 88:82 |
| მილანი-ეფესი | 54:62 |
| პარტიზანი-შარლერუა | 91:81 |
| **ევროლიგა** | |
| **ქალები** | |
| ლოტოსი-ბურჟი | 71:67 |
| დიორი-გალათასარაი | 82:106 |
| **რუსეთი** | |
| ნ. ნოვგოროდი-სპარტაკი | 88:89 (ო) |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **[illegible]** | |
| გერმანია-დანია | 26:29 |
| შვედეთი-ესპანეთი | 23:25 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ტორპედო | 4:5 (ბ) |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (მ) | 2:3 |
| **დანია** | |
| კოპენჰაგენი-ესბერგი | 3:2 |
| როდოვრე-ოდენსე | 2:3 |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 1:3 |
| ჰერლევი-ოლბორგი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-სტავანგერი | 6:0 |
| მანგლერუდი-რუსენბორგი | 0:6 |
| სტორჰამარი-ფრისკ ასკერი | 8:3 |
| სტიერნენი-სპარტა | 2:6 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-სლოვანი | 1:0 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-კერპეტი | 3:2 (ბ) |
| ილვესი-საიპა | 1:2 (ბ) |
| ტპს-პელიკანსი | 0:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-კლადნო | 4:6 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფერიესტადი | 3:2 |
| ბრინასი-იურგორდენი | 3:2 (ბ) |
| ვაქსიო-ჰვ71 | 2:4 |
| ლინჩოპინგი-ლულეა | 1:2 |
| ტიმრა-შელეფტეო | 1:3 |
| ფრიოლუნდა-მოდო | 6:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ბაზელი** | |
| ფ. მაიერი-ლუბიჩიჩი | 6:3, 6:1 |
| ნიშიკორი-სეპი | 6:3, 7:6 |
| კუკუშკინი-ბლეიკი | 6:3, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-კუბოტი | 6:1, 6:2 |
| როდიკი-შტეპანეკი | 2:6, 6:3, 6:3 |
| ვავრინკა-ჰაასე | 4:6, 6:1, 6:2 |
| **ATP. ვალენსია** | |
| ცონგა-კუერი | 6:7, 2:6 |
| მონაკო-ფონინი | 6:3, 6:1 |
| ჩილიჩი-გრანოლერსი | 6:3, 3:6, 5:7 |
| ფერერო-ბოგომოლოვი | 7:6, 4:6, 6:2 |
| დელ პოტრო-ანდერსონი | 6:4, 6:4 |
| **WTA. ბალი** | |
| პეტროვა-პენგი | 6:4, 6:3 |
| ივანოვიჩი-ვინჩი | 6:3, 6:3 |

TV პროგრამა

**4 ნოემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXII ტურის მიმოხილვა.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
12:00 გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
13:30 იტალიის შოუ.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური. ტვენტე-ეინდჰოვენი.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტური. ლანუსი-გოდოი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXII ტური. ვასკო და გამა-სან პაულუ.
21:00 გადაცემა - გოლი
22:30 იტალიის ჩემპიონატი. XI ტურის წინ.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტურის წინ.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. მაინცი-შტუტგარტი (LIVE).
01:30 იტალიის ჩემპიონატი. XI ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ბოსტონი.
15:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
15:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
16:00 სპორტ-NEWS.
16:20 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
17:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
00:30 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
10:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/8 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია.
12:30 სპორტ-NEWS.
12:50 საჩოგბურთო პროგრამა - მატჩ-პოინტი.
13:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბალი. ინდონეზია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მიმოხილვა. ბაზელი. შვეიცარია.
18:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

23:25 გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-შტუტგარტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

14:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. სინგაპური (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

16:00 WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბალი. ინდონეზია (LIVE).
21:00 ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

23:40 ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პანათინაიკოსი-ჟალგირისი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 ფიგურული სრიალი. გრან-პრი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
14:00 რალი. IRC. I დღე. კვიპროსი (LIVE).
15:00 ფიგურული სრიალი. გრან-პრი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
16:45 ფიგურული სრიალი. გრან-პრი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
23:30 პროფესიული კრივი. ტურნირი Bigger's Better. მძიმე წონა. პორტუგალია (LIVE).

**EUROSPORT-2**

13:00 ფიგურული სრიალი. გრან-პრი. პეკინი. ჩინეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


ვერა ზვონარევა

# პარიზის მასტერსი ნადალის გარეშე


რაფაელ ნადალი

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** უარი თქვა პარიზის მასტერსში მონაწილეობაზე, რომელიც 7-13 ნოემბერს გაიმართება. ამის შესახებ ესპანელმა ჩოგბურთელმა Facebook-ზე დაწერა. რაფამ საფრანგეთში გამგზავრება იმის გამო იუარა, რათა უკეთ მოემზადოს წლის შემაჯამებელი ტურნირისთვის და დევისის თასის ფინალისთვის, რომელშიც ესპანეთის ნაკრები არგენტინას სევილიაში შეხვდება.

იქვე ნადალმა დაამატა, რომ 2012 წელს აუცილებლად გამოვა პარიზის მასტერსზე და ერთხელაც მოახერხებს ამ ტურნირის მოგებას.

წელს, სეზონის ბოლო მასტერსზე მთელი საჩოგბურთო ელიტა იქნება შეკრებილი. საფრანგეთის დედაქალაქში გამოსვლას აპირებენ **ნოვაკ ჯოკოვიჩი, როჯერ ფედერერი, ენდი მიურეი** და სხვები.

■ ■ ■

მანამდე კი მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ბაზელში მიმდინარე ტურნირზე მეორე მატჩი მოიგო. გუშინ, სერბი ჩოგბურთელი მერვედფინალში მსოფლიოს 64-ე ნომერს, 29 წლის პოლონელ **ლუკაშ კუბოტს** ხვდებოდა და მას მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო - 6:1, 6:2.

ჯოკოვიჩმა ოთხი ბრეიკი გააკეთა, ამას რვა ეისი და ორი ორმაგი შეცდომა დაუმატა და 55 წუთში გაიმარჯვა. ახლა, ნოვაკი ურთიერთშეხვედრებში 4:0-ს უგებს პოლონელ ჩოგბურთელს.

მეოთხედფინალში ჯოკოვიჩის მეტოქე კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** იქნება, რომელმაც ერთი დღის ადრე სამ სეტში მოუგო შვეიცარიელ **მიხაელ ლამერს.**

# სერენას ქურდი მოელანდა


სერენა უილიამსი

კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** - მას ანტისადოპინგო სამსახურის თანამშრომელი მძარცველში აერია.

ინციდენტი გასულ კვირას მოხდა, როცა სპორტსმენი ლოს ანჯელესში საკუთარ სახლში იმყოფებოდა, თუმცა პრესისთვის ეს ინფორმაცია მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. სერენას ამ ისტორიის შესახებ „ტვიტერზე" არაფერი დაუწერია.

დოპინგოფიცერი ჩოგბურთელთან სახლში 26 ოქტომბერს დაახლოებით დილის ექვს საათზე მივიდა. უცნობი მამაკაცი სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. უმცროსმა უილიამსმა მაშინვე პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ შეამჩნია უცნობი, რომელიც მის სახლში შესვლას ცდილობდა. ამის შემდეგ სერენა ე.წ. „შიშის ოთახში" (panic room) დაიმალა.

როგორც Yahoo! Sport წერს, ჩოგბურთელის სიფრთხილე სავსებით ლოგიკური იყო, რადგან 2011 წელს უცნობი მამაკაცი მართლაც ცდილობდა სერენას სახლში შეღწევას და საბოლოოდ ის პოლიციამ დააკავა.

ამჯერად დაკავება არ ყოფილა. პოლიციელები დროულად მივიდნენ უილიამსის სახლთან, მაგრამ მალე გაირკვა, რომ მოულოდნელი სტუმარი ჩოგბურთელს დოპინგ-სინჯის ასაღებად ეწვია. ჯერჯერობით უცნობია, შეასრულა თუ არა თავისი მისია დოპინგოფიცერმა.

# ანა ორი წლით გაიყინა


ანა ჩაკვეტაძე

რუსმა ჩოგბურთელმა **ანა ჩაკვეტაძემ** არ იცის, როდის დაბრუნდება კორტზე. სპორტსმენი უახლოეს ხანში პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებას აპირებს - ის რუსეთის დუმის დეპუტატობაზე იყრის კენჭს. შეგახსენებთ, რომ ანამ ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით ამ სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა.

*„ეს ძალიან მძიმე წელი იყო ჩემთვის. რამდენიმე ტრავმა მივიღე და გადავწყვიტე სერიოზულად მიმეხედა საკუთარი ჯანმრთელობისთვის. ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიულ კარიერას ვასრულებ. ამ მომენტისთვის ჩემი ფიქრები პოლიტიკისკენ არის მიმართული"*, - განაცხადა ჩაკვეტაძემ CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ანამ გადაწყვიტა ორი წლით „გაყინოს" WTA-ში თავისი რეიტინგი. *„ქალთა საჩოგბურთო ასოციაციაში არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც შემიძლია საკუთარი რეიტინგი ორი წლით „გავყინო". სწორედ ეს წესი გამოვიყენე. ორი წლის განმავლობაში შემეძლება დაბრუნება და ამ რეიტინგის რვა ტურნირზე გამოყენება. მაგრამ, როდის დავბრუნდები ან საერთოდ დავბრუნდები თუ არა, ამაზე პასუხი ჯერ არ მაქვს"*, - ამბობს ქართული წარმოშობის ჩოგბურთელი.

# ზვონარევა: შიშველი არ ვყოფილვარ

რუსული ჩოგბურთის ერთ-ერთმა ლიდერმა **ვერა ზვონარევამ** ჟურნალისტებს მოუყვა იმ თამამი ფოტოსესიის შესახებ, რომელიც ESPN-ის ჟურნალის მიერ იყო ორგანიზებული.

მსოფლიოს მეექვსე ჩოგანმა განაცხადა, რომ ამ აქციას მხოლოდ სპორტისა და ხელოვნების გამო დათანხმდა.

*„როგორ ამბობთ - ეროტიკული კალენდარი? ეს არ არის მართალი. იქ მსგავსი არაფერია*, - ამბობს ვერა ზვონარევა. - *ეს ძალიან პრესტიჟული ამერიკული ჟურნალია, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს ცნობილი სპორტსმენების ფოტოებს და ამ გამოცემის მიზანია - დაანახოს ყველას ათლეტური სხეულის სილამაზე. ვერც ერთ ფოტოში ვერ ნახავთ სხეულის ზედმეტ ელემენტს. ყველა კადრი - ლამაზ სხეულს ადასტურებს. მიმაჩნია, რომ ეს ხელოვნებაა და ამიტომაც სასიამოვნო იყო ამ ფოტოსესიაში მონაწილეობა".*

*„უბრალოდ, ჩემი კადრი მთლად სპორტული არ გამოვიდა*, - აგრძელებს რუსი ჩოგბურთელი. - *სხვა ფოტოებში სპორტსმენები პოზებში წარმოადგენენ საკუთარ სახეობებს და ეს სულ სხვა ეფექტს იძლევა".*

ზვონარევამ აღიარა, რომ ყოველგვარი სირცხვილის გრძნობის გარეშე პოზირებდა, რადგან სინამდვილეში შიშველი არ ყოფილა. *„არსებობს ასეთი პროგრამა - ფოტოშოპი, რომლის წყალობითაც გახდამ და რაიმე ზედმეტის ჩვენებამ არ მომიწია*, - ამბობს ვერა. - *ისევე ვიყავი ჩაცმული, როგორც პლაჟზე. იქ კი არ მრცხვენია და სიამოვნებას ვიღებ".*

ამბები

ჩოგბურთი

## ბრაიანების რეკორდი

ამერიკელმა ჩოგბურთელებმა - **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა** სეზონის შედეგების მიხედვით წყვილთა რეიტინგის პირველ ადგილზე დაასრულეს 2011 წელი.

ორი დღის წინ, ტყუპმა ძმამ ვალენსიას ტურნირის საწყის წრეში **ლუკაშ დლუჰისა** და **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** დუეტს მოუგეს - 6:3, 6:2, რითაც რეიტინგში უახლოესი მდევრებისთვის - **მიკაელ ლოდრასა** და **ნენად ზიმონჯიჩისთვის** მიუღწეველნი გახდნენ.

ალსანიშნავია, რომ ამერიკელებმა კარიერაში მეშვიდედ დაასრულეს წელი პირველი წყვილის რანგში, რაც აბსოლუტური რეკორდი გახლავთ.

ამ სეზონში ბრაიანებმა მოიგეს: ავსტრალიის ღია პირველობა, უიმბლდონი, მასტერსები მონაკოსა და მადრიდში, აგრეთვე ტურნირები ჰიუსტონში, ლონდონსა და ვენაში.

კალათბურთი

## ბარსაში კარიერის ბოლომდე

„ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **ხუან-კარლოს ნავარომ** ახალი კონტრაქტი გააფორმა კატალონიურ გრანდთან და ამ გუნდში 2015 წლის ბოლომდე დარჩება.

31 წლის მცველს მთელი კარიერა „ბარსელონაში" აქვს გატარებული, მხოლოდ ერთი სეზონი ითამაშა ოკეანის გაღმა NBA-ის კლუბ „მემფის გრიზლისში".

ამ გადაწყვეტილებით წლევანდელი ევრობასკეტის საუკეთესო მოთამაშემ დაადასტურა, რომ კარიერის დასრულებას სწორედ მშობლიურ კლუბში აპირებს.

კრივი

# კლიჩკო-ვალუევი რეალურია





უკრაინელმა სუპერმძიმეწონოსანმა, WBC-ის ჩემპიონმა ვიტალი კლიჩკომ 2012 წელს, შესაძლოა, რუს **ნიკოლაი ვალუევთან** გამართოს ბრძოლა. როგორც ვარაუდობენ, შეხვედრას კიევის "ოლიმპიისკი" უმასპინძლებს. ორივე მოკრივე ინტერვიუებში დაინტერესებას გამოთქვამს მომავალი ბრძოლის მიმართ.

*„საინტერესო იქნებოდა უკრაინელ მოკრივესთან შეხვედრა. გიგანტი უჩვეულო ანტროპომეტრიული მონაცემებით გინესის რეკორდების წიგნშია შესული, თან არასოდეს ყოფილა ნოკდაუნში. მართლაც საინტერესო იქნება მასთან კრივი. თუმცა მისი გეგმების შესახებ არაფერი ვიცი"*, - განაცხადა ცოტა ხნის წინ ვიტალი კლიჩკომ.

თავად ვალუევმაც უკრაინული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში რომელიმე კლიჩკოსთან შეხვედრით დაინტერესება გამოხატა: *„ემოციურად მე ჯერ კიდევ მიზიდავს რინგი. მიყვარს მუშტებით ჩხუბი, მამაკაცებს შორის დუელი. უკვე 20 წელია რინგზე ვარ. რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო კლიჩკოსთან ჩხუბი იქნებოდა. მაგრამ ამ თემაზე უკვე ისედაც ბევრი ვილაპარაკე. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები".*

რუსმა მოკრივემ ბოლო ბრძოლა 2009 წლის ნოემბერში ჩაატარა. მაშინ ვალუევმა WBA-ის ტიტული დაკარგა ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან** ჩხუბში.

ამის შემდეგ, ვალუევი და ვიტალი კლიჩკო ერთი წელი ცდილობდნენ მოლაპარაკებას, მაგრამ ფინანსური უთანხმოების გამო მათი ბრძოლა მაინც არ ჩატარდა. 2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის დასაწყისში რუსმა გიგანტმა სამი ოპერაცია გადაიტანა და მისი მომავალი კარიერა ეჭვქვეშ დადგა. მაგრამ თავად მოკრივე ირწმუნება, რომ ჯერ არ ჩქარობს რინგიდან წასვლას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**